პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მოავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

—ამხ. კუკმა წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშებს.
—არსდება საკავშირო სააბრეშუმო კომიტეტი.
—შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, [illegible] შაქარზე ფასების დაკლება.
—მუშა ბერნატოვიჩმა ვარშავაში მოკლა სასაკლაოს დირექტორი.
—გერმანიის კომპარტიის ორგანოს „სილეზიის მუშათა გაზეთის“ რედაქტორს 2 თვის ციხე მიუსაჯეს საქსონიის ყოფ. მეფის შეურაცყოფისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 16 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 288 (1743)

მოსახლეობის საკავშირო აღწერა

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ

მოქალაქენო!

ღამით, მიმ. წლ. 16 დეკემბრიდან 17 დეკემბერს, თანახმად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დადგენილებისა, დაიწყება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. აღწერა გაგრძელდება: ქალაქში 7 დღე და სოფლებში—14 დღე. ამ ხნის განმავლობაში აღწერილ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის მთელი მოსახლეობა, ძუძუმწოვარა ბავშვის გამოუკლებლივ: თვითეულ პირზე შევსებული იქნება პირადი ბარათი.

მოსახლეობის აღწერა ტარდება მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ. აღწერის ძირითადი მიზანია ჩვენი ცხოვრების შემდეგი მოწესრიგება და სოციალისტური მშენებლობის განმტკიცება.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეს რა ადგილას რამდენი ხალხი ცხოვრობს, დაწყებული სულ პატარა სოფლიდან და გათავებული მთელი ამიერ-კავკასიის ტერიტორიით მთლიანად. საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი მამაკაცია, რამდენი ქალი, რამდენი მუშაობის უნარის მქონე, რამდენი ბავშვი, ახალგაზრდა და მოხუცი. აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი ხალხია ეროვნების მიხედვით (ქართველი, თურქი, სომეხი, რუსი, აფხაზი, გერმანელი და სხვა), რამდენ ხანს ცხოვრობენ იმ ადგილას, სადაც იმყოფებიან, რამდენია წერა-კითხვის მცოდნე, რამდენია დავრდომილი—ბრმა, ყრუ-მუნჯი, ჭკუა-ნაკლული და სხ. მოსახლეობის აღწერა, როგორც პატარა, ისე დიდ მეურნეობაში—ყველაზე ძირითადი, ყველაზე მთავარია. მთელი მეურნეობა ხალხისათვის შენდება და ხალხის საჭიროებას ეფარდება და, რასაკვირველია, იმის გარეშე, თუ არ გვეცოდინება რამდენი და რანაირი ხალხია—მცირეწლოვანი, სრულწლოვანი და მოხუცი, წერა-კითხვის მცოდნე, რას მისდევენ და სხ. შეუძლებელია სწორი მეურნეობა, მით უმეტესი, რომ სახელმწიფო მეურნეობა მიმართულია მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ.

ყველა ეს ცნობები, პირველ რიგში, საჭიროა სახალხო განათლების რიგიანად დასაყენებლად, სამკურნალო საქმის მოსაწესრიგებლად, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად და სხ. თუ არ ექნება მთავრობას სწორი ცნობები მოსახლეობის შესახებ, ის ვერ შესძლებს როგორც საჭიროა სკოლების, საავადმყოფოების, ქოხ-სამკითხველოების აგებას, ელექტრონის, გზების გაყვანას და, საერთოდ მოსახლეობისათვის იმ სამსახურის გაწევას, როგორსაც დღემდე უწევდა საბჭოთა მთავრობა და გაუწევს კიდეც მომავალში ამიერ-კავკასიის მშრომელთ.

ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე დაინტერესებულია ამ აღწერის წარმატებით ჩატარებაში და უნდა აღმოუჩინოს კიდეც ყოველგვარი დახმარება, როგორსაც კი შესძლებს.

აღწერას არ შეუძლია ვინმეს ინტერესების დარღვევა, რადგან საალწერო კანონით აკრძალულია საალწერო მასალების გამოყენება რაიმე სხვა მიზნით, გარდა სტატისტიკური ცხრილებისა.

მთავრობა მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ მოემზადონ დაწვრილებით და სწორ პასუხისათვის აღწერის შეკითხვებზე. მიუხედავათ მომჭირნეობის რეჟიმისა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, აღწერისათვის გადადებულია მეტად მნიშვნელოვანი თანხები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უსარგებლოდ დაიხარჯოს. ხოლო ყოველი არა სწორი პასუხი უკვე ნიშნავს გაღებულ თანხების მიზანშეუწონელ ხარჯვას.

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელნი უნდა გაიმსჭვალონ ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით, შეიგრძნონ, ამ აღწერის უმჭიდროესი კავშირი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მორიგ ამოცანებთან და ახსოვდეთ, რომ მხოლოდ სწორი და სრული ცნობები მოგვცემს საშუალებას წარმატებით ჩავატაროთ აღწერა და ამით მივაწოდოთ საბჭოთა მთავრობას ყველა ის ცნობები, ურომლისოდაც ძნელია გეგმიან საფუძველზე სოციალისტური სახელმწიფოს შენება.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**
ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე—**მ. ორახელაშვილი.**
თბილისი—სასახლე.
15 დეკემბერი, 1926 წელი.

პარტორგანიზაციები და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა

(ცეკას რეზოლიუციის გამო)

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა ამ დღეებში ცალკე დადგენილება გამოიტანა პარტორგანიზაციების მოვალეობის შესახებ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს. პარტია, როგორც პროლეტარიატის ავანგარდი, როგორც ძლიერი ძალაუფლების მესაჭე საბჭოთა კავშირში, ბუნებრივათ პირველ რიგში უნდა იდგეს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მხრივ საკავშ. კომპ. რეზოლიუცია მთელ რიგ კონკრეტულ მითითებებს იძლევა, რომელთა მტკიცე და უკლებლივი გატარება ცხოვრებაში დამოკიდებულია თვით პარტიულ ორგანიზაციების ფხიანობაზე და ენერგიაზე. ზედმეტია აქ იმაზე ლაპარაკი, რა განუსაზღვრელი ზიანი მოაქვს ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევ ბიუროკრატიზმს ნორჩი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება-განვითარებისათვის. არც ჩვენი სინამდვილის ამ მტკივნეულ მხარის მიზეზების გამოკვლევას შეუდგებით აქ ჩვენ.

თეორიები და პრინციპიალური დავა ბიუროკრატიზმის მავნებლობის შესახებ მას შემდეგ, რაც უკვე ამაზე ითქვა და დაიწერა, იგივე ბიუროკრატიული მიდგომა იქნება დასმულ საკითხებისადმი. საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებების ძებნა ამ ბოროტების აღმოსაფხვრელათ, საჭიროა მის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა. ამ ბრძოლაში პირველი ადგილი, როგორც უკვე ვთქვით, პარტიას ეკუთვნის. ცეკას რეზოლიუციაც სწორედ იმ მხრივაა საყურადღებო, რომ აქ მოცემულია მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს პარტიამ თავის ბრძოლაში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

საკითხი ისმება რეალურად ყოველი პარტორგანიზაციის და თვითეული კომუნისტის წინაშე: რა გააკეთეს მათ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში? ბევრ შემთხვევაში ამ კითხვაზე ჩვენ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მივიღებთ. ცეკას რეზოლიუციაც აღნიშნავს ამას, როცა ის ლაპარაკობს:

„მიუხედავათ პარტიის მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებებისა, რომელნიც მიმართულნი იყვნენ ბიუროკრატიზმსა, დაუდევრობასა და ფუფუნებასთან გადამჭრელი ბრძოლის წარმოებისაკენ, ჩვენს დაწესებულებებში მაინც აქვს ადგილი ბიუროკრატიზმის, უმომჭირნეობის და ბოროტმოქმედების მრავალ ფაქტებს. ყველა ამ მოვლენების წინააღმდეგ საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებში მომუშავე კომუნისტები ხშირათ ვერ აწარმოებენ სათანადო ორგანიზაციულ ბრძოლას. აგრეთვე დაწესებულებათა უჯრედები არ აქცევენ რამდენადმე მაინც სერიოზულ ყურადღებას თავიანთ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას“.

დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს: საჭიროა პარტიამ გააცხოველოს მუშაობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ამიტომ თუ დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხს აგებს თავის მუშაობის შესახებ ზემდგომი ინსტანციის წინაშე, ასეთივე პასუხი უნდა მოეთხოვოს საბჭოთა აპარატში მომუშავე თვითეულ კომუნისტს და უჯრედს მთლიანად პარტიულ კომიტეტების მხრივ.

უჯრედი პასუხისმგებელია ბიუროკრატიზმთან, უმომჭირნეობასთან და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. ამისათვის საჭიროა საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია ახლო იდგეს თავისივე დაწესებულების მუშაობასთან, რომ მას შეეძლოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს აპარატის გადახალისების, მუშაობის გამარტივების და გაიაფების საქმეში. ამ მიზნით უნდა შეიქნეს უახლოესი თანამშრომლობის პირობები პარტუჯრედებსა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა შორის. პარტიულ კრებებზე პერიოდულად უნდა კეთდებოდეს მოხსენებები დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. უჯრედი ცხოველ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ამ მოხსენებათა გარჩევაში და აქედან სათანადო პრაქტიკულ დასკვნებს უნდა აკეთებდეს.

აქ შეიძლება ადგილი დაურჩეს ერთ გაუგებრობას. ესაა პარტორგანიზაციების უშუალო ჩარევა ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაობაში. ამის წინააღმდეგ არაერთხელ გამოუტანია პარტიას კატეგორიული დადგენილება. ცეკას ზემოხსენებული რეზოლიუცია ითვალისწინებს ამ შესაძლებლობას და წინდაწინვე ხაზგასმით აფრთხილებს პარტორგანიზაციებს, რომ აპარატის გაჯანსაღებისაკენ მიმართული მათი მუშაობა უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში ადმინისტრატიულ პერსონალის, პროფკავშირების კომფრაქციათა, ეკონომიურ კომისიების და საწარმოო თათბირების საშუალებით. ეს აქედანვე კარგათ უნდა დაიხსომონ ჩვენმა ძირითადმა პარტიულ ორგანიზაციებმა, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გადასცდენ პარტიის მიერ დასახულ სამოქმედო თარგლებს და ამით არევ-დარევა არ შეიტანონ აპარატის მუშაობაში.

გარდა ამისა, საჭიროა პარტიულ უჯრედების მუშაობიდან გაიდევნოს უფროს-უმცროსული დამოკიდებულება, რომელიც თანამდებობრივი ხაზით დასაშვებია დაწესებულების მუშაობაში. ასეთი დამოკიდებულება ყველაზე მეტად ემჩნევა დაწესებულებათა უჯრედებს. ეს არის ბიუროკრატიზმის ერთი სახეთაგანი, რომელიც ხელს უშლის უჯრედში მჭიდრო ამხანაგური ურთიერთობის შექმნას, რაც ასე აუცილებელია პარტორგანიზაციის ნორმალურ მუშაობისათვის. ამგვარი მოვლენა, რასაკვირველია, მოსათმენი არაა პარტორგანიზაციის მუშაობაში და ის ყოველ საშუალებით უნდა იქნას აღმოფხვრილი.

გარდა ამისა თვითეული კომუნისტი, თავის მუშაობაში, სადაც ის არ უნდა იყვეს და რა საქმეც არ უნდა იბაროს ჯას, მოვალეა მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდეს ბიუროკრატიზმთან, უყაირათობასთან და ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. მარტო პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების ამოძრავებით ჩვენ ვერ დავძლევთ საუკუნოებით შექმნილ სენს, როგორიცაა ბიუროკრატიზმი. ამ ბრძოლაში საჭიროა მთელი პარტიული მასის აქტიური მონაწილეობა. ამასთანავე პარტიასთან ერთად ბრძოლაში უნდა ჩავიყოლიოთ უპარტიო მუშები და მშრომელი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი.

ამრიგად, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ჩვენს წინაშე ისმება, როგორც უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული ამოცანა. თვითეულ პარტუჯრედმა, საბჭოთა აპარატში მომუშავე ყოველ კომუნისტმა უნდა შეამოწმოს თავისი მუშაობა ამ მხრივ წარსულში და უნდა დასახოს მომავალი მოქმედების გეზი. პარტია სერიოზულ და სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. საჭიროა პარტორგანიზაციის ყველა შემადგენელი ნაწილები, თვითეული უჯრედი და ცალკე წევრი გაიმსჭვალოს ამ საერთო მისწრაფებით. ეს არის არა მარტო სურვილის, არამედ მოვალეობის საკითხიც. ეს უნდა ახსოვდეს უჯრედებს არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი წარსდგებიან ანგარიშით პარტიის წინაშე თავიანთ მუშაობის შესახებ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, არამედ მაშინაც, როცა ისინი შეუდგებიან საკავშირო კომპარტიის ცეკას ზემოხსენებულ დადგენილების განხორციელებას.

ან პარტიასთან, ან მის წინააღმდეგ

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ოპოზიციონურ გამოსვლების პოლიტიკური აზრი ნათელია. არაფრით არ შეიძლება იმ ფაქტის მიჩქმალვა, რომ ოპოზიციის გამოსვლა იყო ფრაქციული აპელიაცია პარტიის წინააღმდეგ. არავითარი სოფიზმებით არ შეიძლება მიჩქმალულ იქნეს 16 ოქტომბრის ვალდებულებათა დარღვევის ფაქტი. შეუძლებელია თვალის დახუჭვა და არ დანახვა იმისი, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით შექმნილმა ოპოზიციამ არაპირდაპირ და ზოგჯერ კი პირდაპირაც, განსაკუთრებით ზინოვიევის გამოსვლით, სამსახური გაუწია ულტრა-მემარცხენე და ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებს და აგრეთვე კომინტერნიდან გაძევნილ კონტრ-რევოლიუციონერებს. თვალსაჩინოა ის, რომ ოპოზიცია პლენუმზე იქცეოდა, როგორც პარტიიდან განცალკევებული ჯგუფი, როგორც „ახალი პარტიის ჩანასახი“. მიუხედავათ იმ გაკვეთილისა, რომელიც ოპოზიციამ მიიღო მოსკოველ და ლენინგრადელ მუშებისაგან, მიუხედავათ იმისა, რომ მან სიტყვით უარი სთქვა ორი პარტიის თეორიაზე, ოპოზიცია ნამდვილად მოქმედობს ისე, როგორც „პარტია პარტიის შიგნით“.

არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს იმ იდეური ბრძოლის შინაარსი, რომელსაც პლენუმზე ოპოზიცია აწარმოებდა. ეს იყო ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ. მართალია, ამ შემთხვევაში ოპოზიცია თავისი ჩვეულებრივი სტრატეგიის—ნიღაბის ჩამოფარების სტრატეგიის ერთგული აღმოჩნდა. მართალია, ოპოზიცია თვალთმაქცურად ირწმუნებოდა, რომ ის „იცავს ლენინის ნამდვილ მოძღვრებას“ (ვისგან? ბოლშევიკური პარტიისგან ხომ არა?) მართალია, ოპოზიცია დიპლომატიურად ცდილობდა ხაზი გაესვა იმისათვის, რომ ის თითქოს არ ეწინააღმდეგება პარტიის დებულებებს, არამედ ეწინააღმდეგება მხოლოდ მის ცალკე ხელმძღვანელთა დებულებებს. ოპოზიცია სისტემატიურად გვერდს უხვევდა საკითხს პარტიის რეზოლიუციების, პარტიის ყრილობების, პარტიის კონფერენციების შესახებ.

მაგრამ არავითარ ნიღაბს არ ძალუძს დაფაროს კომინტერნში გამართულ დისკუსიის ცენტრალური ფაქტი. ოპოზიცია ახდენდა ბოლშევიზმის საფუძვლის რევიზიას მისი (ბოლშევიზმის) თვალთმაქცურად დაცვის დროშის ქვეშ.

ვლადიმერ ილიჩმა მთელ ჩვენს პარტიას მემკვიდრეობათ დაუტოვა თავისი მდიდარი მოძღვრება. პარტია ლენინის მოძღვრებას თვალის ჩინივით უფრთხილდება, იცავს მას ყოველგვარ თავდასხმისაგან, ვისგანაც არ უნდა გამოდიოდეს ის. სწორედ პარტიას და მხოლოდ მას ეკუთვნის გადამჭრელი სიტყვა ლენინიზმის საკითხებში. უზენაესი მსაჯული ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხებში შეიძლება იყოს მხოლოდ პარტია—მისი ყრილობები და კონფერენციები, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე და კონფერენციიდან კონფერენციამდე — ჩვენი ლენინური ცეკა. ვინც პარტიის მთავარ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ გამოდის, ის გამოდის აგრეთვე ლენინიზმის წინააღმდეგ, სხვანაირად შეუძლებელია.

ის გააფთრებული ბრძოლა, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებს პარტიის წინააღმდეგ, შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ორ შემთხვევაში.

ან ოპოზიცია ფიქრობს, რომ პარტია „ასცდა“ ლენინურ გზას. რასაც „თვითონ ვერ ამჩნევს“. მაგრამ ამის აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ პარტია არ არის ღირსი იმ მემკვიდრეობის, რომელიც მას ლენინმა დაუტოვა. ამის აღიარება ნიშნავს იმის თქმას, რომ ბოლშევიკური პარტია არ არის ლენინური პარტია. ასეთი ველური „აზრი“ ნიშნავს უდიდეს ცილის დაწამებას პარტიისათვის, ოპოზიციონურ ბელადების უდიდეს ქედმაღლობას პროლეტარიატის ავანგარდისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციონური „ბელადები“ თავისთავს პარტიაზე მაღლა აყენებენ. პარტია კი თავის მხრივ გადაჭრით წინააღმდეგი იქნება იმისი, რომ ის არა ლენინურ პარტიათ ჩათვალონ.

ან კიდევ ოპოზიცია ფიქრობს, და ეს მან აშკარადაც უნდა სთქვას, თუ ის ელემენტარულ პოლიტიკურ სინდისიერებაზე პრეტენზიებს აცხადებს, რომ ის პარტიის იდეური ჩარჩოების წინააღმდეგია, რომ მას „ავიწროებს“ ლენინის პარტიის ჩარჩოები, რომ ის მზათ არის შეაზავოს უკანასკნელი „ახალი“ იდეებით, რომ მას საჭიროდ მიაჩნია ხიდი გასდოს ერთის მხრივ ლენინიზმსა და მეორეს მხრივ ტროცკიზმსა და „ოტო ბაუერშჩინას“ შორის.

მთელი პარტია ხედავს, რომ სწორედ ამის მიღწევას ცდილობს ოპოზიცია, რომ ის „მტკიცედ სდგას“ თავის პოზიციებზე, რაც პარტიამ დაჰგმო როგორც სოციალ - დემოკრატიული გადახრა. რომ ის აქტიურად იცავს ტროცკიზმს „ჭეშმარიტი“ ლენინიზმის ნიღბის ქვეშ. მაგრამ აქ პრინციპიალურ საკითხებში პარტია არავითარ კომპრომისს არ დაუშვებს ოპოზიციასთან. ლენინიზმის საფუძვლებს პარტია არ დაუთმობს არავის და არაფრის გულისათვის.

პარტია ხედავს, რომ ოპოზიცია სულ უფრო და უფრო შორდება მას. პარტია ხედავს, თუ როგორ მიდის ოპოზიცია სულ უფრო და უფრო მარჯვენით. თუმცა ამას თან სდევს „მემარცხენე“ ფრაზების რახა-რუხი. პარტია ხედავს, რომ ოპოზიცია ძალიან შორს წავიდა. პარტია ერთხელ კიდევ მზათ არის აღიმაღლოს თავისი ხმა და ერთხელ კიდევ მოსთხოვოს ოპოზიციას სწორი, გარკვეული და კატეგორიული პასუხი შემდეგ კითხვებზე: უტოვებს თუ არა ის პარტიას უფლებას საბოლოოდ გადასწყვიტოს რევოლიუციის საკითხები, ლენინიზმის ყველა საკითხები?

სთვლის თუ არა ის პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს მისთვის აუცილებელ სავალდებულოთ?

მზად არის თუ არა ოპოზიცია შემდეგში დაემორჩილოს პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს?

რას ემხრობა ოპოზიცია: ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას თუ კაპიტულიაციას სიძნელეების წინაშე?

ლენინიზმს თუ ტროცკიზმს?

იმას, რომ ტროცკიზმი ჩაითვალოს პარტიის კანონიერ იდეურ „სახეობად“, იმას, რომ შეწყდეს ბრძოლა მის წინააღმდეგ, თუ იმას, რომ ტროცკიზმს ვებრძოლოთ და ბოლო მოვუღოთ.

იმას, რომ ჩვენს რიგებში აღმოფხვრილ იქნეს სოციალ - დემოკრატიული გადახრა, იმას, რომ შესრულებულ იქნეს მე-15 კონფერენციის გადაწყვეტილებები, თუ იმას, რომ თავისი გადახრა დაჟინებით დაიცვას?

დაუზოგავ ბრძოლას პარტიასთან და კომინტერნთან ერთად სუვარინ-კორშისტების წინააღმდეგ, თუ იმას, რომ გაკიცხული კონტრ - რევოლიუციონერები უკანვე მოიხმონ კომინტერნში?

საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის მთლიანობის განმტკიცებას, თუ ამ მთლიანობის შერყევას, შესუსტებას?

ვის მხარეზეა ოპოზიცია, ლენინის თუ ოტო ბაუერის? ოპოზიციამ უნდა აირჩიოს ან ერთი, ან მეორე. პარტია თავის მხრივ გაითვალისწინებს კომინტერნში გამართულ დისკუსიის გაკვეთილებს საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით არსებულ ოპოზიციის შესახებ და ყველა დასკვნებს გამოიტანს იქიდან, რომ ოპოზიცია გამოვიდა პარტიულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ და დაარღვია 16 ოქტომბრის ვალდებულებანი.

მოსკოვი, 15 დეკემბერი.

ყოფილ ოპოზიციონერის მუშკატოვის

ღია წერილი ზინოვიევისადმი

მოსკოვი, 15 დეკემბერი. „პრავდა“-ში დაბეჭდილია ყოფილი ლენინგრადელი ოპოზიციონერის მუშკატოვის წერილი ზინოვიევისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „ამ წერილის თქვენთვის მოწერის მიზეზი არის „6-ის“ განცხადების გამოქვეყნება პრესაში, რომელიც უაღრესად ქარაფშუტულ მოპყრობას წარმოადგენს საკუთარ შეხედულებათადმი და მთელ რიგ იმ პრინციპიალურ საკითხების შეფასებისადმი, რომელთა გამოც ჩვენ თქვენთან ერთად დავშორდით პარტიას და ცენტრალურ კომიტეტს. ამ შეცდარ და არა სწორ შეფასებათა გამო გახდა აუცილებელი ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, ცეკას წინააღმდეგ, რომელსაც თქვენთან ერთად მეც ვაწარმოებდი. ფრაქციული მუშაობის აუცილებლობის მიზეზია უთანხმოება პარტიასთან და ცენტრალურ კომიტეტთან. ფრაქციული მუშაობა—ეს არის შედეგი, რომელიც მიზეზიდან გამომდინარეობს. მე ძალიან გაოცებული ვარ, რომ თქვენ ფრაქციული მუშაობის წინააღმდეგი, შედეგის წინააღმდეგი ხართ.

თქვენ ამბობთ: „ამ შეხედულებათა ნიადაგზე ვდგევართ ეხლაც“-ო. ეს, ამხანაგო ზინოვიევო, შეუსაბამობა არის და სიყალბეა. ამის შესახებ ვთვლი მე საჭიროდ ვთქვა: მე თქვენ მოგმართეთ, ამხანაგო ზინოვიევო, იმიტომ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში თქვენი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი ლენინგრადის ორგანიზაციაში. იმიტომ, რომ ბრძოლის დასაწყისში მე ცეკას წინააღმდეგი ვიყავი და წევრი ვიყავი ეგრედ წოდებული ლენინგრადის წრისა, რომლის ხელმძღვანელი იყავით თქვენ და რომელშიაც დაიწყო ფაქტიურად ძალების შეგროვება ლენინგრადის აქტივს შორის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მე ვიყავი მე-XX საგუბერნიო პარტკონფერენციის წევრი, სადაც ეს გალაშქრება ლენინგრადის დელეგაციის გაშლილი ფრონტით მოხდა და წევრი ვიყავი მე-XIV ყრილობისა, სადაც ეს გალაშქრება ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ლეგალური გახდა მთელი პარტიის თვალში. მე უკანასკნელ დღეებამდე ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ვიყავი და სწორედ ამით ვიყავი პარტიის წინააღმდეგ, რომლის შეხედულებასა და სულისკვეთებას გამოხატავს ცენტრალური კომიტეტი.

ჩვენმა შეფასებამ წარმოშვა შედეგი — ფრაქციული მუშაობა და ცდა იმისა, რომ პარტიაში დისკუსია გამოეწვია. რა გამოვიდა აქედან? მოხდა ნაწილობრივი დისკუსია, რომელმაც გვიჩვენა, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა გამოხატავს პარტიის სულისკვეთებას, პარტია კი მუშათა კლასის სულისკვეთებას გამოხატავს. ჩვენ კი, ჩვენდა საუბედუროდ და სამწუხაროდ გამოვხატავდით რომელიღაც სხვა ინტერესებს. მართალია ცენტრალური კომიტეტი, მართალია პარტია და არა ჩვენ. აი გაკვეთილის შედეგები. ეს გაბედულად და აშკარად უნდა ვაღიაროთ. „შესაძლებელია ან ის, რომ საკუთარ არსებაშივე იქმნას გამონახული, ლასალის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გონებისა და ხასიათის ფიზიკური ძალა, რათა აღიარებულ იქნას შეცდომა, გამოსწორდეს იგი და გადაიშალოს რუს. კომპარტიის ისტორიის ეს გვერდი, ან ჩაებღაუჭონ დარჩენილ მოკავშირეებს, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, და ვერ შენიშნონ ვერავითარი პრინციპები“. (ლენინი— წერილი „პარტიის კრიზისი“). მე ვუერთდები ლენინის ამ ბრძნულ რჩევას.

(აღს.)

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო

ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 15 დეკემბერი. 11 დეკემბერს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სხდომაზე გამოვიდა ამხ. რიკოვი. ამხ. რიკოვს კრება მხურვალე ოვაციებით ხვდება, ყველა დგება ფეხზე.

„კამენევმაც აგრეთვე საჭიროდ სცნო საერთაშორისო პროლეტარიატის ამ ტრიბუნაზე გამოსვლა,—დაიწყო ამხ. რიკოვმა. ის კითხულობდა წინასწარ შედგენილ სიტყვას, რომელიც როგორც მე გადმომცეს, ხელმოწერილი იყო სამი პირის: კამენევის, ტროცკის და ზინოვიევის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს გაერთიანებული ფრაქციის გამოსვლასთან (ხმები: „მართალია“). ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ მოცემული დაპირება 16 ოქტომბრის ცნობილ დოკუმენტში ფრაქციების დაშლის შესახებ, არ არის შესრულებული (ხმა: „სრული ჭეშმარიტებაა“). ეს იმას ნიშნავს, რომ კომინტერნის ტრიბუნიდან ახდენენ იმ დაპირების დარღვევის დემონსტრაციას, რომელიც ფრაქციამ—ზინოვიევმა, ტროცკიმ და კამენევმა—მისცა პარტიას გამოქვეყნებულ დოკუმენტში. მე ვფიქრობ, რომ კომინტერნის პლენუმი სწორად ჩასთვლის, თუ საკ. კომ. პარ. (ბ) დელეგაცია, ისე როგორც საბჭოთა კავშირის მთელი კომუნისტური პარტია, გაითვალისწინებენ ამ გარემოებას თავის შემდეგ პოლიტიკაში ოპოზიციის წინააღმდეგ.

კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ არასდროს არ ვიცავდით, არ ვიცავთ და არც დავიცავთ იმას, რითაც განსხვავდებოდა ისტორიული ტროცკიზმი ლენინიზმისაგან: პერმანენტული რევოლიუცია, გლეხობის საკითხის დაყენება და სხ.“.

რომ დავადასტუროთ, უკანასკნელად რა შეხედულების იყო კამენევი ტროცკიზმზე, მოვიყვან კამენევის სიტყვებს. კამენევის წერილში „პარტია და ტროცკიზმი“ ვკითხულობთ:

„ტროცკიზმი იმ არხად გადაიქცა, რომლითაც წვრილბურჟუაზიული სტიქია თავს იჩენს პარტიის შიგნით“.

ეს ითქვა 1924 წლის დასასრულს.

მეორე ციტატა: „თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ ტროცკი მთელ ქვეყანაში გადაიქცა ყველა იმის სიმბოლოდ, რაც ჩვენი პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული“.

აი ზინოვიევის განცხადება იმავე 1924 წელს: „დამპალი კაკალი არ გახდება უკეთესი, თუ მას მოვავარაყებთ. ომის წინდროინდელი ტროცკიზმი, რომელიც წარმოადგენდა მენშევიზმის სხვადასხვა სახეობას, არ გახდება უკეთესი, თუ მას ლენინიზმით მოვარაყებულს შემოგვთავაზებენ“.

თვით სიტყვა ლენინიზმი, მეტი გესლიანობის მიზნით, ზინოვიევმა ამ ციტატაში წინწკლებში ჩასვა.

და შემდეგ: „ის (ტროცკი) სწორედ ყველაზე იმის გამომხატველი ხდება, რაც არაბოლშევიკურია ჩვენს პარტიაში“.

კამენევს და ზინოვიევს, რომლებიც მრავალი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში რაზმავდენ მილიონ პროლეტარებს, რაზმავდენ მილიონ პროლეტარებს მთელ დედამიწის ზურგზე ტროცკის პლატფორმის წინააღმდეგ, ზინოვიევს და კამენევს, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ ჩვენთან, როცა ჩვენ წინააღმდეგ ვიყავით პოლიტბიუროდან ტროცკის გამორიცხვის, არაფერი უთქვამთ კომინტერნისთვის შედის თუ არა ტროცკიზმის ისტორიულ თეორიაში ის დებულებები, რომლებიც ამხელდენ ისინი ტროცკიზმს 1924 წელში, და რომელზედაც თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ ჩემს მიერ მოყვანილ ციტატებით.

განსაცვიფრებელია, დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია ის, რომ იგივე ხალხი, რომელნიც წელიწადნახევარ — ორი წლის წინედ ახასიათებდენ ტროცკიზმს, როგორც მენშევიზმის სხვადასხვა სახეობის, გამომხატველს „ყველაფერ იმის, რაც არაბოლშევიკურია ჩვენს პარტიაში“, ას წორედ ეს ხალხი, ეფარებიან რა თერმინს: „ისტორიულს“, ეხლა თვითონვე ხდებიან ტროცკისა და ტროცკიზმის ერთგული დამცველნი.

ასეთივე სახის მერყეობას, როგორც საკითხში ტროცკიზმის შესახებ, ზინოვიევის და კამენევის მხრივ ჰქონდა, აქვს და, რასაკვირველია, ექნება კიდეც ადგილი ჩვენი პოლიტიკის ყველა საკითხებში.

მოსკოვის საგუბერნიო საბჭოთა ყრილობაზე 1925 წლის აპრილში კამენევმა განაცხადა: „მხოლოდ გლეხობას, რომელიც ვითარდება, შეძლებული ხდება და აგროვებს დოვლათს, შეუძლიან იყოს იმ პროდუქტების ჯანსაღი მომხმარებელი, რომლითაც შეუძლიათ [illegible] ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა. ამიტომ ჩვენ ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომლებიც ხელს შეუწყობდენ ამას“.

მიაქციეთ ყურადღება: „გლეხობა, რომელიც მდიდრდება და აგროვებს დოვლათს“.

თავის დღევანდელ სიტყვაში, აი სწორედ ამ დარბაზში, კამენევი, როცა ის ლაპარაკობდა მემარჯვენე გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში, ეფარებოდა თერმინს: „გამდიდრდით“, რომელიც ბუხარინმა იხმარა. ბუხარინს ეყო გამბედაობა აშკარად განეცხადებინა, რომ მან ეს თერმინი შეცდომით იხმარა. სად და როდის უარჰყო ეს გამოცხადება კამენევმა, რომელსაც პარტიის კურსი ეჭირა გლეხობაზე, რომელიც მდიდრდება და აგროვებს დოვლათს.

მე-14 პარტკონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში არის ასეთი პუნქტი: „აქედან (სიძნელეებიდან, რომელიც ელობება სოციალისტურ მშენებლობას კაპიტალისტურ სახელმწიფოებით გარემოცულ ქვეყანაში) სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია ტეხნიკურ - ეკონომიური განვითარების მხრივ მაღლა მდგომ ქვეყნების „სახელმწიფოებრივი დახმარების“ (ტროცკი) გარეშე“. ამ პუნქტს ხმა მისცეს ზინოვიევმა და კამენევმა.

ჩვენი პარტიის მე-14 კონფერენცია ჩატარდა 1925 წლის აპრილში, სულ წელიწადნახევრის წინედ. ზინოვიევი და კამენევი — ეს ისეთი ხალხია, რომელთაც მოკლე დროის მანძილზე ერთ და იმავე საკითხზე აქვთ მრავალი პასუხი, ხალხი, რომელთა შეხედულებას სიმტკიცეს, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, არ შეიძლება ვენდოთ არც თეორეტიულ პრინციპიალურ საკითხებში და არც მიმდინარე პრაქტიკულ პოლიტიკაში.

ამიტომ, მე ვფიქრობ, სრულიად გასაგებია, რომ ჩვენს პარტიაში არ აღმოჩნდა არც ერთი მუშათა ორგანიზაცია, რომელსაც გაებედნოს პარტიის ხელმძღვანელობის მინდობა ისეთ მოღვაწეთათვის, რომლებიც სულ უმოკლესი ხნის მანძილზე იცვლიან თავის შეხედულებებს ჩვენი რევოლიუციის ძირითად საკითხებზე.

კამენევმა თავისი სიტყვა დაიწყო კითხვით: „არსებობს თუ არა ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრა“. კამენევმა სთქვა, რომ მე-14 ყრილობაზე დირექტივის სახით აღნიშნული იყო, რომ „იდეური ბრძოლის ცეცხლი მიმართულ უნდა იქნას მარცხნივ“. მე უნდა ვთქვა, რომ უმრავლესობის მომხრეებს არასდროს არ მოუციათ ასეთი დირექტივა. ასეთი ბრალდების—„ცეცხლი მარცხნივ“—წამოყენების საბაბად ოპოზიციონურ ამხანაგების მხრივ გახდა ჩვენი პოლიტიკა, მიმართული „სამხედრო კომუნიზმის“ ნაშთების წინააღმდეგ სოფლად და გლეხობის ხელმძღვანელობის არსებული მეთოდების წინააღმდეგ. სამხედრო კომუნიზმის ელემენტები ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩნენ სოფლად მას შემდეგ, რაც ქალაქში იქნენ ისინი აღმოფხვრილი.

სხვა არავინ, გარდა კამენევისა თავის სიტყვებში არა ერთხელ აცხადებდა ამ ნაშთების საფრთხისა და მათი რაც შეიძლება ჩქარა აღმოფხვრის საჭიროებაზე. ჩვენ ვერ შევსძელით რევოლიუციონური კანონიერების შეტანა სოფლად და კოოპერაციის და ადგილობრივ საბჭოების მუშაობის სწორად დაყენება ისე, რომ არ მოგვეხდინა სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაცია სოფელთან ურთიერთ დამოკიდებულებაში.

ჩვენ არა ერთხელ ვცადეთ გამოგვერკვია: რის გაკეთებას გვირჩევდა ოპოზიცია, ოპოზიციის აზრით, პარტიასა და ქვეყანაზე ჩამოწოლილი მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ. კამენევმა თავის დღევანდელ სიტყვაში განაცხადა, რომ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური ელემენტების კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვების ძირითად კრიტერიას წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის განვითარების სათანადო ტემპი.

პარტიის უკანასკნელ ყრილობამდე ეკონომიური პოლიტიკის სვებედი უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრებოდა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლების კამენევის, სოკოლნიკოვის, სმილგას და პიატაკოვის ხელმძღვანელობით და ყველაფერ იმაზე, რაც იმ ხნის განმავლობაში კეთდა ამ დარგში, უმეტესად პასუხისმგებელია ოპოზიცია და მისი ლიდერები. მე არა ერთხელ გამომიცხადებია, რომ ჩვენ აქაც ვიხსნით პასუხისმგებლობას სამეურნეო ხელმძღვანელობაში დაშვებულ შეცდომებზე, ეხლა კი მე მინდა ამას დავუმატო, რომ ჩვენ არ ვიხსნით პასუხისმგებლობას მთავარ შეცდომებზედაც, იმაზედაც. რომ ძალიან გავაჭიანურეთ ამ ამხანაგების ჩამოშორება ხელმძღვანელობისაგან. პარტიის ცეკას შეცდომა გამოიხატა მეტად რბილ მოპყრობაში ოპოზიციასთან, რომლის ლიდერებიც ხელმძღვანელ პოსტებიდან მხოლოდ იმ მომენტში იქნენ მოხსნილი, როცა მათი ხელმძღვანელობით გამოწვეულმა შეცდომებმა შექმნეს ღრმა სამეურნეო კრიზისის სერიოზული საფრთხე.

მე ვამტკიცებ, რომ პარტიის მე-14 ყრილობის შემდეგ, ხელმძღვანელ პოსტებიდან ოპოზიციის ლიდერების მოხსნის შემდეგ, ჩვენ ბრწყინვალედ დავაღწიეთ თავი იმ სიძნელეებს, რომლებამდისაც მიგვიყვანა ოპოზიციამ. ჩვენ უფრო მეტი საშუალებები გამოვნახეთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განსახორციელებლად, გადავხედეთ რა ჩვენს საგადასახადო კანონმდებლობას და გავატარეთ რა მთელი რიგი სხვა ღონისძიებებისა.

აქ კამენევმა განაცხადა, რომ ოპოზიცია არასდროს არ მოითხოვდა დაჟინებით ფასების აწევის პოლიტიკის გატარებას. ეს განცხადება არ არის მართალი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წინადადება ფასების აწევის შესახებ პიატაკოვმა და პრეობრაჟენსკიმ წამოაყენეს.

კამენევმა თავის სიტყვაში „აღშფოთებით“ უარჰყო პორაჟენცობის ბრალდება. პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე, მე ჩემი მოხსენების ნაწილი სპეციალურად იმას დავუთმე, რომ ოპოზიციის იდეოლოგია პორაჟენცულია ორი მხრივ: ჯერ ერთი, მოულოდნელი საფრთხის შიშით, რომ სოციალისტური მშენებლობის გზაზე აღმართული ამა თუ იმ სიძნელეების გამო დღე-ღამეზე მოსალოდნელია დამარცხება. მეორე. იმ მხრივ, რომ ოპოზიციის პროგრამის განხორციელება აუცილებლივ მიგვიყვანდა ჩვენი რევოლიუციის დამარცხებამდე, რადგან ის გამოიწვევდა საგადასახადო ტვირთის უზომოთ გადიდებას, ფასების აწევას და აუცილებლივ გამოიწვევდა მუშებისა და გლეხების კავშირის გაწყვეტას.

მთავარი ბრძოლა ოპოზიციას ჩვენ გაუმართეთ ამ შემოდგომაზე პარტიის ქვედა უჯრედებში.

ოპოზიციამაც ამ დროს იმიტომ შეუფარდა თავისი გამოსვლა, რომ იმედი ჰქონდა შემოდგომით სამეურნეო კრიზისის გამწვავებისა ჩვენს კავშირში. ოპოზიციას სწორედ ამ მომენტის იმედი ჰქონდა და ამიტომაც ცდილობდა ისე მოეწყო საქმე, რომ ამ დროისთვის გამოეყენებია გლეხების, მუშების და მთელი მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც აუცილებლივ უნდა წარმოშობილიყო ოპოზიციის მიერ ნაწინასწარმეტყველევ სამეურნეო კრიზისის გამო. ჩვენი პარტიის ცეკას აპრილის პლენუმზე ტროცკიმ განაცხადა, რომ ჩვენი მრეწველობა 1926 [illegible] რეზე, რაც ნიშნავს წარსულ სიძნელეთა წამოშლას უფრო დიდი მასშტაბით. კამენევიც, რომელიც კვერს უკრავდა ტროცკის, ლაპარაკობდა კარგი მოსავლის „საფრთხეზე“. ტროცკის ეს იდეოლოგია კარგად არის ჩამოყალიბებული მის მიერ შემდეგ სიტყვებში: „უკეთესი იქნებოდა, ნაკლები რომ იყვეს ჩვენი გლეხობის მსყიდველობითი უნარი“. ყოველ წლის ზინოვიევი და კამენევი წინასწარმეტყველებენ ჩვენს ქვეყანას სამეურნეო კრიზისს, გაურბიან ყოველგვარ მატერიალური დოვლათის დაგროვებას, რომელიც ყოველგვარი მშენებლობის, მათ რიცხვში სოციალისტური მშენებლობის წინასწარ პირობას წარმოადგენს. ასეთ შეხედულებას ეს ამხანაგები იქამდე მიჰყავს, რომ მათ მოსავლისაც კი ეშინიათ და დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ გლეხის მსყიდველობითი უნარის შემცირება.

ოპოზიციის პრაქტიკული პროგრამა, ზინოვიევის ავტორიტეტული განცხადებით ერთ-ერთ უჯრედზე, გამოიხატებოდა შემდეგში. „ნახევარ მილიარდით შემცირდეს გასავალი ბიუროკრატიზმის ხარჯზე, მაგრამ ჩავჭიდოთ ხელი კულაკს და ნეპმანს და კიდევ ნახევარ მილიარდ მანეთს მივიღებთ. ერთ მილიარდს მივიღებთ და გავანაწილებთ მას მრეწველობასა და სამუშაო ხელფასზე. აი, ერთ—ორ სიტყვაში ჩვენი სამეურნეო პროგრამა“.

ყველა იმათთვის, ვინც იცის ჩვენი კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და მისი საგადასახადო პოლიტიკა, იმდენად აშკარაა და ნათელი ამ პროგრამის „უაზრობა“, რომ ის დამხობილ და უარყოფილი იქნა ჩვენი პარტიის უბრალო წევრების მიერ ყოველ იმ უჯრედებში, სადაც ამას ოპოზიცია აყენებდა.

საკ. კომ. პარ. (ბ) მე-14 კონფერენციაზე მე მოვიყვანე ცნობები გლეხობის შეძლებული ფენების დაბეგვრის შესახებ; ეს დაბეგვრა იმდენად დიდია ამჟამად, რომ მისი ყოველი გადიდება საჭიროებს დიდ სიფრთხილეს, რადგან მას შეუძლია გამოიწვიოს სოფლის მეურნეობის განვითარების შეჩერება.

რადგან მე გაგებული მქონდა, თუ როგორი დაინტერესებით ეკიდებოდა ოპოზიცია ჩვენს საგადასახადო პოლიტიკას, ამიტომ მე ჩემი მოხსენება ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ გავაკეთე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კამენევის, ზინოვიევის, ტროცკის, სოკოლნიკოვის, პიატაკოვის და დანარჩენთა თანდასწრებით.

ეს კანონი მიღებულ და დამტკიცებულ იქნა ოპოზიციის მონაწილეობითვე, ამასთან ერთად მას არავითარი კონკრეტიული წინადადება არ შემოუტანია გლეხობის საშუალო შეძლებული ფენების დაბეგვრის განაკვეთის გადიდების შესახებ. მალე ამის შემდეგ ოპოზიციამ გააჩაღა აგიტაცია იმაზე, რომ ვითომდა ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა მფარველობდეს კულაკს. ეს ფაქტიურად სწორი არ არის, ეს ერთი, და მეორეც, რომ ოპოზიცია, საერთოდ მხარს უჭერდა რა ამ კანონს, გვსაყვედურობდა ჩვენ, რომ ის უნდა გამოგვეცა ერთი ან ორი წლით ადრე. ამ კერძო საკითხში ჩვენ საქმე გვქონდა ოპოზიციის სიყალბესთან.

დისკუსია დღევანდელ პლენუმზე გაიმართა უმთავრესად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის გარშემო. მე მთელი გადაჭრით უნდა აღვნიშნო ის უტიფარი და სულელური ბრალდებები, თითქოს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ტაქტიკა რამოდენიმედ მაინც დაკავშირებული იყოს რწმენის დაკარგვასთან საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციაში. თვით ოქტომბრის გადატრიალება ჩვენს ქვეყანაში და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა 10 წლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ განვიცდით კაპიტალისტური საზოგადოების ნგრევის პერიოდს. ჩვენ ჩვენს მუშაობას ქვეყნის შიგნით ვიხილავთ, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის ნაწილს და როგორც კაპიტალიზმის დანგრევას მთელი დედამიწის ზურგზე.

კამენევმა განაცხადა, რომ ჩვენს შორის არ არის უთანხმოება იმაზე, რომ ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კიდეც სოციალიზმს. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის ნგრევისა და დაშლის ეპოქაში საკმარისია ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალები სოციალიზმის ასაშენებლად. დაუშვათ, რომ აშენებენ კამენევი, ზინოვიევი და ტროცკი, და არა სტალინი, რიკოვი და ბუხარინი და მათ მოხერხეს ამ სოციალიზმის 30—40 პროც. აშენება. მე გეკითხებით, რატომ ის ძალები, რომლებიც საკმარისია სოციალიზმის ასაშენებლად 30—40 პროც-ით, არ ეყოფა შემდეგი 10—20 პროც-ის ასაშენებლად. თუ ისინი მოახერხებენ 50—60 პროც-ის აშენებას, რატომ ვერ შესძლებენ ისინი, ამავე ძალების საშუალებით და სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეულ მიღწევებზე დაყრდნობით, შემდეგ წინსვლას. რას შეუძლია კამენევის შეჩერება. გარდა მისი ფრაქციული აბდა - უბდისა (სიცილი, ტაში).

დასასრულ მე მინდა შევჩერდე კამენევის სიტყვის კიდევ ერთ პუნქტზე.

კამენევი ამტკიცებდა, რომ პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ვითომდა დაადგნენ „ნაციონალურ - რეფორმისტული პერსპექტივების“ გზას და თავის სიტყვის ბოლოში განაცხადა, რომ „ჩვენ უმრავლესობის ნებასურვილის წყალობით შევსძელით პრაქტიკულ მუშაობაში ერთიანი ხაზის გამონახვა“.

რას ნიშნავს ეს? ორში ერთი: ან ეროვნული რეფორმიზმი, მაშინ კამენევი გადაჭრით უნდა ებრძოლოს მას, ან ერთიანი ხაზი პრაქტიკულ მუშაობაში და მაშინ ბრალდებამ ეროვნულ რეფორმიზმის შესახებ მხოლოდ უნდა დაფაროს მთელი ოპოზიციის პოლიტიკური უპადრუკობა. თუ სწორია, რომ ცეკა სდგას „ეროვნული რეფორმიზმის“ პლატფორმაზე, მაშინ ყოველი [illegible] რევოლიუციონერი უნდა იბრძოდეს ცეკას წინააღმდეგ, და არა ეძებდეს მასთან შეთანხმებას. თუ ეს მართალია, მაშინ კამენევის მთელი სიტყვა არის შანტაჟი (ტაში). ვინაიდან წინადადება „ერთიანი ხაზის“ შესახებ ასეთ პირობებში გამოდის კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური ორგანოების, როგორც სხვადასხვა ფრაქციული ჯგუფებისა და ორგანიზაციების ფედერაციის შეფასებიდან, ამიტომ ჩვენ ამ ნიადაგზე ლაპარაკს გადაჭრით უარვყოფდით და უარვყოფთ მომავალშიაც. ჩვენ ყველანი მთლიანი კომუნისტური პარტიის ჯარისკაცები ვართ და არ შეგვიძლია პარტიული ყრილობებისა და და კონფერენციების გარეშე, პარტიის ზურგს უკან დავდოთ რაიმე შეთანხმებანი, დავფაროთ და მივაფუჩეჩოთ ძირითადი პრინციპიალური უთანხმოებანი.

კამენევი თავის სიტყვაში ჩიოდა, რომ ოპოზიციის მიმართ გამოყენებული იქნა ფილოსოფოს პლატონის რჩევა (სიცილი). პლატონი ამბობდა ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომელთაც დაფნის გვირგვინით აჯილდოებდნენ. კამენევი თავისთვის ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეთ სთვლის და საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა დაფნის გვირგვინის მიღებისა (სიცილი). მე არ ვიცი. მიაღწევს თუ არა კამენევი ოდესმე ამას, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ კამენევის სიტყვის „პლატონიურ ხრიკს“ [illegible] არა პლატონიური ბუზღუნი იმ მდგომარეობის გამო, რომელშიაც მოიქცა ოპოზიცია. მისთვის პირადად ასეთი მდგომარეობა სრულიად ახალია. მე უნდა ვსთქვა, რომ დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც კამენევი და ზინოვიევი გამოდიოდენ პლატონის „ბრძნულ რჩევათა“ გულმოდგინე აღმასრულებელთა როლში (ხმა ადგილიდან —ამხ. პლატონ!). ზინოვიევმა მარცხი განიცადა ამ „პლატონიური“ ტაქტიკის გამოყენების დროს, მაგალითად, როცა ჩვენ მას უარი უთხარით პოლიტბიუროს შემადგენლობიდან ტროცკის გამორიცხვაზე; ამასთანავე, ზინოვიევს ეს პლატონური მეთოდები უნდოდა გამოეყენებია იმ მომენტში, როცა ტროცკის მისი მეასედი ნაწილი არ ჩაუდენია, რაც ჩაიდინეს ზინოვიევმა და კამენევმა უკანასკნელ ხანებში პარტიისა და მისი მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგ აქ დამსწრეთაგანს ალბად ახსოვს ის პერიოდი, როცა ლენინგრადის აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე და ფილოსოფოს პლატონის როლში იყო ზინოვიევი, რომელმაც ადმინისტრატიულ საორგანიზაციო „დახვეწების“ მეთოდი გაცილებით უფრო მეტად გამოიყენა, ვიდრე სადმე და ოდესმე იყო გამოყენებული. აქ დამსწრე კომინტერნის წევრები, მე მგონია. მოიგონებენ, რომ ზინოვიევი „პლატონიზმის“ ამ მეთოდების გამოყენებას მეტად ფართოდ ხელმძღვანელობდა კომინტერნის სხვადასხვა სექციების მიმართ. (ტაში).

ზინოვიევსა და კამენევს საქმე ქონდათ ისეთ მოწინააღმდეგეებთან, რომელნიც გაცილებით უფრო მეტი დისციპლინით იყვნენ აღჭურვილნი, ვიდრე თვით ისინი გამოდგნენ. ჩვენი პარტიის ისტორიაში ჩვენ არ გვახსოვს ასეთი შემთხვევა, როგორც მაგალითად ზინოვიევის გამგზავრება თავის მამასთან (სიცილი). შეიძლება ყველა აქ დამსწრეებმა არ იციან. მე უნდა მოვაგონო, რომ ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა სწორედ იმ მომენტში, როცა კამენევი მოვიდა პოლიტბიუროს სხდომაზე, და ადგენდა 16 ოქტომბრის დაბეჭდილ დოკუმენტს და აცხადებდა, რომ ოპოზიცია ზავის მომხრეა და ომის წინააღმდეგი; სწორედ მაშინ არ იყო ზინოვიევი. ტომსკიმ ჰკითხა კამენევს ზინოვიევის არ მოსვლის მიზეზის შესახებ და პასუხად მიიღო, რომ ზინოვიევს მძიმე ავად ჰყავს მამა (სიცილი) და ლენინგრადში წავიდა მამასთან (სიცილი). ამავე დროს ჩვენ მივიღეთ ცნობები იმის შესახებ, რომ ლენინგრადის უმთავრეს ქარხნებში ზინოვიევის უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით ხდება ოპოზიციის ფარული, ორგანიზაციული გამოსვლა პარტიის წინააღმდეგ.

სწორედ იმ მომენტში, როცა კამენევი აწარმოებდა მოლაპარაკებას პარტიის ცეკასთან იმის შესახებ, თუ როგორი დოკუმენტით უნდა დაგვირგვინებულიყო ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტა, რომელიც, ოპოზიციის აზრით, განხეთქილების საფრთხეს ქმნიდა პარტიისათვის, კამენევი, ზინოვიევი და ოპოზიციის სხვა ბელადები ამ მომენტში ბავშურად ატყუებდენ პარტიის ცეკას და კონსპირატიულად ატარებენ ოპოზიციის გამოსვლებს ლენინგრადის ყველა დიდ ქარხნებში.

როცა ზინოვიევი იყენებდა თავის „პლატონიზმის“ მეთოდს, მაშინ ჩვენ არ გვქონდა ასეთი ორპირობის და პარტიის და მისი ცეკას ასეთი მოტყუების შემთხვევა. ზინოვიევი ნუ გაგვიჯავრდება, თუ ეხლა, თანამედროვე რთულ პირობებში უარს არ ვიტყვით, რომ ოპოზიციის მიმართ, რომელიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამოყენებულ იქნას ის მეთოდი, რასაც თავის დროზე ურჩევდა პლატონი (მხურვალე ტაში. მღერიან „ინტერნაციონალს“).

ამხ. ლოზოვსკის სიტყვა

მოსკოვი, 15 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 11 დეკემბრის დილის სხდომაზე კამათში გამოვიდა ამხ. ლოზოვსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ოპოზიციის ბელადების შეხედულებანი სავსეა წინააღმდეგობებით.

„ისინი სცნობენ, ამბობს ამხ. ლოზოვსკი, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში ვაშენებთ სოციალიზმს, მეორეს მხრივ ტროცკი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა თანდათან უფრო დამოკიდებული ხდება მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობისაგან. კამენევმა აღიარა, რომ ჩვენ სრულებითაც არ მივდივართ ტერმიდორისაკენ და იმავე დროს ის ჩვენ ბრალს გვდებს ეროვნულ კარჩაკეტილობის პერსპექტივაში. თეთრი ემიგრაცია აშკარად ამბობს, რომ ოპოზიციის იერიშები ასუსტებს საკავშირო კომპარტიას და, მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურასაც. ოპოზიციის ბელადები ბრალს გვდებენ ჩვენ მემარჯვენე გადახრაში, რადგან ჩვენ ვრჩებით ინგლის - რუსეთის კომიტეტში. მათ არ ესმით, რომ ინგლის - რუსეთის კომიტეტი არის საბჭოთა კავშირის მშრომელთა და ინგლისის პროლეტარიატის კავშირის გამოხატულება. ძირითადი საკითხი მდგომარეობს იმაში — თუ ვინ უნდა აიღოს თავის თავზე ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლის პასუხისმგებლობა. ამის შესახებ ოპოზიციის ბელადებს არაფერი არ უთქვამთ. ოპოზიციის ბელადებმა აქ მოგვცეს საექსპორტო პლატფორმა. თავისი გამოსვლებით მათ დაარღვიეს პარტიული დისციპლინა. ჩვენი პარტია საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ ალაგმოს ოპოზიციის ახალი გამოსვლები“.

ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვა

კამათში გამოვიდა ამხ. **კლარა ცეტკინი**, რომელმაც განაცხადა:

„დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ზინოვიევი მოუწოდებდა ყველა სექციებს ტროცკიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეხლა კი ის თავის ბრძოლას ტროცკის წინააღმდეგ უდიდეს პოლიტიკურ შეცდომათ აცხადებს და უერთდება ულტრა - მემარცხენე ბელადებს, რომელნიც პარტიიდან გამორიცხულ იქნენ საკავშირო კომპარტიის, კომინტერნის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეხლა ზინოვიევი ცდილობს გამოვიდეს პარტიულ დემოკრატიის თავგამოდებულ დამცველად საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის აპარატის წინააღმდეგ. ამ ცოტა ხნის წინად კი ის საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის აპარატის საშუალებით დაუზოგავათ ებრძოდა ყოველგვარ ოპოზიციონურ მიმართულებებს“.

„ოპოზიციის შეხედულებანი — ამბობს შემდეგ ამხ. ცეტკინი — გამოიხატება სურვილში, რათა მსოფლიო პროლეტარულმა რევოლიუციამ ერთი დაკვრით გადაჭრას ჩვენს წინაშე მდგარი ყველა სიძნელენი. საკითხის ასეთ დაყენებას მე ვსთვლი ერთ-ერთ უსაშიშროეს მოვლენად, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მომაკვდინებელი პესიმიზმი. ჩვენ რევოლიუციონერ მებრძოლთ, რომელნიც დაკავშირებულნი ვართ რუსეთის რევოლიუციასთან ჯერ კიდევ ოქტომბრის გამარჯვებიდან, გვიძნელდება დანახვა იმის, რასაც არასოდეს ადგილი არ ჰქონია ლენინის პარტიაში.

ამასთანავე ერთად ჩვენში აღფრთოვანებას და სიხარულს იწვევენ ის მუშა კომუნისტები, რომელთაც საკადრისი პასუხი გასცეს ოპოზიციის გამოსვლებს წარმოებებში. პარტიის და კომინტერნის მთლიანობა არის თავდები იმის, რომ, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, საბჭოთა კავშირის მშრომელნი სოციალისტურ მშენებლობას მიიყვანენ ბოლომდე და მთელი ქვეყნის პროლეტარიატი განთავისუფლდება კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან“.

ამხ კოლაროვის სიტყვა

ამხ. კოლაროვმა აღნიშნა, რომ ოპოზიციამ კი არ დაკეცა, არამედ მხოლოდ შეინახა თავისი დროშა ახალ სიძნელეთა მოლოდინში. თავის ბრძოლაში ტროცკის წინააღმდეგ, ზინოვიევი ერთ დროს მოითხოვდა გარანტიებს ტროცკის გამოსვლების განმეორების წინააღმდეგ.

„ეხლა — ამბობს ამხ. კოლაროვი — ჩვენ ეს გარანტიები უნდა მოვითხოვოთ თვით ზინოვიევისაგან. ლენინის სიკვდილის შემდეგ ზინოვიევი იყო კომინტერნის ყველა რეზოლიუციების ავტორი და ყველაზე უფრო ენერგიული მებრძოლი ტროცკიზმის წინააღმდეგ. ეხლა კი ის თვითონ გადავიდა ტროცკის ბანაკში. ზინოვიევი სოლიდარობას უცხადებს იმას, რაც ტროცკის უთქვამს 1923 წელს რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ. ტროცკი კი შემცდარათ აცხადებს თავის ნაწარმოებს, რომელშიაც ის აკრიტიკებდა ზინოვიევის მოქმედებას 1917 წლის ოქტომბერში. ეს აიხსნება იმით, რომ ზინოვიევი და ტროცკი ჰქმნიან ბლოკის საფუძველს. ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ზინოვიევმა განაცხადა, რომ მუშათა კლასის განვითარების დონე ამჟამად საკმაოდ მაღალია იმისათვის, რომ მან გაარჩიოს ჭეშმარიტი ლენინიზმი ცრუ ლენინიზმისაგან. ეხლა შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს თვით ზინოვიევის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის უარყოფა ნიშნავს კონტრ-რევოლიუციისათვის დახმარების გაწევას. თეორია, რომელიც ამბობს, რომ პროლეტარიატს შეუძლია ძალაუფლების დაპყრობა, მაგრამ არ შეუძლია სოციალიზმის აშენება, არის უძლურების თეორია. ტროცკი ვერ მიმხვდარა, რომ თუ ეხლა საბჭოთა კავშირი დამოკიდებულია მსოფლიო კაპიტალიზმისაგან, სოციალისტური განვითარების განსაზღვრულ პერიოდის შემდეგ მსოფლიო კაპიტალიზმი იქნება ჩვენგან დამოკიდებული. ოპოზიცია სპეკულიაციას ეწევა სიძნელეებზე. კომინტერნი უნდა გაერთიანდეს საკავშირო კომპარტიის ცეკას გარშემო და ალაგმოს ოპოზიცია ყველა ქვეყნებში ისევე, როგორც ეს ალაგმეს საბჭოთა კავშირში“.

ამხ. ტელმანის სიტყვა

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 11 დეკემბრის საღამოს სხდომაზე კამათში ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო გამოვიდა ამხ. ტელმანი.

„ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის გამოსვლა — ამბობს ამხ. ტელმანი — წარმოადგენს შეტევას კომინტერნის საფუძვლების წინააღმდეგ.

მაგრამ კომინტერნი ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის იერიშების მიუხედავათ და მათ წინააღმდეგ, მტკიცედ სდგას. ოპოზიციამ შეგნებულად დაარღვია თავისი ვალდებულება 16 ოქტომბრის თარიღით ის განაგრძობს მუშაობას. ის აქ გამოდის როგორც გაერთიანებული ფრაქციული ბლოკი. ზინოვიევი ლაპარაკობს ტროცკის სახელით და ტროცკიზმის ბანაკზე. აქ ის პირველად გამოვიდა არა თავისი პარტიის დავალებით, როგორც ეს ხდებოდა ყველა წინანდელ კონგრესებზე და გაფართოებულ პლენუმებზე, არამედ პარტიის წინააღმდეგ. კამენევი აქ ლაპარაკობდა საკავშირო კომპარტიის „ნაციონალურ კარჩაკეტილობის შესახებ“. მაგრამ ეს ბრალდება მთლიანად მიმართულ უნდა იქნეს ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მოახდინოს რევოლიუციონურ მუშაობის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ზინოვიევი და კამენევი აცხადებენ, რომ ისინი კი არ მივიდენ ტროცკისთან, არამედ ტროცკი გადავიდა მათ მხარეზე. მაგრამ მათი სიტყვები სწორედ წინააღმდეგს ამტკიცებს. ტროცკის არ შეუცვლია თავისი პროგრამა, არ უღალატნია პერმანენტულ რევოლიუციის თეორიისათვის. ჩვენი უახლოესი ამოცანაა ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის აღმოფხვრა. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი, მათი გამოსვლების შედეგათ დაჰკარგავენ თავისი გავლენის უკანასკნელ ნაშთებს. ჩვენ კი, საკავშირო კომპარტიისა, კომინტერნისა და მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებთან ერთად ვაშენებთ სოციალიზმს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ყველა ქვეყნებში ჩვენი ლოზუნგია: ერთობა და მთლიანობა ბოლშევიზმის საფუძველზე და ბოლშევიკური დაუზოგავი ბრძოლა მთლიანობის ყოველგვარ დამრღვევთა წინააღმდეგ. (მქუხარე ტაში).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველი ბრიტანეთის იმპერია აღარ არსებობს“

ინგლისელ კონსერვატორების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

გაზეთ „მანჩესტერ გარდიენი“-ის განცხადება

ძველი ბრიტანეთის მთლიანობა დარღვევა

ლონდონი, 14 დეკემბერი. სამხრეთ-აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრმა კაპშტადში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ძველი ბრიტანეთის იმპერია უკვე აღარ არსებობს. ის, რაც მისგან დარჩა, ეს არის თავისუფალი კავშირი, რომელიც შესდგება ინგლისისა და ექვსი დომინიონისაგან, რომელნიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ. (ადს).

კონსერვატორები სისინებენ

ლონდონი, 15 დეკემბერი. რეაქციონური „დეილი მეილი“ განაგრძობს თავის ანტისაბჭოთა კამპანიას.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ ამ კამპანიის საპასუხოდ აცხადებს, რომ ჩემბერლენს არავითარ შემთხვევაში არა აქვს განზრახული გაწყვიტოს ან და გაათულოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მიუხედავათ ბირკინჰედის გავლენისა ინგლისის მთავრობამ გადაუხვიოს სწორ ხაზს. (ადს).

გაფიცვის ჩაშლის შემდეგ

ლონდონი, 14 დეკემბერი. შეწყდა მოლაპარაკება ჩრდილოეთ უელსის მაღაროს მეპატრონეთა და სამთამადნო მუშებს შორის. ჩრდილოეთ-უელსში მუშაობს 18.000 მემაღაროე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთ-უელსის მაღაროს მეპატრონეები მოითხოვდენ, რომ სამთამადნო მუშები დათანხმებულიყვნენ პროცენტული მომატების შემცირებაზე და სამუშაო დღის გადიდებაზე 8 საათამდე დღეში. [illegible] მუშების წარმომადგენლებმა უარჰყვეს მაღაროს მეპატრონეთა ეს წინადადებები. (ადს).

ვარშავის რესპუბლიკაში

ვარშავა, 14 დეკემბერი. მუშა ბერნატოვიჩმა, რომელიც დაითხოვეს ქალაქის სასაკლაოების მუშების ეხლახან დასრულებული გაფიცვის შემდეგ, რევოლვერით მოჰკლა სასაკლაოების ერთ-ერთი დირექტორი.

ბერნატოვიჩმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მან დირექტორი მოჰკლა იმ მიზეზით, რომ უკანასკნელმა ულუკმა-პუროდ დასტოვა სასაკლაოს 185 მუშა. (ადს).

„შუბლმაგართა“ მოთხოვნილება

ლონდონი, 15 დეკემბერი. ბოლდუინთან მივიდა დეპუტაცია, პარლამენტის 12 კონსერვატიულ წევრის შემადგენლობით; მათ რიცხვში შედიოდნენ „შუბლმაგართა“ რამდენიმე ცნობილი წარმომადგენელი.

დეპუტაციამ გადუშალა ბოლდუინს იმ კონსერვატორების თვალსაზრისი, რომლებიც მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობა არ დათანხმდეს ახალ საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის დანიშვნაზე. პრემიერის თხოვნით, მის საუბარს დეპუტაციასთან საიდუმლოთ ინახავენ.

გაზეთების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ბოლდუინმა დეპუტაციას უარყოფითი პასუხი მისცა. (ადს).

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 14 დეკემბერი. კომუნისტური „სილეზიის მუშათა გაზეთის“ პასუხისმგებელ რედაქტორს საქსონიის ყოფილ მეფის შეურაცხყოფისათვის მისჯილი აქვს ორი თვის ციხე.

პასუხისგებაში მიცემული რედაქტორი ბრალს სდებდა საქსონიის მეფეს კენიგსფელდის მამულის უკანონოდ მი-

ქურთ. ხანის ბინა

თეირანი, 14 დეკემბერი. იმ მოლაპარაკების დროს, რომელსაც სპარსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა მესოპოტამიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმის შესახებ, რომ სპარსეთის მთავრობისათვის გადაეცათ რიზა-ხანის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობი სალარიდ დაველი და ისმაილ სიმკო, მესოპოტამიის ხელისუფლების წარმომადგენელმა თავის მხრივ მოითხოვეს, რომ გადაეცეს მათ შეიხ მახმუდი (სამხრეთ ქურთისტანის ერთი გავლენიანი ბელადთაგანი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებს აქტიურ ბრძოლას ინგლისელების წინააღმდეგ), რომელიც სპარსეთის ქურთისტანში იმალება. (ადს).

„დეილი ტელეგრაფის“ კითხვა

ლონდონი, 14 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფი“, უკეთებს რა კომენტარიებს კუკის მიერ მოსკოვში თქმულ სიტყვას, სვამს კითხვას: „როგორ ფიქრობენ მოიქცევა მაკდონალდი, ტომასი და მუშათა მოძრაობის სხვა რეფორმისტული ბელადები კუკის დაბრუნების შემდეგ ინგლისში“.

გაზეთი სასტიკად ილაშქრებს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და უხეშ ლანძღვა-გინებას გზავნის უკანასკნელის მისამართით. (ადს).

პოლიტპატიმართა სიმშილობა

ვარშავა, 15 დეკემბერი. მერვე დღეა გრძელდება პოლიტპატიმართა სიმშილობა ვილნოს ციხეში—ლუკიშკაში. განუწყვეტლივ ეწყობა დემონსტრაციები ციხის წინ. ერთ-ერთ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს სოფლიდან ქალაქში საგანგებოდ ჩამოსულმა გლეხებმა. დემონსტრანტები გარეკა პოლიციის ცხენოსანმა რაზმმა, 15 კაცის შემადგენლობით. (ადს).

1.506.000 უმუშევარი

ლონდონი, 14 დეკემბერი. აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი ინგლისში 6 დეკემბრისათვის იყო 1.506.000 კაცი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

„ვოლხოვსტროი“.

მოსკოვი, 15 დეკემბერი. ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიერ „ვოლხოვსტროის“ მეთვალყურეობისათვის გამოყოფილ კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა „ვოლხოვსტროის“ მთავარი ინჟინერის გრაფტიოს მოხსენება „ვოლხოვსტროის“ მდგომარეობის შესახებ და განიხილა მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელნიც დაკავშირებული არიან ელექტრო - ენერგიის [illegible] „ვოლხოვსტროის“ ელექტრო სადგურიდან ლენინგრადში.

კომისიამ დაადგინა ახლო მომავალში ინახულოს „ვოლხოვსტროის“ ჰიდრო ელექტრო-სადგური. (ადს).

ფასების დაკლება

მოსკოვი, 15 დეკემბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა 15 დეკემბრიდან შეამციროს რაფინადი - შაქრის ფასები 80 კაპეიკით ფუთზე და დაავალა ვაჭრობის სახ. კომისარიატს უზრუნველყოს საცალო გაყიდვაში ფასების დაკლება 2 კაპ. გირვანქაზე არა უგვიანეს 1927 წლის 1 იანვრისა.

მეაბრეშუმეობის კომიტეტი

მოსკოვი, 15 დეკემბერი. მთავარ ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიაში შეტანილია პროექტი, რომლის თანახმად საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან უნდა დაარსდეს მეაბრეშუმეობის საუწყებათაშორისო სრულიად საკავშირო კომიტეტი. კომიტეტი არსდება მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების გასაერთიანებლად და შესათანხმებლად.

კომიტეტში შევლენ საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს, ამიერ - კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკის და შუა აზიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის და მიწად - მოქმედების სახ. კომისარიატის და ფეიქართა კავშირის ცეკას წარმომადგენლები. (ადს)

ამხ. კუკის წერილი

მოსკოვი, 15 დეკემბერი. ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა, რომელიც ამჟამად იმყოფება მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ტრანსპორტელებს მიმართა შემდეგი წერილით:

„ინგლისის მუშების სახელით გადმოგცემთ მხურვალე სალამს და თქვენს მუშაობაში გამარჯვების სურვილს. თქვენ გაწევთ დიდ პასუხისმგებლობა: ასრულებთ რა თქვენ ვალს მუშათა კლასის ინტერესებისათვის, თქვენ უზრუნველყოფთ საბჭოთა წყობილების გამარჯვებას. ჩვენ ინგლისში უნდა მივსდიოთ თქვენს ნაკვალევს. ამიტომ ჩვენ გვესაჭიროება თქვენი ყოველმხრივი დახმარება, რათა თქვენი გამოცდილება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო მასშტაბით — კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებისათვის“. (ადს).

ბოგოლიუბოვის სამარცხვინო საქციელი

მოსკოვი. 15 დეკემბ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, მსოფლიოში გამოჩენილმა მოჭადრაკემ ბოგოლიუბოვმა ამ დღეებში ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც იგი სწერს:

ვინაიდან იგი, როგორც საბჭოთა მოქალაქე, იტალიის მთავრობის მიერ დაშვებული არ იქმნა მერანის ტურნირზე, წმინდა მატერიალურ მოსაზრებათა გამო შესაძლებლად სცნობს დასვას საკითხი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ.

ფიზკულტურის საბჭოს მოჭადრაკეთა სექციამ დაადგინა: თუმცა ბოგოლიუბოვს არავინ არ უშლიდა ხელს, რომ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში და სარგებლობა მოეტანა მუშათა მასებისათვის თავისი განსაკუთრებული ნიჭით ჭადრაკის თამაშში და თუმცა იგი აქ შოულობდა არსებობისათვის საჭირო თანხას, მაგრამ ახ წერილით მან გვიჩვენა, რომ საკუთარი ჯიბისა და პირადი მატერიალური კეთილდღეობის ინტერესები მაღლა დააყენა მსოფლიოში პირველი მუშური სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეობის სახელწოდებაზე, რომ მისი კავშირი კაპიტალისტური ევროპის ბურჟუაზიულ კლასთან უფრო მაგარი გამოდგა, ვიდრე მუშათა კლასთან და საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ორგანიზაციებთან, რომ ასეთი განცხადების შემდეგ ლაპარაკი აღარ შეიძლება ბოგოლიუბოვის საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე და საბჭოთა მოჭადრაკეთა წრეში მონაწილეობაზე,— ჩამოერთვას ბოგოლიუბოვს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკის ჩემპიონის წოდება და გამორიცხულ იქნეს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ორგანიზაციის წევრთა რიცხვიდან. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბაიჯანი

რკ.-გზის ინჟინრების საქმე

ბაქო, 15 დეკემბერი. ბაქოს საოლქო სასამართლოს სესიამ განიხილა ბაქო-ჯულფის რკინის გზის ინჟინრების ლეონტიევის, ალექსეევის და პოკროვსკის, რკინის გზის ხელოსნის ბაგიროვის და ზიუკინის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ დიდი ბოროტმოქმედება, რის გამოც რკინის გზამ იზარალა 20.000 მანეთი.

სამი ბრალდებულთაგანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 3-დან 8 წლამდე. ლეონტიევი და ალექსეევი გაამართლეს. (ადს).

ბოროტმოქმედება საფეიქრო სინდიკატში

ბაქო, 15 დეკემბერი. სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედნი აღმოაჩინა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივ განყოფილებაში.

საწყობის გამგე დუძინინს აგენტ როშჩინის ხელის შეწყობით სისტემატიურად გაჰქონდა მანუფაქტურა, რომელსაც იგი გზავნიდა კერძო კანტორაში, საიდანაც კერძო ვაჭარ ალიევის მეოხებით მანუფაქტურა ვრცელდებოდა კერძო მაღაზიებში. ამ საქმის გამო დაპატიმრებულია 5 კაცი, რომელთაგან ოთხმა წინასწარ გამოძიებაზე აღიარეს თავი დამნაშავედ. (ადს).

სომხეთი

საკავშირო აღწერის წინ

ერევანი, 15 დეკემბერი. აღწერის ჩასატარებლად სომხეთში გამოყოფილია ინსტრუქტორთა კადრი; მალე დასრულდება რეგისტრატორებისათვის ინსტრუქციების მიცემა.

ცალკე სააღწერო უბნების ხელმძღვანელებად დანიშნული არიან მობილიზაციით გაწვეული პასუხისმგებელი მუშაკნი. აღწერის ხელისშემწყობ სამაზრო სამეულებს მიცემული ჰყავთ გამცილებლები იმ რეგისტრატორებისათვის, რომლებიც აღწერას ატარებენ საზამთრო სადგომებში. ყველა უბნებსა და სოფლებში მოწყობილია აღწერის ხელისშემწყობი [illegible], რომლებიც ამჟამად ატარებენ კამპანიას გლეხობას შორის და უხსნიან მათ აღწერის მნიშვნელობასა და მიზანს.

ერევნიდან რაიონში გადაგზავნილია სათანადო საალწერო პერსონალი; საგრძნობია კვალიფიციურ მუშაკთა ნაკლებობა. (ადს).

პროფკავშირთა ყრილობა

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

მოსკოვი, 15 დეკემბერი. პროფკავშირთა ყრილობაზე კამათში ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო გამოვიდა ამხ. ყურულაშვილი, რომელმაც განაცხადა:

„საქართველოში იყვნენ უცხოეთის მრავალი დელეგაციები. ჩამოდიოდნენ დელეგაციები, რომელნიც შესდგებოდნენ მუშებისაგანაც და მათი ბელადებისაგანაც. ბელადები ხშირად გამოდიოდნენ ჩვენი მუშების წინაშე და აცხადებდნენ, რომ [illegible] თავიანთ სახელმწიფოში მოახდენენ ასეთსავე სოციალისტურ რევოლუციას და არ შეჰერდებიან თვით სისხლის დაღვრის წინაშეც კი. მართალია ჩვენ მაშინ არ გვჯეროდა მათი, მაგრამ მათ გაამართლეს ჩვენი ყველაზე უფრო ცუდი ეჭვები. ისინი მშიშრები აღმოჩნდნენ. არამც თუ რევოლუციაში, არამედ გაფიცვაში. ჩვენში [illegible] მუშათა დელეგაციები არ სწყვეტენ კავშირს ჩვენთან და აწარმოებენ ბრძოლას თავის ქვეყნებში.

ეს ფაქტები აშკარად გვიჩვენებენ ვისზე უნდა ავიღოთ კურსი. ძველ ბელადებზე, რომელნიც დროგამოშვებით რევოლუციონურ ფრაზებს ხმარობენ, თუ მუშათა კლასის დაბალ ფენებზე, იმ მუშათა კლასის, რომელიც [illegible] ამ ბელადების გაძევებას პროფკავშირებიდან. რათა უკანასკნელნი ნამდვილ კლასობრივ ორგანიზაციებათ გადააქციოს. მე ვფიქრობ, რომ პროფინტერნი უნდა მუშაობდეს მთლიანობის ჯგუფების განვითარებისათვის და ამ ჯგუფებში მუშების ჩასაბმელად. ინგლისის გაფიცვამ ყველაზე უფრო კარგათ დაგვანახვა, ვინ არის ჩვენი მეგობარი. მუშათა კლასის მეგობარი. ინგლისის სამთამადნო მუშების დამარცხება [illegible] გამოიწვევს კაპიტალის შეტევას მუშების წინააღმდეგ სხვა ქვეყნებშიაც. როცა [illegible] მუშებმა დაამტკიცეს თავისი კლასობრივი სოლიდარობა. როცა ინგლისის მუშებს [illegible] დახმარება [illegible] მუშებს. მე [illegible]. მე მინდა [illegible] მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობაში [illegible] მუშათა კლასის [illegible] რევოლუციონურ [illegible]“.

თეზისების მიღება

მოსკოვი, 15 დეკემბერი. პროფკავშირთა ყრილობის 14 დეკემბრის საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო. ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვის შემდეგ მისი მოხსენების თეზისები მიღებულ იქნა საფუძვლად.

ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო რეზოლუციის შემუშავება დაევალა კომისიას 35 ამხანაგის შემადგენლობით. (ადს)

15 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 15 დეკემბ. პროფკავშირთა ყრილობის 15 დეკემბრის დილის სხდომაზე სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლიუბიმოვმა.

კოოპერაციის პრაქტიკული ამოცანები, აღნიშნა ამხ. ლიუბიმოვმა, მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელთა მოთხოვნილების მიხედვით იქნას შერჩეული საქონელი, გაუმჯობესდეს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების მომხმარებელთათვის მიწოდების საქმე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშა - მომხმარებელს და კოოპერაციის ფინანსიურად გამაგრებას. ამ ამოცანებს კოოპერაცია შეასრულებს იმ შემთხვევაში, თუ მის მუშაობაში ფართო მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირებში შეკავშირებული მუშათა მასები.

შემდეგ მოხსენება მუშათა კოოპერაციის შესახებ გააკეთა ამხ. კნოპინსკიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოოპერაციის საზოგადოებრივი და სამეურნეო მუშაობა მუშა მომხმარებლების უშუალო ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ამხ. კნოპინსკის სიტყვის შემდეგ ნორვეგიის პროფკავშირთა ეროვნულ საბჭოს და ნორვეგიის მთელი მუშათა კლასის სახელით მისალმა ამხ. ალბერტი; მან ყრილობას გადასცა ძმური სალამი აგრეთვე ფინეთის მუშებისაგანაც, რომელნიც სიხარულით შეხვდნენ წინადადებას წარმომადგენელთა გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ვერ გამოგზავნეს იმის გამო, რომ ფინეთის მთავრობამ მათ ვიზა არ მისცა.

ყრილობამ პრეზიდიუმს დაავალა საპასუხო მისალმებით უპასუხოს ნორვეგიის პროლეტარიატს საბჭოთა პროფკავშირების სახელით. (ადს).

ძველი წევრის დაბრუნება პარტიაში

ხარკოვი, 15 დეკემბერი. უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის ყოფილი ძველი წევრის ლაპჩინსკის განცხადება პარტიაში უკან მიღების შესახებ.

ლაპჩინსკი—პარტიის წევრია 1906 წლიდან. ოქტომბრის გადატრიალების დროს იგი მუშაობდა უკრაინაში და ერთ დროს უკრაინის კომპარტიის ცეკას წევრი იყო. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ლაპჩინსკიმ შეცდომები დაუშვა პარტიის ეროვნულ პოლიტიკაში უკრაინაში, რის გამოც გამოვიდა პარტიიდან.

ლაპჩინსკი თავის განცხადებაში აღიარებს შეცდომებს და ამბობს, რომ პარტია სწორ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს. ლაპჩინსკი თხოულობს, რომ მიღებულ იქნას უკან პარტიაში, რათა იბრძოლოს პარტიისათვის იმათ წინააღმდეგ, ვინც,—როგორც მაგალითად ეხლანდელი ოპოზიცია,—ცდილობს პარტიის დასუსტებას და მის დანგრევას.

ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ ლაპჩინსკი მიღებულ იქნას პარტიაში. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტკონფერენციები

გორის მაზრის კონფერენცია.

გორი, 15 დეკემბერი. დღეს, დღის 2 საათზე, გაიხსნა გორის მაზრის მეშვიდე პარტკონფერენცია.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ქართველიშვილი, ცხაკაია, მახარაძე და კაკიანი.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დოლიძის მოხსენება საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. (ადს).

სამხრეთ-ოსეთის კონფერენცია.

ცხინვალი, 15 დეკემბერი. 12-15 დეკემბრამდე სამხრეთ-ოსეთში გაიმართა რაიონული პარტკონფერენციები.

25 დეკემბრისათვის მოწვეულია სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკონფერენცია.

კონფერენციაზე, საოლქო პარტკომის წლიური ანგარიშის გარდა, მოსმენილი იქნება მოხსენებები საბჭოებში წინასწარ მოსამზადებელი კამპანიის ჩატარებისა, კოოპერაციის მდგომარეობისა და სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. (ადს).

პარტიისა და კომკავშირის აქტივის კრება.

გეოქჩაი, 15 დეკემბერი. 10 დეკემბერს გაიმართა პარტიისა და კომკავშირის აქტივის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. მუსეიბოვის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. კრებამ აღნიშნა კონფერენციის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა მრეწველობის და სასოფლო- მეურნეობის განმტკიცების დარგში და აგრეთვე უღარიბეს გლეხთა შორის მუშაობის საქმეში.

საკითხზე შინაპარტიული ოპოზიციის შესახებ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც თქმულია, რომ პარტიულ მასას მოუწოდებს მთლიანობის და მუშაობის გაძლიერებისაკენ ჩვენი მრეწველობის განმტკიცებლად. (ადს).

მე-3 რაიონის მე-7 პარტკონფერენცია.

მესამე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენებით არსენალის რაიკომის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ფანცულაია.

ორატორმა დაიწყო თავისი მოხსენება რაიონის წარმოებათა მდგომარეობის დახასიათებით და აღნიშნა, რომ რაიონის უმთავრეს დარგებში აწარმოვო გეგმა სავსებით არის შესრულებული. უმთავრეს დამახასიათებელ წარმოებებათ რაიონში ითვლება ლითონ-ტრესტი, თამბაქო ტრესტი, ტრამვაი და ელექტრო-მოწყობილობათა სამმართველო. თამბაქოს ტრესტში საწარმოო გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, ტრამვაიში 92 პროც., ელექტრო-სადგურებში 101 პროც. რაც შეეხება ლითონ-ტრესტს. საანგარიშო ხნის განმავლობაში მისი მდგომარეობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მიღებულია ზომები იმისათვის, რომ მომავალში ამ ტრესტის მუშაობა მოწესრიგდეს. გადადის რა რაიონის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებაზე მომხსენებელი ამბობს, რომ პარტიის ავტორიტეტი და გავლენა რაიონის უპარტიოთა შორის საგრძნობია. ეს გარემოება მტკიცდება იმით, რომ გაიზარდა უპარტიოთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ. ისინი ცხოველ მონაწილეობას იღებენ პროფკავშირების და ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობაში და სხვა.

შინაპარტიული მუშაობა

ორგანიზაციის მდგომარეობა რაიონში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტმუშაობა საერთოდ გაღრმავდა და გაშინაარსიანდა. ეს გამოაშკარავდა უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს და აგრეთვე ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის და მეხუთე პარტკონფერენციის რეზოლუციების დამუშავების დროს. რაიონი მთლიანად და სავსებით შეუერთდა პარტიის ყველა დადგენილებებს და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ოპოზიციის გამოსვლას. ადგილობრივმა ოპოზიციონერებმა ერთხელ ჩვენს რაიონშიაც სცადეს გამოსვლა პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ უჯრედების ჯგუფურმა კრებამ ისე მიიღო ისინი, რომ მათ უკვე მეორე კრებაზე მისვლა ვეღარ გაბედეს. ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ გაიზარდა პარტიის წევრთა საერთო განვითარების და შეგნების დონე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ნაკლიც. ისე მაგალითად, ზოგიერთ ადგილას პარტიის წევრები უპარტიოთა გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაცია თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდებოდა. ჩვენ ვცდილობდით პარტიის რიგებში ჩაგვება რაიონის საუკეთესო პროლეტარული ნაწილი. ამჟამად რაიონში ირიცხება 2.069 წევრი და კანდიდატი. მათ შორის მუშებია 75 პროც., გლეხები 5,4 პროც., მოსამსახურეები 19.6 პროცენტი, წარსულთან შედარებით ორგანიზაციაში ნაწილობრივ შემცირდა მუშების პროცენტი, მაგრამ ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ რაიკომმა მოახდინა ორგანიზაციის წევრთა სოციალური მდგომარეობის გადათვალიერება და ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც მუშებათ ირიცხებოდა, გადარიცხულ იქნა სხვა ჯგუფებში. გასული წლიდან ორგანიზაცია გაიზარდა 407 კაცით.

უჯრედების მუშაობა

გადადის რა უჯრედების მუშაობის დახასიათებაზე, ორატორი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს ამ დარგში და ამბობს, რომ უჯრედების მუშაობა გაცხოველდა და გეგმიანი გახდა. უკეთ აწარმოებენ უჯრედები დღის წესრიგის შერჩევას იმ მხრივ, რომ მიზიდულ იქნეს უჯრედების ღია სხდომების მუშაობაში უპარტიო მუშებიც. გაუმჯობესდა ბიუროების შემადგენლობაც და მათი მუშაობაც. უჯრედებში არსებობს სხვადასხვა კომისიები. ეს კომისიები ბიუროების დამხმარე ორგანოებს წარმოადგენენ და უნდა ითქვას, რომ მათ საგრძნობლად შეუწყვეს ხელი წევრთა აქტივობის ზრდას და უჯრედის საქმიანობაში ჩაბმას. უჯრედების ბიუროების არჩევნები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ორჯერ. არჩევნების დროს სავსებით იქნა გატარებული შინა-პარტიული დემოკრატია, რამაც შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უჯრედების მუშაობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა საბჭოთა უჯრედებს ნაკლი უფრო აქვთ, ვიდრე მუშურ უჯრედებს. საბჭოთა უჯრედები სუსტად აწარმოებენ ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რაც უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

უჯრედების მუშაობის საერთო გაცხოველებასთან ერთად გაუმჯობესდა მასიური მუშაობაც, უპარტიოთა შორის მუშაობის გაცხოველებას ხელი შეუწყვეს უჯრედების ღია კრებებმა.

შემდეგ ორატორი ეხება ნებაყოფლობითი საზოგადოების პროფორგანიზაციების, კოოპერაციის და კომკავშირის მუშაობას და გადადის აგიტპროპ-მუშაობის დახასიათებაზე.

აგიტპროპ-მუშაობა

აგიტპროპ-მუშაობის უმთავრესი ამოცანა იყო პარტიის წევრების ჩაბმა პარტ-განათლების ქსელში, წევრთა და კანდიდატთა პოლიტცოდნის დონის ამაღლება, აგიტატორთა კადრის გაძლიერება და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას. 1925—26 სასწავლო წელში რაიონში გახსნილი იყო 16 ქართული, შვიდი სომხური და 22 რუსული სკოლა. მიმდინარე წელს სკოლების რიცხვი 74-მდე ადის. სულ სკოლებში ჩაბმული იყო 1113 ამხანაგი. მათ შორის უპარტიო 134.

სააგიტაციო დარგშიც სწარმოებდა მუშაობა. დაარსებულ იქნა 7 სააგიტაციო წრე, რომლებმაც სამწუხაროდ ვერ მოგვცეს სათანადო შედეგები, რადგან ეს წრეები ერთის მხრივ მოწყობილ იქნა ზაფხულის დასაწყისში, ხოლო გარდა ამისა, არ იყო სათანადო გამოცდილება და ხელმძღვანელ ძალთა ნაკლებობასაც განვიცდით.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა კედლის გაზეთების, წრეების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაზე.

ამხ. ფანცულაიას შემდეგ, ქალთა შორის მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. მიხაილოვა, ხოლო კომკავშირის მუშაობის შესახებ ამხ. იმხანოვი.

რა გააკეთა მეორე რაიკომმა

ეკონომიური მდგომარეობა

ჩვენი რაიონის ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად ზედმეტი არ იქნება ზოგიერთ ციფრების მოყვანა.

ძირითად საწარმოო და სატრანსპორტო წარმოებათ ითვლება რაიონში: ლითონ-ტრესტის ქარხნები, თამბაქოს ტრესტის ქარხნები, ელექტრო სადგურები, და ტრამვაის სახელოსნო, მოძრაობის დარგი.

ყველა წარმოებებში 1925—26 წ. საწარმოო გეგმები მაქსიმალურათ ტარდება ცხოვრებაში.

თამბაქოს ტრესტები, ელსადგურები, და ტრამვაი მუშაობს მთელი დატვირთვით, რაც არ შეიძლება ითქვას ლითონ ტრესტების ქარხნებზე.

რამდენი მუშახელი მუშაობს ხსენებულ დაწესებულებებში?

თამბ. ტრესტი — 1390 კ., ტესი (რუსის) 726 კ., ლითონტრესტი — 838კ., ტრამვაი—1796 კ.

როგორც შრომის ნაყოფიერება ისე წარმოებითი დისციპლინა მუშათა შორის საგრძნობათ აიწია. რასაც რასაკვირველია ხელს უწყობდა პარტიის და პროფკავშირის მუშაობა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს მეტი შეგნებული დამოკიდებულება მუშებისა წარმოებებთან.

ორგანიზაციის ზრდა

ორგანიზაციის ზრდა ნელი ტემპით ხდებოდა შედარებით, ორგანიზაციაში მიღება სწარმოებდა შერჩევით და საუკეთესო მუშათა ელემენტების მიღებით.

საანგარიშო ხნის განმავლობაში, ორგანიზაცია გაიზარდა 407 კაცით.

ამჟამად ორგანიზაციაში ირიცხება 2.069 კაცი.

ამათგან წევრია 1.505 კაცი—27,7% და კანდიდატი 564 კაცი. 27,3% 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კი წევრთა რაოდენობა. უდრიდა 63,6% ხოლო კანდიდატთა კი36,4%.

ორგანიზაციაში მიღებულ იქნა სულ 377 კაცი. ამათგან მუშები, 77,2%, გლეხები 6,1% სხვა 16.7%.

ეროვნებისდა მიხედვით ორგანიზაციაში ირიცხება ქართველი — 33%, სომხები—33.3%, თურქები — 9.4%, რუსები — 24,2% დანარჩენი სხვა ეროვნების.

სულ რაიონში 8,155 მუშა და 2.106 მოსამსახურეა.

პარტიაში დაახლოვებით არის მუშა - მოსამსახურეთა მთელი რიცხვიდან 23% მუშებისა და 19.2% მოსამსახურეებისა.

სულ რაიონში ირიცხება 45 უჯრედი. ამათგან ახლად დაარსებულია 9.

მომავალში რაიკომის ამოცანაა, ჩაითრიოს პარტიაში რაც შეიძლება მეტი რიცხვი დაზგის მომუშავე მუშებისა.

უჯრედების შინაური მუშაობა

უჯრედების შინაურის მუშაობის გამოცოცხლების საკითხი ყოველთვის რაიკომის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

2-ჯერ ჩატარებულმა ბიუროს არჩევნებმა ნათლად დაამტკიცა, რომ უჯრედებმა შეისისხლხორცეს შინაპარტიულ დემოკრატიის პრინციპები და ამოცანები.

უჯრედებში უმთავრესად არჩევენ წარმოების ადმინისტრაციასთან დაკავშირებულების და უჯრედებთან არსებულ კომისიების მუშაობის საკითხებს.

საგრძნობლად გაიზარდა უჯრედის აქტივიც.

უჯრედების ბიუროს შემადგენლობაში, ამჟამად შედის 206 ამხანაგი. ამათგან მუშების რიცხვი უდრის 68 5 პროც., გლეხების 1.4 პროც., და სხვა ჯგუფების 30,1 პროც.; ეროვნების მიხედვით: ქართველები 34. 4 პროც., სომხები 24 2 პროც., რუსები 26.2 პროც.. და სხვა ჯგუფ. 11,2 პროც.; ამათგან ქალები 10 2 პროც.

უჯრედებთან დაარსებულია ძირითად აქტივის მოსამზადებლად კომისიები და ჯგუფ-ორგანიზატორთა ინსტიტუტები, რომლითაც პრაქტიკულ მუშაობაში ითრევენ და ქმნიან ასეულ პარტიულებს.

ამჟამად უჯრედებში არის შემდეგი კომისიები: საორგანიზაციო — 11, სააგიტაციო — 23, და ქალთა — 12.

საკომისიო მუშაობა

წარსულმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ საკომისიო მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო.

საერთოდ კომისიებმა დაამტკიცა, რომ ისინი არიან უჯრედების ბიუროების ერთგვარი დამხმარე ორგანოები მუშაობის გამოცოცხლებაში.

საკომისიო მუშაობაში აღსანიშნავია აგიტკომისიის მუშაობა. შედარებით [illegible] ორგ-კომისიების მუშაობა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამხანაგები ვერ ერკვევიან თავის ფუნქციებში. ვერ არის შერჩეული მუშაკებიც.

რაც შეეხება ჯგუფ-ორგთა ინსტიტუტს, უნდა აღინიშნოს, მათ გაამართლეს იმედები. თვითეული ჯგუფ-ორგი არის ერთგვარი აუცილებელი ხიდი უჯრედისა, მის წევრთა და უპარტიოთა შორის. თუმცა აქ ამ მუშაობას აქვს ზოგიერთი ნაკლიც, მაგრამ ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ორგანიზაციებში არჩეული არიან ხშირად მოუმზადებელი და საქმის არ მცოდნე ამხანაგები.

გეგმიანი მუშაობა, დისციპლინა

საგრძნობ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს უჯრედებში გეგმიანი მუშაობის შემოღება. არის გადახრებიც, რომელიც სათანადო მითითებების შემდეგ სწორდება. მუშაობა უჯრედებში განაწილებულია თანაბრათ. ზომაზე მეტად დატვირთული თითქმის არავინ არ არის. პარტიის წესდების დარღვევებს არა აქვს სისტემატიური და ხშირი ხასიათი. არის თითო - ოროლა შემთხვევა სიმთვრალისა და საწევრო გადასახადების გადაუხდელობისა, რაც აცილებულ უნდა იქნას ახლო მომავალში.

საანგარიშო ხნის განმავლობაში ცენტრ. საკონტროლო კომისიამ შენიშვნა მისცა 31 ამხანაგს. ამათგან სიმთვრალისათვის 19.9 პროც. ამ ხნის განმავლობაში პარტიიდან გამორიცხულ იქნა 28 კაცი. პარტ - წესდების დარღვევისათვის, გაფლანგვისათვის და სხვა.

მასიური მუშაობა

უჯრედების მუშაობის შინაარსის გაჯანსაღებას ხელს უწყობდა უმთავრესად უჯრედების ღია სხდომები, რომელნიც ატარებენ საქმიან ხასიათს.

დღის წესრიგში ისმებოდა უპარტიო მასისათვის საინტერესო საკითხები. 184 ღია სხდომაზე დაესწრო 3011 უპარტიო ამხანაგი. საშუალოდ თითო კრებაზე მოდის 15 კაცი. რაიონში ჩატარებულ იქნა უპარტიო - მუშათა კონფერენცია, რომელმაც იმუშავა 4 — დღეს, წარმოებებში დაარსებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელშიაც ჩათრეულია 1.463 კაცი. ამათგან ქალების რაოდენობა უდრის 23,7 პროც.

საერთო რიცხვიდან ჩათრეულია საბჭოთა მუშაობაში — მუშების 3.4 პროც. — პროფმუშაობაში — 67 პროც., კოოპერაციაში—4.4 პროც., და სხვა ორგანიზ. — 24 9 პროც.

პროფესიონალური მუშაობა

პროფ - მუშაობა ხასიათდება საერთო გაცხოველებით. ამასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერებულიყო, ეს ასეც მოხდა. გაძლიერებულ იქნა ხელმძღვანელობა კომუჯრედის ბიუროებისა საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების ფრაქციებზე.

უმრავლეს ადგილებში ყველა ფრაქციები ჩამოყალიბებულია და მუშაობს.

საწარმოო თათბირებს ამ უკანასკნელ ხანებში დაეტყო გამოცოცხლება, რომელთა მუშაობა წინათ მოისუსტებდა. წარმოების დადგენილებები ცხოვრებაში ტარდება ზუსტად. ზოგიერთ ადგილებში კი ადმინისტრაცია არ არის დაკავშირებული წარმოების - თათბირებთან და პროფკავშირებიც ნაკლებად ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას.

რაიონულ კომიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია ამ მუშაობის და მის ნაკლოვანებათა დეტალურად გამოსარკვევად და სათანადო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად.

ხელმძღვანელობა კომკავშირზე

კომკავშირის რაიონული ორგანიზაცია იზრდება ჩქარი ტემპით. შარშან ორგანიზაციაში ირიცხებოდა 1659 კომკავშირელი ეხლა კი 1975 კაცია, სოციალური მდგომარეობა კომკავშირის წევრთა შემდეგნაირია:

მუშები — 65.5 პროც., გლეხები — 21,9 პროც., ხელოსნები კ 1,2 პროც., სხვათა ჯგუფები — 11,4 პროც.

კავშირი კომუჯრედებსა და კომკავშირის უჯრედთა შორის დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ზრდას ვერ შეეფარდება აღმზრდელობითი მუშაობა. არ არის აგრეთვე საკმაო პარტ - ბირთვი.

კომკავშირის ორგანიზაციამ შინა - პარტიულ ბრძოლის საკითხებში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარტიის ხაზს.

მესამე რაიონის პარტკონფერენციის რეზოლუცია

თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება თბილისის კომიტეტის წარსული წლის მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის მე-7 პარტკონფერენცია თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს სწორად სთვლის, ხოლო ჩატარებულ მუშაობას აღიარებს დამაკმაყოფილებლად.

კონფერენცია ადასტურებს, რომ თბილისის კომიტეტის გამოცდილი და სწორი ხელმძღვანელობით თბილისის პარტიულმა მასებმა გადაჭრით მოიგერიეს ოპოზიციური ბლოკის და ადგილობრივ ოპოზიციონერ - უკლონისტთა უმნიშვნელო ჯგუფის ანტიპარტიული, ფრაქციული მუშაობა, დაამტკიცეს რა ამ ბრძოლაში თავისი დიდი იდეური ზრდა და ის, რომ თბილისის ორგანიზაცია მტკიცედ დგას ლენინის გზაზე.

აქტივობა, შეგნება და ფოლადისებური მთლიანობა, რომელიც გამოიჩინა თბილისის ორგანიზაციის პარტიულმა მასამ ბრძოლაში ოპოზიციონური ბლოკის გამხრწნელი მუშაობის წინააღმდეგ, საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ თბილისის ორგანიზაცია თბილისის კომიტეტის გამოცდილი ხელმძღვანელობით ვითარდებოდა ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე.

აღნიშნავს რა მთელ რიგ მიღწევებს ორგანიზაციის ზრდის დარგში და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობის გაძლიერებას საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციებზე, კონფერენცია შემდეგისთვის აუცილებლად სთვლის თბილისის კომიტეტის ყურადღების მიქცევას მუშაობის შემდეგ მომენტზე.

1) გაძლიერდეს ბრძოლა პროტექციონიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნან ხელმძღვანელი საკონტროლო ორგანოები და პერიოდულად ეცნობოს პარტიულ მასებს მიღწეული შედეგები.

2) გაძლიერდეს მუშაობა დაწინაურების დარგში, ამ მუშაობაში ქვედა უჯრედების ჩაბმით და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც შეინიშნება საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელთა და სამეურნეო მუშაკთა მხრივ პარტიულ მუშაკთა შერჩევის დროს და რაც გამოიხატება ამ პარტმუშაკთა მიმართ შედარებით დიდ მოთხოვნილებათა წაყენებაში;

3) გაძლიერდეს მუშაობა ქალაქის განაპირა უბნების კეთილმოსაწყობად. სადაც მუშები არიან დასახლებულნი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბინაო მშენებლობას ამ განაპირა უბნებში.

4) აღნიშნავს რა მუშათა რაიონებში კულტურული კერის უქონლობას, კონფერენცია თბილისის კომიტეტის ყურადღებას მიაქცევს ამ კულტურული კერის (მუშათა თეატრის) შექმნის აუცილებლობაზე.

5) ყურადღება მიექცეს კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ზედნადები ხარჯების შემდეგ შემცირებას და მუშების ჩაბმას კოოპერაციაში.

6) აღნიშნავს რა კავშირთა ცენტრალური გამგეობის სუსტ ხელმძღვანელობას საწარმოო და ეკონომიურ თათბირებზე, კონფერენცია საჭიროდ სთვლის, რომ თბილისის კომიტეტმა მიიღოს სათანადო ზომები ამ ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

7) პარტიულ უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს თბილისის კომიტეტის მიერ ამ საკითხის გარშემო დასახულ ღონისძიებების გატარება.

პარტბილეთების შეცვლა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო - განმანაწილებელი განყოფილება უკვე ამთავრებს მოსამზადებელ მუშაობას მომავალი საარიცხვო კამპანიისათვის პარტბილეთების შესაცვლელად. უკვე დაიბეჭდა პარტბილეთების ბლანკების 76 პროც.; დამზადებულია აგრეთვე მათი აღრიცხვის ერთნაირი ფორმები. პირველად არის მოხდენილი პარტბილეთების ეროვნებათა მშობლიურ ენაზე გადათარგმნის ცდა. პარტბილეთები იბეჭდება 32 ენაზე, მაშინ როდესაც 1922 წლის პარტბილეთი გადათარგმნილი იყო მხოლოდ 10 ენაზე.

საგრძნობლად არის გამარტივებული პარტბილეთების მიცემის წესი. ადგილობრივი პარტორგანიზაციები განთავისუფლებული არიან გაცემული პარტბილეთების სიების შედგენისაგან; შემოღებულ იქნება საანგარიშო ბარათი, რომელიც ახალი პარტბილეთის ნაწილი იქნება. საანგარიშო ბარათი პარტბილეთის მიცემის შესახებ უბრუნდება ცეკას. ამგვარად, როცა ახალი სისტემა იქნება შემოღებული, რომელიც საგრძნობლად აჩქარებს და რაციონალურს ხდის თვით პარტბილეთის მიცემის პროცესს, ცეკას საარიცხვო ქვე - განყოფილებაში შეიძლება მიღებულ იქნას ცნობა პარტიის ყოველი წევრის შესახებ, მისი პარტსტაჟის, დაბადების წლისა და მისი ადგილმყოფელობის შესახებ პარტბილეთის მიცემის დროს.

ცეკას საორგანიზაციო - განმანაწილებელი განყოფილება აღნიშნავს მიზანშეწონილი იქნება, რომ პარტიულმა კომიტეტებმა გაატარონ შემდეგი მოსამზადებელი მუშაობა პარტბილეთების გაცვლისათვის: მომზადებულ იქნას შენობა ბლანკების შესანახად, შემოღებულ იქნას პარტბილეთების დაბლამდგომ ორგანიზაციებში დაგზავნის წესრიგი, 1927 წლის მარტისათვის ბოლო მოეღოს ყოველგვარ დავალიანებას საწევრო გადასახადისაგან, დამთავრებულ იქნას ანგარიში ძველი პარტბილეთის გაცემის შესახებ, ფართოდ გაეცნოს პარტიის წევრებს ძველი პარტბილეთების გადაცვლის და ახალის მიცემის წესრიგი.

ქალაქის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ საქართველოში

ქალაქის საბჭოების გამოცოცხლების საკითხი არის ნაწილი საერთო საკითხისა, საბჭოების გამოცოცხლების შესახებ. ამ ლოზუნგის გატარება ჩვენმა პარტიამ დაიწყო უკანასკნელ 2 წელში, თუმცა ეს საკითხი ლენინმა წამოაყენა გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1921 წელში.

ამხ. ლენინმა ნათლად და გარკვეულად დასვა საბჭოების გამოცოცხლების აუცილებლობის საკითხი და 21 წელში ის სიტყვა-სიტყვით სწერდა შემდეგს:

„საბჭოების გამოცოცხლება, უპარტიოთა შემოკრება, უპარტიოთა მიერ პარტიულთა მუშაობის შემოწმება—აი აბსოლიუტურად სწორი, აი სად არის ზღვა სამუშაო, აი სად არის ულევი სამუშაო“.

მაშასადამე, ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელშივე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ჯერ საჭიროა არა მარტო საბჭოების გამოცოცხლება, არამედ პარტიულთა მუშაობის შემოწმებაც უპარტიოთა საშუალებით.

როგორც საბჭოების განვითარების ახალ პირობებში უპარტიოთა უფრო გადაჭრით ჩაბმის პრობლემა, როგორც საბჭოებში სულ უფრო და უფრო მეტი მასების მოზიდვის პრობლემა საბჭოების, როგორც პროლეტარული დიქტატურის ორგანოს როლის განხორციელებისათვის, ეს საკითხი ჯერ კიდევ 21 წელში იყო წამოყენებული.

ამხ. ლენინი შემდეგ განაგრძობს: „ნუ შეუშინდებით მასების ინიციატივას და და თვითმოქმედებას, ენდეთ მასების რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და თქვენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგებში დაინახავთ მუშებისა და გლეხების ისეთივე ძალას, სიდიადეს და უძლეველობას, როგორც მათ გამოიჩინეს თავის გაერთიანებულ გამოსვლაში კორნილოვშჩინის წინააღმდეგ“. აი რას აქცევდა ყურადღებას ამხ. ლენინი, — სახელდობრ იმას, რომ მეტი ნდობით ვეკიდებოდეთ თვით მშრომელი მასების რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. მაგრამ მთელ რიგ ობიექტურ მიზეზების გამო, ჩვენ ვერ შევსძელით 21 წელში ლენინის მიერ დასახული ამოცანის შესრულება 24 წლის ბოლომდე და 25 წლის დასაწყისამდე. რუსეთში, ცენტრში, საბჭოების გამოცოცხლების საკითხი რეალურად და კონკრეტულად დაისვა 24 წლის ბოლოს და 25 წლის დასაწყისში და ამ უკანასკნელ ორ წელში მჭიდროთ მოვკიდეთ ხელი ამ ამოცანას.

ცხადია, რომ ჩვენ ეს დავიწყეთ სოფლის საბჭოებიდან, სოფლად ჩვენი მუშაობის გამოცოცხლებიდან, რადგან აი სწორედ აქ 24 წელში უფრო რეალურად აისახა ის, რომ ადგილი აქვს მუშათა კლასის არა სწორ ურთიერთ დამოკიდებულებას გლეხობასთან, ადგილ აქვს გლეხური მასების ერთგვარ უკმაყოფილებას.

იმიტომ, რომ საბჭოთა კალაპოტით შეგვეყვანა სოფლის მოზარდი აქტივობა, საჭირო იყო მუშაობის სხვანაირად წარმოება. აი ამ დროს იქნა წამოყენებული ლოზუნგი საბჭოების გამოცოცხლების შესახებ, როგორც განვითარება ლოზუნგისა: „პირი სოფლისაკენ“.

ჩვენ აქ, ადგილებზედაც, მივედით დასკვნამდე საბჭოების გამოცოცხლების აუცილებლობის შესახებ. საკმარისია მოვიგონოთ 24 წლის ოქტომბრის პლენუმი, საქართველოს ცეკას გაფართოებული პლენუმი, რომელიც სწარმოებდა აგვისტოს მენშევიკური გამოსვლის შემდეგ რა საკვირველია, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ამ გამოსვლებს კონტრ - რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდით, რომ ეს გამოსვლები მოწყობილი იყო მენშევიკების მიერ, უცხოეთის იმპერიალისტების კარნახით. ყველაფერი ეს ასე, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ გლეხობის ნაწილი, თუმცა უმნიშვნელო, ჩაბმულ იქნა ავანტიურაში, აიძულა ჩვენი პარტია ამისთვის მიექცია ყურადღება და ყველა ზომები მიეღო იმ ნაკლოვანებათა და შეცდომების აღმოფხვრისათვის, რომელთაც შეეძლოთ გამხდარიყვნენ ამ ავანტიურაში გლეხობის მონაწილეობის საბაბად. ჩვენი ცეკას ოქტომბრის პლენუმი, უმთავრესად, არკვევდა ამ შეცდომებს და გამოიტანა კიდეც მთელი რიგი კონკრეტული წინადადებებისა საბჭოების გამოცოცხლების დარგში. რეზოლიუციის პირველი და მეორე პუნქტი შეეხება სოფლად მუშაობას. აი რა არის აქ ნათქვამი:

მუხლი I. „საჭიროდ იქნას ცნობილი მთელი პარტიული და საბჭოთა მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა სოფლად და ძირითად ამოცანად ჩაითვალოს სოფლის პარტუჯრედების ყოველმხრივი გაძლიერება... და ქვედა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, გამოჯანსაღება გლეხობის ფართო უპარტიო მასების მაქსიმალურად მოზიდვით საბჭოთა — აღმშენებლობითი მუშაობაში სოფლად.

უახლოეს დროში ჩატარდეს ქვედა საბჭოთა ორგანოების გაუმჯობესება. რისთვისაც გამოყენებულ იქნას საბჭოების მომავალი გადარჩევა საქართველოში, ამასთან აღებულ იქნას კურსი უპარტიოთა ფართოდ ჩაბმაზე როგორც სოფლისა და თემის საბჭოებში, ისე უპარტიოთა დაწინაურებაზე საბჭოთა თანამდებობებზე რაიონებსა, თემებსა და სოფლებში“.

მუხლი II. „აღნიშნულია რა ის ფაქტი, რომ თემების განმტკიცებამ, საქართველოს ე. წ. დარაიონებამ, არ გამოიღო სასურველი შედეგები, არამედ, პირიქით, რაიონების დაშორების გამო, ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მოწყვეტას გლეხური მოსახლეობის მასებისაგან, უარყოფილ იქნას დარაიონების სისტემა და დატოვებულ იქნას წინანდელი სათემო სისტემა იმ შესწორებებით, რომლებიც მიზანშეწონილად იქნებიან აღიარებული ადგილებზე თვით გლეხობის უშუალო მონაწილეობით (სასოფლო საბჭოებზე)“.

აი, სწორედ ეს წინადადებები შეეხებიან ჩვენს მუშაობას სოფლად, ქვედა საბჭოთა აპარატის გამოცოცხლებას და გლეხობის ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფოს მართვის საქმეში სოფლისა და თემის საბჭოების საშუალებით. აგვისტოს გამოსვლების შემდეგ ჩვენ ორჯერ ჩავატარეთ საბჭოების გადარჩევა—1924—25 და 1925—26 წ. წ.

რა შედეგები გამოიღო ამ გადარჩევამ?

ჩვენ გვგონია არ არის საჭირო ფართოდ შევჩერდეთ ამ თემაზე. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკამ, როგორც ჩვენი მუშაობის ხაზმა, სავსებით და სრულად გაამართლა თავისი თავი, — ეს უდაო ფაქტია. საბჭოების გამოცოცხლების ხაზმა დადებითი შედეგები მოგვცა. — ესეც ფაქტია. კერძოდ საქართველოში საჭიროა აღინიშნოს თუ გინდ ორი ძირითადი დასკვნა, მაინც საბჭოების გამოცოცხლების ამ პოლიტიკიდან.

პირველი — ეს ის, რომ ამ გადარჩევასთან დაკავშირებით სოფლად მივიღეთ ქვედა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება და სოფლად პოლიტიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, და ის გარემოება, რომ საშუალო გლეხობა თავისი ძირითადი მასით მისდევს ჩვენს პარტიას და აღიარებს ჩვენს ხელმძღვანელობას, რასაც წინედ უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონდა ადგილი. ეს საჭიროა აღიარებულ იქნას, რადგან აგვისტოს გამოსვლების დროს საშუალო გლეხობის ერთი ნაწილი ჩათრეული იყო ამ ავანტიურაში, თუ აღარ ვილაპარაკებთ კულაკზე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავანტიურაში, და რომელიც არ უნდა ავიწყდებოდეთ ჩვენს სოფლის მუშაკებს.

მაშასადამე, პირველი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საშუალო გლეხობის ძირითადი მასა სოფლად ჩვენ მოგვდევს, რომ სოფლად გაიზარდა პარტიისა და მუშათა კლასის ავტორიტეტი და რომ საბჭოები აღიარებული არიან ისეთ ორგანოდ, რომლებიც სარგებლობენ გლეხობის ნდობით.

მეორე დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ საქართველოში. გვყავდა რა წარსულში ძლიერი მენშევიკური პარტია, მივაღწიეთ მის სრულ გაკოტრებას. ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტი და ის არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან, როცა ვლაპარაკობთ საბჭოების გამოცოცხლებაზე.

მენშევიკებმა ვერ შესძლეს თავის ადესლაც დიდი გავლენის გამოყენება ვერც 25 და ვერც 26 წელში. და თუნდ ერთი დეპუტატის გაყვანა მაინც ქალაქის ან და თემის საბჭოებში. ამას საჭიროა გაესვას ხაზი.

მაგრამ კულაკის გარდა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მენშევიკები, რადგან მენშევიკები, რომელნიც ეხლა ვერ ბედავენ გამოსვლას თავის საკუთარი სახელით, როგორც მოხერხებული ჟულიკები ისარგებლებენ იმ გარემოებით, რომ ჩვენ ხშირად არ ვაქცევთ მათ სათანადო ყურადღებას და შეიცდებიან გაძვრენ საბჭოებში სხვადასხვაგვარი ნიღაბით.

ეხლა, იმის შემდეგ, რაც ჩვენ გავარკვიეთ უმთავრესი საქმე სოფლად, უნდა მივიბრუნოთ ქალაქზედაც. როგორია მდგომარეობა ქალაქში?

ამ მხრივ უნდა ვაღიაროთ, რომ რადგან ჩვენ ვაქცევდით დიდ ყურადღებას სასოფლო საბჭოების მუშაობას და მათ გამოცოცხლებას, ჩვენ რამოდენიმეთ დავივიწყეთ ქალაქი. ეს აიხსნება მით, რომ ქალაქი ჩვენ პოლიტიკურად დაპყრობილი გვქონდა. ჩვენ ეს მივიღეთ მხედველობაში და საჭიროდ დავინახეთ მთელი ძალების გადასროლა სოფლისაკენ. მაგრამ ქალაქი, ქალაქის პროლეტარიატი მოითხოვს იმას, რომ საქართველოში, სადაც ჩვენ გვყავს პროლეტარიატის მცირე რიცხოვანი კადრები, მათ შორის მუშაობას. პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ბაზისის გამაგრებას მიექცეს უდიდესი ყურადღება. და საკითხი საბჭოების გამოცოცხლების შესახებ, რასაკვირველია, არის არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის საკითხიც. აი რატომ უნდა დავსვათ ჩვენ ეხლა საკითხი ქალაქის საბჭოების შესახებ და ის უნდა წამოვაყენოთ, როგორც დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

რაც შეეხება ქალაქის საბჭოების მუშაობას, ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ ამ მუშაობის ფართოდ გაშლას. ცეკას ივლისის პლენუმზე ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ქალაქის საბჭოების მუშაობა ნაწილობრივ მოიკოჭლებს, იმ აქტივობასთან შედარებით, რომელსაც ეხლა მუშათა კლასი იჩენს, ვინაიდან სამეურნეო აღორძინებამ გამოიწვია მუშათა კლასის კულტურულ - პოლიტიკური ზრდა. ხელი შეუწყო მუშათა მოსახლეობის ფართო მასების და ქალაქის მშრომელთა სხვადასხვა ფენების აქტივობის გადიდებას.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ივლისის პლენუმზე ამხ. მოლოტოვი: „თუ მხედველობაში მივიღებთ ამომრჩეველთა (მამაკაცების) ყველაზე უფრო აქტიურ ფენას სოფლად და ქალაქში, დავინახავთ, რომ მუშების და საერთოდ პროფესიონალურად დარაზმულთა პროცენტი ნაკლებია, ვინემ გლეხების (მამაკაცთა) მონაწილეობის პროცენტი საბჭოთა ხელ-ახალ არჩევნებზე.

ეს მოწმობს იმას, რომ სოფლებში საბჭოები უკვე გახდენ მეტად მნიშვნელოვან ორგანიზაციათ, რომლებითაც დიდათ დაინტერესებულია გლეხობა. ქალაქში, ქალაქის საბჭოების მიმართ ეს საქმე გაცილებით უფრო ცუდათ არის დაყენებული. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მუშების მონაწილეობა პროფკავშირებში, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, პარტიის მუშაობაში გაცილებით უფრო აქტიურია, ვინემ მონაწილეობა ქალაქის საბჭოების მუშაობაში. ქალაქის საბჭოების როლი ჯერ კიდევ არ გადიდებულა იმდენათ, რომ საკმაოდ დაინტერესებულ იქნენ მუშათა მასები და აქ—ამ ხაზით წამოიჭრა ერთ - ერთი მორიგი ამოცანა, რომელსაც რაც შეიძლება მკაფიოდ უნდა გაუსვას ხაზი ჩვენმა პარტიამ“.

გადავავლოთ თვალი ჩვენს ქალაქის საბჭოებს. რას ვხედავთ ჩვენ აქ? თუ რუსეთის ქალაქის საბჭოებში საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, ჩვენში ეს ნაკლი კიდევ უფრო საგრძნობია და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქის საბჭოების სოციალური შემადგენლობა, სამწუხაროდ, მეტად სუსტია.

შევჩერდეთ ზოგიერთ ციფრებზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნენ მხედველობაში, როცა ჩვენ ქალაქის საბჭოების შესახებ ვლაპარაკობთ. ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: საქართველოში ქალაქის საბჭოების შემადგენლობაში არის 56 პროც. მოსამსახურე — პირველი ადგილი მოსამსახურეებს უჭირავთ; შემდეგ მოდის წვრილ ბურჟუაზიის სხვადასხვა [illegible] ფენები — შინა-მრეწველები, ხელოსნები და სხვა — ორგანიზაციულად დაურაზმავი მოსახლეობა.

მათ უჭირავთ მეორე ადგილი და შეადგენენ 16 პროცენტს. და მხოლოდ მესამე ადგილი ქალაქის საბჭოებში უჭირავს მუშებს — 15 პროც. რუსეთში კი ამხ. მოლოტოვის მოხსენების თანახმად მუშების მონაწილეობა საბჭოებში შემდეგ სურათს გვაძლევს:

„მუშების საერთო მონაწილეობა ქალაქის საბჭოებში მიმდინარე წელს წარსულ წელთან შედარებით შემცირდა 46-დან 36 პროცენტამდე.

შემცირება მოხდა იმიტომ, რომ ქალაქის საბჭოების უკანასკნელ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა უფრო ფართო ფენებმა.

მაგრამ იქ მაინც ქალაქის საბჭოებში არის მუშების 36 პროცენტი, ხოლო ჩვენში მხოლოდ 15 პროცენტი, — მაშასადამე ორ-ნახევარჯერ ნაკლები.

რატომ ხდება ეს? ჩვენში არის სხვადასხვა ტიპის საბჭოები. ჩვენ არ შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით საკითხის საერთო დასმით ყველა ქალაქის საბჭოების შესახებ, არამედ გვინდოდა გვქონოდა დაახლოვებითი სურათი ჩვენი ქალაქებისა, სადაც არის ქალაქის საბჭოები. ქალაქები ჩვენ დავყავით 6 ტიპათ: პირველი ტიპი, ეს არის ქალაქები, რომლებშიაც მოიპოვება მუშათა მოსახლეობა და რომელთაც აქვთ მაზრები და, ამავე დროს, ქალაქი ეკონომიურად და პოლიტიკურად წინ უსწრებს მაზრას: თბილისი, ბათომი, სოხუმი.

მეორე ტიპი—ქალაქები, რომლებშიაც არის მუშათა მოსახლეობა და რომელთაც აქვთ მაზრები, მაგრამ მაზრა ეკონომიურად და პოლიტიკურად წინ უსწრებს ქალაქს: ქუთაისი ჭიათურა.

მესამე ტიპი—ქალაქი, რომელშიაც არის მუშათა მოსახლეობა, მაგრამ, რომელსაც არა აქვს სრულებით მაზრა—ეს არის ფოთი.

მეოთხე ტიპი—შტატგარეშე ქალაქები (უმაზროთ), რომელშიაც არის მუშათა მოსახლეობა: ხაშური, ბორჯომი, სამტრედია.

მეხუთე ტიპი—შტატგარეშე პატარა ქალაქები, რომლებშიაც არ არის მუშათა მოსახლეობა: ყვირილა, შაუმიანი, (ყოფ. შულავერი) და ხონი.

მეექვსე ტიპი—სამაზრო ქალაქები, რომლებშიაც არ არის მუშათა მოსახლეობა. ხოლო მაზრები ეკონომიურად და პოლიტიკურად წინ უსწრებენ ქალაქს. დუშეთი, ონი, ზუგდიდი, ოზურგეთი. თელავი, გორი, ლიუქსემბურგი, ახალქალაქი, ახალციხე და სიღნაღი.

თუ ჩვენ ავიღებთ ამ ტიპის ქალაქებს ჩვენ დავინახავთ, რომ მხოლოდ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტიპის ქალაქებში არის აუცილებელი ქალაქის საბჭოების არსებობა. რაც შეეხება მეექვსე და მეხუთე ტიპებს, აქ საბჭოებს არ შეუძლიათ ითამაშონ ქალაქის საბჭოების როლი, ვინაიდან ეს არის შტატგარეშე პატარა ქალაქები და სამაზრო ქალაქები. რომლებშიაც არ მოიპოვება მუშათა მოსახლეობა. ამ საბჭოებს არ აქვთ არავითარი ბაზისი იმისათვის, რომ მათ უწოდოთ ქალაქის საბჭოები.

შევჩერდეთ კერძოთ ზოგიერთ საბჭოებზე.

ავიღოთ თბილისი, რა სურათს იძლევა ყველაზე უფრო ძლიერი ქალაქის საბჭო?

აქ სოციალური შემადგენლობა შემდეგია: მუშები წარსულ არჩევნების დროს შეადგენდენ 53,5 პროცენტს, ხოლო 25 წლის არჩევნების დროს მათი რიცხვი ავიდა 59 პროცენტამდე.

უპარტიო იყო 16,3 პროც., ეხლა არის 34 პროც. ამრიგათ პარტიის დირექტივა შესრულებულ იქნა საბჭოებში უპარტიოების უფრო ფართოდ ჩაბმის მხრივ. ამასთან დაკავშირებით კომუნისტების პროცენტი შემცირდა. მათი რიცხვი უდრიდა 73 პროცენტს, ეხლა უდრის 59,9 პროცენტს.

წინად ქალები შეადგენდენ 10,4 პროცენტს, ეხლა კი—16.5 პროცენტს. გლეხები შეადგენდენ 5,5 პროცენტს, ეხლა კი—6,4 პროცენტს. თბილისის საბჭოს სოციალური შემადგენლობა გაუმჯობესდა ყველა ხაზით, მუშაობაში ჩაბმული არიან უპარტიოები და ქალები.

ეხლა ავიღოთ ბათომი. ბათომს ვეებერთელა საბჭო ყავს, მან ამ მხრივ აჯობა ყველა არსებულ საბჭოებს, მათ შორის თბილისის საბჭოსაც. თუ თბილისის საბჭოს წევრთა რიცხვი 600 კაცს ცოტათი აღემატება. ბათომის საბჭომ საჭიროდ სცნო წევრების კიდევ მეტი რაოდენობა ჩაება საბჭოს მუშაობაში. ბათომის საბჭოს ჰყავს 662 წევრი, 161 კანდიდატი, სულ—823 კაცი, აქედან მუშები 253. ე. ი. დაახლოვებით 30 პროცენტი, დანარჩენები მოსამსახურეები არიან—425 კაცი, ე. ი. 50 პროცენტზე მეტი. რასაკვირველია, ეს ყოვლად არა ნორმალურია, იმიტომ, რომ ბათომს საშუალება აქვს მიიზიდოს მუშების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, მაგრამ ბათომელი ამხანაგები გამოეკიდენ წევრების მეტ რაოდენობას, რამაც შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მათ მუშები მხოლოდ 30 პროცენტი ჰყავთ, ხოლო მოსამსახურეები კი 50 პროცენტზე მეტი.

ეხლა შევეხოთ ქუთაისის საბჭოს. ქუთაისის ქალაქის საბჭოში ასეთი მდგომარეობაა: მუშები იქ შეადგენენ 21 პროცენტს, ხოლო მოსამსახურეები კი—69 პროცენტს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ აქ საბჭოს შემადგენლობაში განათლებული წევრები შედიან. უმაღლეს და საშუალო განათლების მქონე წევრები შეადგენენ 45 5 პროცენტს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში უბრალო მუშა და გლეხი თამამად ვერ ლაპარაკობს ასეთ განათლებულ ხალხში. შესაძლებელია მათ უხერხულათ იგრძნონ თავი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს განათლებულ წევრთა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს სიღნაღის ქალაქის საბჭოს. იქ საბჭოს წევრების 40 პროცენტს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირები შეადგენენ. ქუთაისში რატომღაც გადასწყვიტეს, რომ უპარტიოები ნაკლებად უნდა იქნენ ჩაბმული ახალ კურსთან დაკავშირებით.

უპარტიოები შეადგენენ 50 პროცენტს, ხოლო 1926 წელს შეადგენენ—31 პროცენტს. პარტიის ხაზი აშკარად გადამახინჯებულია.

თუ ავიღებთ ხაშურს, იქ ქალაქის საბჭოს 52 წევრიდან 25 მუშაა, ეს სავსებით ნორმალურია. საბჭოს წევრთა ნახევარს მუშები შეადგენენ. მართალია, ქალაქის საბჭო იქ ზედმიწევნით კარგად ვერ მუშაობს, ვინაიდან ის რატომღაც გაერთიანდა სათემო საბჭოსთან და ამით ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

მეტი ყურადღება სოფლის სცენას

დრამწრეები ჩვენს დაბა-ქალაქებში ძალიან მომრავლდნენ. ლტოლვა თეატრისადმი გლეხკაცობაში ერთობ დიდია. სამწუხაროთ, ამ ლტოლვილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს სოფლის ის კულტურული ძალები, რომლებიც სცენას ეტანებიან.

აქ აღარაფერს ვლაპარაკობთ იმ ტეხნიკურ უხადრუკობაზე, რომლითაც ყოველთვის გამოირჩევა სოფლის წარმოდგენები. არც ამ წარმოდგენების მხატვრულ მხარეს შევეხებით. სოფლის პირობებში გასაგებია თეატრის ტეხნიკური და მხატვრული ჩამორჩენილობა. საყურადღებოა წარმოდგენების იდეური მხარე, ის მოტივი და ზნე-ჩვეულებები, რომელსაც სცენა ავლენს და ანვითარებს სოფლის მოსახლეობაში.

ცნობილია ჩვენი სიღარიბე პიესების მხრივ საზოგადოთ და კერძოთ ახალი ცხოვრების შესაფერის პიესების მხრივ. მით უფრო ნაკლებათაა ისეთი ახალი პიესები, რომლებიც სოფლის სცენაზე ადვილათ დაიდგმებიან. აქედან ადვილი გასაგებია ის მოვლენა, რომ სოფლად დღეს სოკოსავით მომრავლდნენ „დრამატურგები". პიესებს აწერს ყველა, ვისაც კი წერა არ ეზარება. გასავალიც დიდი აქვს ამ „ნაწარმოებს".

ამ ახალ პიესების მხატვრულ თუ იდეურ ღირსებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რა მავნებლობა მოაქვს ამგვარ „თავისუფალ შემოქმედებას", ეს ყველასათვის ცხადია. ასეთ მდგომარეობას, ცხადია, ბოლო მოეღოს. სოფლად მოღვაწე დრამწრეებს ხელმძღვანელობა ესაჭიროება, ხელმძღვანელობა სწორი, როგორც პოლიტიკური, ისე მხატვრული და მატერიალური. სოფლის ამ განმანათლებელ მუშაობას დღემდი ნაკლები ყურადღება ექცევა.

ჩვენ გვყავს სათანადო ორგანოები, რომლებიც ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ და სწორი გზით წარმართონ იგი. მაზრის პოლიტგანათლებამ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება. სცენა კულტურის და პროპაგანდის ძლიერი იარაღია საზოგადოთ და კერძოთ სოფლად. ის ღირსია მეტი ყურადღების და დახმარების, ვიდრე ამას დღემდი აქვს ადგილი.

მოწინავე.

ხონის ბაზარი

ხორბლეულის ბაზარს დიდი [illegible] ფხოვნება. მიუხედავათ სიმინდის და სიმინდის ფქვილის დიდი რაოდენობით შემოტანისა, მოთხოვნილება საგრძნობლად სჭარბობს მიწოდებას. ფასები ჯერ-ჯერობით უცვლელია (1—20 კაპ.—1—40 კაპ.).

მოთხოვნილების გაზრდის მიზეზია ჩარჩები, რომლებიც პარტიობით იძენენ სიმინდს. საჭიროა და აუცილებელიც, რომ ხორბლეულის შესყიდვას კოოპერატივი ან სამეურნეო ბანკი მოახდენდეს. მოსალოდნელ სიმინდის სიძვირის დროს (რადგან ნაკლები მოსავალი იყო) ეს ორგანოები ხელმისაწვდომ ფასებში მისცემს გლეხობას სიმინდს.

მოთხოვნილება ჭარბობს აგრეთვე ქერცხზე. დანარჩენი პურეულის, ნედლეულის და სურსათ-სანოვაგის მდგომარეობა ბაზარზე უცვლელია. პირუტყვის გამოყვანა ბაზარზე დიდი რაოდენობით სწარმოებს, განსაკუთრებით ხარებისა. მოთხოვნილება კი არ არის, ფასები უცვლელია.

რაც შეეხება სამრეწველო საქონლის ბაზარს (კერძოთ მანუფაქტურას), დიდი მოთხოვნილებაა ნართზე, შალეულობაზე, და უმეტესად კი ბამბაზიაზე. დასახელებული საქონლის ფასებში საგრძნობლად აიწია. განსაკ. ბამბაზიისა.

რკინეულობა, ბაკალეია და ტყავეულობის ბაზარი უცვლელია.

იფა.

ენერგიული თემსაბჭო
(ცაიში, ზუგდ. მ.)

ჩვენმა საბჭომ წა[illegible]თან შედარებით ბევრი რამ გააკეთა. სამშენებლო მუშაობა ჩვენს თემში, აღმასკომის ინიციატივით და საბჭოს ღონისძიებებით ჩქარი ნაბიჯით მიექანება წინ.

უკვე ამთავრებენ აგურის შენობას კოოპერატივისათვის. დღემდე კოოპერატივი კერძო პირის შენობაში იმყოფებოდა და იხდიდა ქირას.

საბჭო არც სკოლას ივიწყებს. მან უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები, რათა ადგილობრივ 7 წლედს ახლო მომავალში მოეწყოს ფიზიკური კაბინეტი.

საბჭომ აგრეთვე უზრუნველჰყო სკოლა შენობით. მასთან შეკეთებულ იქნა თემის შარა გზები. აგებულ იქნა ახალი ხიდები და ბოგირები.

ამრიგად აღმასკომის მუშაობა თემის კეთილმოწყობისათვის მეტად საყურადღებოა. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება საბჭოს საქმიანობა... შემუშავებულია აგრეთვე მთელი რიგი გეგმებისა, მოწავალ სამშენებლო მუშაობისათვის. მაგალითად საექიმო პუნქტისათვის შენობის აგება და სხვა. ნიადაგი ამისათვის უკვე მზადაა.

მომავალი 1927 წ-ლ. საბჭო ამ გეგმებს ალბად ფრთებს შეასხამს, რითაც ის დააჩქარებს თემის წინსვლას აღმშენებლობის გზით.

ლიმი.

სანამდი ველოდოთ?
(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

მიმდინარე წლის მარტის რიცხვებში დაიწყეს საჯავახოს ხიდის აშენება. ხიდის მუშობამ და იმ შენობებმა, რომლებიც გააშენეს იქ საცხოვრებლათ, ამასთან მასალების დასაწყობათ წახდენილია ახლო-მახლო გლეხების საყანე მიწები—სულ სამოცამდე გლეხის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ ისეთი გლეხების ყანები მოხვდა, რომლებსაც სხვა საყანე მიწა არც კი გააჩნია. გლეხებმა სთხოვეს სამაზრო აღმასკომს, მათთვის ზარალი აენაზღაურებიათ. ჩამოვიდა სამაზრო აღმასკომის აგრონომი ჯანდიერი და რკინის გზის სამმართველოს მიწის მზომელთან ერთად შეადგინა სია იმ გლეხებისა, რომლებიც დაზარალდნენ ხიდის შენებით. ქუთაისის სამაზრო აღმასკომი სთხოვდა რკინიგზის სამმართველოს დაზარალებულ გლეხებისათვის ქცევაზე 25 მანეთი მიეცა.

რკინისგზის სამმართველო ადგენს მიმდინარე წლის 22 მაისს, „მიეცეს ნება ხელიანდავგო დარაგის უფროსს გადაუხადოს გლეხებს ზარალის ანაზღაურებლათ 2.775 მანეთი. ფული გადაეგზავნოს ქუთაისის აღმასკომს გლეხებზე დასარიგებლათ და ჩამოერთვას მათ ხელწერილები, რომ შემდეგ რაიმე პრეტენზიები არ განუცხადონ გლეხებმა რკინისგზას".

ეს მოხდა მაისში, მხოლოდ გლეხები კი დღემდი კიდევ ელიან გასამრჯელოს.

არა ერთხელ იყო ამ საქმეზე გლეხების რწმუნებული თბილისში და შემდეგ ქუთაისში. ფული ჯერაც დაურიგებელია. ვის უნდა დაედოს ბრალი? რკინისგზას უკანასკნელ დრომდე არ გაუცია ფული, ქუთაისის აღმასკომი არ აძლევს რკინისგზას საჭირო საბუთებს, რომ ფული განაწილდეს გლეხებზე და დაურიგდეს მათ. ამ ბიუროკრატიულ მიწერ-მოწერაში რკინის გზასა და ქუთ. აღმასკომს შორის და რწმუნებულის აქ დაუსრულებელ სიარულში ერთი დაწესებულებიდან მეორეში, გადის კვირეები, თვეები და თითქმის წლებიც. გლეხებს კი ეჩქარებათ ფულის მიღება, რომ, სანამდი კიდევ სიმინდი იაფია მოამარაგონ ის. საკითხავია, როდის მოეღება ამ, მეტი რომ არა ვთქვათ, დაუშვებელ გულგრილობას დაზარალებულ გლეხებისადმი?

ხ. კიკაჩეიშვილი.

ჯეჯილები აბიბინდა
(საგარეჯოს თ., გარე-კახეთი)

ს. გიორგიწმინდამ დიდი საქმე გააკეთა. აქაურ გლეხებმა გაიყვანეს სარწყავი არხი, რომელიც ეგრეთ წოდებულ ლაპრებში მთელს გიორგიწმინდის მინდორს რწყავდა. ლაპრები თავმინებებული იყო და არავინ პატრონი არ ყავდა. მთელი სოფელი ერთსულოვნად გამოვიდა არხის გასაკეთებლად და ორი დღის განმავლობაში შვიდი ვერსის მანძილზედ გაყვანილ იქნა სარწყავი არხი. არხის დასრულების შემდეგ გლეხებმა რაც დათესილი ყანები ჰქონდათ სულ მორწყეს. არც ერთი გლეხი არ არის გიორგიწმინდაში უიმედოთ, რომ მათ ნათესები გაუხმება. ამ ბოლო ხანებში სულ გამომხმარი იყო ნიადაგი. მაგრამ მორწყვის შემდეგ ყანებში მწვანეული ჯეჯილია.

გიორგიწმინდის მაგალითს ნინოწმინდამაც მიჰბაძა და მანაც შესანიშნავი არხი გაიყვანა.

თხარი.

ვინ გასტეხა კოოპერატივი?
(წალენჯიხა, ზუგდ. მ.)

ორი თვე გავიდა, რაც ვიღაც ქურდ - ბაცაცამ გატეხა წალენჯიხის რაიონული საკრ. სასოფ. სამეურნეო ამხანაგობის შენობა. წაღებულია რამოდენიმე საფეიქრო ნივთები, არა ნაკლებ ასი მანეთისა.

ხალხში გავრცელებულია სხვადასხვა ხმები, რომელიც იძლევა [illegible]ვით გამგეობის წინააღმდეგ. საწყობს ედგა დარაჯი, მაგრამ არავინ არ დაუჭერია. გამგეობის მიერ არავითარი ზომა არაა მიღებული.

ასეთი უმოქმედობა გამგეობისა ამხანაგობას დაღუპვამდე მიიყვანს, არც ისაა დანაშაულებით გამორკვეული, რა წაიღეს დამნაშავეებმა. დროა უკვე იცოდეს გამგეობამ, რა წაიღო დანაშაულებით გამ[illegible].

ლაზვარი.

უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტის" № 260 მოთავსებული იყო შენიშვნა ლეჩხუმის მაზრის ორბელის თემიდან, სადაც კორესპონდენტი ბრალს სდებდა ადგილობრივ კოოპერატივის საწყობის გამგეს მფლანგველობაში და საქმისადმი უგულებელყოფილობაში. სხვათა შორის შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ საწყობის გამგე განსაკუთრებით სწყალობს მასწავლებელ ქალს თ. ა—ნის, რომელსაც ატანს ყოველგვარს, რასაც ეს უკანასკნელი მოისურვებს. ორბელის თემის საბჭო ამით აცნობებს, რომ თ. ა—ნის ქალი აქ სრულიად უსაფუძვლოდაა მოხსენიებული და კოოპერატივის საწყობის გამგისადმი წაყენებულ ბრალდების ეს ნაწილი არ შეეფერება სინამდვილეს.

ორბელის თემის აღმასკომი.

საბჭოს მუშაობას უსათუოდ ზიანი აქვს. მახლობელ გადარჩევის დროს საჭიროა ამ შეცდომის გამოსწორება და სოფლების ჩამოშორება ხაშურიდან.

მეორე შეცდომას ადგილი ჰქონდა ჭიათურის საბჭოში. ჭიათურა ეს არის შავი ქვის მრეწველობის მუშათა რაიონი და ჭიათურის ქალაქის საბჭოში მეტ წილს სწორად შავი-ქვის მრეწველობის მუშები უნდა შეადგენდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მიღებული იყო დადგენილება იმის შესახებ, რომ მუშები მონაწილეობას უნდა იღებდენ არჩევნებში არა ქალაქში, არამედ მახლობლად მდებარე სოფლებში, ასე, რომ მუშების მნიშვნელოვანი კონტინგენტი ჭიათურის ჩამოსცილდა და მივიღეთ ისეთი სურათი, რომ ამ ქალაქის საბჭოში მუშები 26,5 პროცენტს შეადგენენ, ხოლო მოსამსახურეები კი—55,5 პროცენტს.

რაც შეეხება დანარჩენ საბჭოებს, რომელთაც ჩვენ საბჭოების მე-5-ე და მე-6-ე კატეგორიებს ვაკუთვნებთ, იქ ისეთი მდგომარეობაა, რომ მუშები სრულებით ან თითქმის არ არიან. ავიღოთ ახალქალაქის საბჭო.

იქ წევრთა რიცხვი 57 კაცს უდრის, ხოლო მუშა სულ 3 კაცია.

ახალციხის საბჭოში წევრთა რიცხვი უდრის 119 კაცს, მუშები—15.

ლიუქსემბურგში საბჭოს 56 წევრი ჰყავს, აქედან მუშაა—1.

გორის მაზრაში—143, მუშა—1.

დუშეთის საბჭოში მუშა არ შედის. თელავის ქალაქის საბჭოში—114 წევრია, აქედან მუშა—15.

ზუგდიდის მაზრაში—საბჭოში 45 წევრია, აქედან არც ერთი მუშა.

ოზურგეთის მაზრაში—63 წევრიდან ერთია მუშა.

სენაკის ქალაქის საბჭოში—48 წევრია, აქედან მუშა—3.

ქალაქ ონში 30 წევრს შორის არც ერთი მუშა არ არის.

საბჭოს ეს შემადგენლობა აშკარად მოწმობს, რომ ზოგიერთი რამ ამ საკითხში გადასინჯულ უნდა იქნეს, ვინაიდან ჩვენ კი არ უნდა მივბაძოთ მენშევიკურ ტრადიციას, რომ დაბებს ქალაქები ეწოდოთ და, მაშასადამე, იქ ქალაქის საბჭოები შევქმნათ, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ავიღეთ კურსი ქალაქის ცენტრების გამოცოცხლებაზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენს წინაშე სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილი და შესაძლებელი არის საქართველოში ზოგიერთი ქალაქის საბჭო გაუქმებული იქნეს და მათ მაგიერ შეიქმნეს თემსაბჭოები და ამით მუშაობა არ დაბრკოლდება. გაუქმება იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ეხლავე მივიღებთ დადგენილებას, რომ ყველა ქალაქის საბჭოები, რომელნიც ჩვენ მე-5-ე და მე-6-ე კატეგორიებს მივაკუთვნეთ, გაუქმებული უნდა იქნენ; არა, ჩვენ მხოლოდ პრინციპიალურად ვაყენებთ საკითხს.

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საჭიროა გადავათვალიეროთ ქალაქის საბჭოების რაოდენობა, ზოგიერთი მათგანი გავაუქმოთ, ხოლო ამ საკითხის შემდეგი ჩამოყალიბება წავა საბჭოთა წესით, ცაკის სათანადო კომისიებში, სადაც განხილული იქნება ყოველი ცალკე ქალაქის საბჭოს საკითხი.

მაგრამ ეს საკითხი ჩვენ უნდა წამოგვეყენა და პრინციპიალურად გადაგვეწყვიტა. ცეკას ივლისის პლენუმზე ამხ. მოლოტოვს ასეთი ქალაქებისა და ქალაქის საბჭოების შესახებ უნდა ეთქვა: „ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ არის 11 ქალაქი, რომელთა საბჭოებშიც მუშები არ შედიან. ნება მომეცით ამ შემთხვევის გამო, რომ შემდეგისთვის რამოდენიმედ მაინც დავამშვიდო ოპოზიცია, შემოვიტანო ასეთი წინადადება: თუ შემდეგი გადარჩევის დროსაც ამ საბჭოებში სრულიად არ აღმოჩნდება მუშა, მაშინ ამ „ქალაქო პუნქტებს" უნდა წავართვათ „ქალაქის სახელწოდება"... ეს უმნიშვნელო ადგილები, რომელნიც ქალაქის სახელს ატარებენ, ხოლო საბჭოებში სრულიად არ ჰყავთ მუშები, არ მგონია პროლეტარული რესპუბლიკის ქალაქის სახელწოდების ღირსი იყვნენ. მე ვფიქრობ, რომ ყოველ ქალაქს თავის საბჭოებში უნდა ჰყავდეს მუშების განსაზღვრული პროცენტი".

ეს, ჩვენი აზრით, ჩვენც შეგვეხება. ჩვენც გვაქვს საბჭოთა რესპუბლიკა, პროლეტარული რესპუბლიკა და არ მგონია, რომ ისეთი ქალაქები, როგორც დუშეთი ონი და სხ., სადაც არც ერთი მუშა არ არის, ღირსი იყვნენ ქალაქის სახელის ტარებისა და, მით უმეტესი, ჰყავდეთ ქალაქის საბჭო.

(დასასრული იქნება)

მიხ. კახიანი.

მუშათა ცხოვრება

საღამო მუშათა კლუბში

9 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა ლიტერატურული საღამო-წარმოდგენა.

პირველად დაიდგა ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ სოსო მებუროშვილის ხელმძღვანელობით და ელ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით დავით კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დარისპანის გასაჭირი".

პიესა ცოცხლად ჩატარდა. აღსანიშნავია განსაკუთრებით თავიანთ როლებში: ქ. დევეტოაშვილი (დარისპანი) ელ. ანდრონიკაშვილი (კაროლინა) და გ. პაპელაშვილი (ოსიკო). წარმოდგენილი თამაში სალ სიცილს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. პიესის მწყობრად ჩატარებას ხელს უწყობდენ დანარჩენი სცენის მოყვარეები. მხატვრული მხარე კარგი იყო. საერთოდ პიესა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

შემდეგ გაიმართა კონცერტი: თაქთაქიშვილმა შეასრულა „ნანა" პიანინოზე, ჩიჩუას ქალმა შეასრულა რამოდენიმე არია ოპერებიდან და სხ.

ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: სიკო ფაშალიშვილმა, სოსო გრიშაშვილმა, დ. ახვლედიანმა და სხ.

ბოლოს გაიმართა ცეკვა. ცეკვაში მონაწილეობა მიიღეს სხვა პირებმაც საზოგადოებიდან.

ნასიამოვნები მუშები დაიშალენ საღამოს 12 საათზე.

მუშკორი—ი. ჯავახიშვილი.

მოგვეცით შესაფერისი ბინა

თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის გამგეობა მოთავსებულია მიხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში. ბინა, რომელიც უკავია კავშირს სრულიად უვარგისია. დაბალი ჭერი, ბნელი, ნესტიანი, არ არის სისუფთავე. ეს ბინა, ჯერ კიდევ 1924 წელში ვერ იტევდა წევრებს, იმდენად ვიწროა. დღეს ორგანიზაცია შედარებით წარსულ წლებთან საგრძნობლად გაიზარდა, გართულდა მისი მუშაობაც ყოველ მხრივ. მომეტა თანამშრომლები. ბინას კი არაფერი არ ეშველა და თანამშრომლები ძველ ბინაში იხრჩობიან.

არა ერთხელ დაწერილა აღნიშნულ საკითხზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ დღემდი ყველაფერი მხოლოდ „შეპირებებით" თავდება.

მოსალოდნელია ამ სადგომში თანამშრომლების დაავადება. ამიტომ სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ადმინისტრაციამ დაუყონებლივ გამონახოს სათანადო ბინა.

შრომის ინსპექციავ, საჭიროა თქვენი ყურადღება.

მუშკორი გუგუნა.

არ ემორჩილებიან დადგენილებას
(თბილისის საყუდი).

მუშებისთვის სწავლა-განათლების მისაცემად დაარსებულია მუშათა ფაკულტეტები. მთავრობის დადგენილებით მუშფაკის მსმენელი მუშები ორი საათით ადრე უნდა იქნენ განთავისუფლებულნი სამუშაოდან. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს საყუდში ეს არ ტარდება ცხოვრებაში; მუშფაკელებს არ ეძლევათ შეღავათი. თუ ასე გაგრძელდა არც ერთი მუშფაკელს არ შეუძლია სწავლის გაგრძელება.

ადგილკომმა ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშკორი ძია-ლევან.

ჯამაგირს დროზე არ ვღებულობთ

სკოლის დაბალი მუშა-მოსამსახურენი აუტანელ პირობებში იმყოფებიან, მეტადრე დაბალი თანრიგის თანამშრომლები, რომელნიც თვიურად 25 მანეთს ღებულობენ და ამასაც თავის დროზე არ აძლევენ. კოლხელშეკრულების ძალით, 25 რიცხვს არ უნდა გადასცილებოდა ჯამაგირის დარიგება; მაგრამ ეს ორი თვეა 25 რიცხვში მისაღები ჯამაგირი მივიღეთ მეორე თვის 3 რიცხვში. რაშია საქმე? თუ კავშირს კოლხელშეკრულება აქვს დადებული, რატომ არ სრულდება ეს.

განათლების მუშაკთა კავშირმა უნდა გაითვალისწინოს ჩვენი მდგომარეობა და ეს საქმე მოაგვაროს. ცოტა გვაქვს ჯამაგირი და ეს ცოტა თავის დროზე მაინც მოგვცეს.

იორა.

რა გავაკეთეთ?

სად. თბილისში უკანასკნელ ხანებში წარმოება საგრძნობლად გაიზარდა; მოძრაობა გაფართოვდა და შრომის ნაყოფიერებაც გადიდდა.

ასეთი მუშაობა სწარმოებდა: **ნოემბრის** თვის განმავლობაში ა.-კ. ხაზზე გაიგზავნა სულ 8.717 დატვირთული რონოდა, აქედან ბათუმის მიმართულებით 6.325 სხვადასხვა მიმართულებით 2.392 რონოდა.

შედარებით წარსულ თვეებთან მოძრაობა 17 პროცენტით გაიზარდა.

ოქტომბრის თვის განმავლობაში ბათუმის მიმართულებით გაიგზავნა 6.615, ხოლო ბაქოს მიმართულებით 2.802 დატვირთული რონოდები. სულ კი 9.417 რონოდა. მოძრაობამ 8 პროც. მოიმატა შედარებით სექტემბრის თვესთან.

ნოემბრის თვეში სულ გაიზავნა 9.254 დატვირთული რონოდა, აქედან ბათუმისაკენ 1.864 რონოდა, ხოლო სად. ნავთლუღისაკენ 3.388 დატვირთული რონოდა.

სულ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზებზე ყველა მიმართულებით გაიგზავნა 34.617 დატვირთული რონოდა.

ამგვარად საშუალოდ ყოველდღიურად იგზავნება 282 რონოდა.

მუშკორი რად—მე.

უნდა დაისაჯოს ექიმბაში

ერთი თვის წინად გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა მთავარ სახელოსნოს მუშის ამხ. ლადო ხიზანაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ გორის მაზრის სოფ. კასპის მცხოვრებ ექიმბაშმა ივლია ცხადაძემ მოუწამლა მას და, რომელიც თბილისის საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. იგი აქ სამი დღის წვალების შემდეგ გარდაიცვალა.

ამის შესახებ მუშკორთა კრებამ დაადგინა: მკაცრი ზომები მიღებულიყო ექიმბაშ ცხადაძის და მისთანების წინააღმდეგ.

ცხადაძის ქალი სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა, მაგრამ იგი მალე საპატიმროდან განთავისუფლებულ იქნა სრულიად. ამ ჟამად იგი თავისუფლად გრძნობს თავს.

როგორც ვიცით გორის მაზრაში ბევრ სხვა გლეხების ცოლებიც გამხდარა მისი ექიმბაშობის მსხვერპლი.

დღეს იგი იკვეხის,—რომ მას ვერავინ დააკლებს ვერაფერს, რადგან „ნათლიმამეი" ბლომად ჰყავს.

საჭიროა სასტიკად დაისაჯოს ასეთი საქმის ჩამდენი, რომ სხვა ექიმბაშებს მაინც არ ჩაიდინონ ასეთი ბოროტება.

მუშკორი ლანტკურელი.

დააგეთ ხის იატაკი

სადგურის მუშა-მოსამსახურენი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ უზრუნველყოფილი არ არიან, რასაც არა ერთი კაცი უსხვერპლია.

ტინობის კედლები და იატაკები ჯანმრთელობის საშინელი მტერია, რაც იწვევს ადამიანის დაავადმყოფებას.

ამჟამად უმეტესი ნაწილი მთელი სადგურისა პირვანდელი მდგომარეობაში არიან. სამორიგეო ოთახებში, [illegible], საბილეთო სალაროებში. სათადარიგო ოთახებში და სხ. ტინობის იატაკებს შეცვლა არ ეღირსა.

ტინობის იატაკები დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში ისეთ შენობებში, სადაც კაცს იშვიათად უხდება გავლა.

სამწუხაროა ჯანმრთელობის განყოფილების დუმილი. კმარა ამ საკითხზე ამდენი წერა, დროა საქმის მოწესრიგება.

მუშკორი დათ—ლი.

კედლის გაზეთი უნდა დაიწეროს გარკვევით

სადგ. ლანჩხუთის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მეათე ნომერი „წითელი წერაქვი"-ს სახელწოდებით. გაზეთი არის უბრალო ფანქრით დაწერილი. „მოწინავე" წერილს სრულებით ვერ გაარჩევთ. დანარჩენი წერილები რომ გაარჩიოთ, საჭიროა „მიკროსკოპი". ასეთი გაზეთი უშინაარსოა და, მიმზიდველი არ არის.

ვიმედოვნებთ, რომ სადგ. ლანჩხუთის კულტკომისია უფრო გაუმჯობესებულად და კარგ ნომერს გამოუშვებს შემდეგ თვეებში, რომ მუშებს შეეძლოთ გაზეთის შინაარსის გაგება და მისი წაკითხვა.

მუშკორი კოლოდიუმი.

დაყოვნება არ ივარგებს

მატერიალის ქუჩა № 9-ში მოთავსებულია ქართულ მუშფაკის მსმენელთა საცხოვრებელი ბინა. თითო ოთახში სცხოვრობს 20—25 მსმენელი. შენობა ინგრევა, ფანჯრებიდან სიცივე შემოდის, რის გამო მოსალოდნელია ავადმყოფობის გამრავლება. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა დაგვპირდა კარგი შენობა, დღემდე მოუწესრიგებელია ეს საქმე.

განათლების კომისარიატო, დაყოვნება არ ივარგებს.

მ. ტნარეთელი.

მუშათა ქრონიკა

რკინის გზაზე

— **სპეცტანსამოსი.** სად. საგარეჯოს ადგილკომმა დაავალა შრომის დაცვის კომისიას მოაგვაროს სპეცტანისამოსის დროზე დარიგების საკითხი.

— **ხაშურის ხაზონო კომიტეტს** განზრახული აქვს გაუდიდოს უმუშევრებს დასარიგებელი ფონდი.

— **მივლინება.** საუბნო კომიტეტმა რადიო სექციაში მიავლინა ამხ. სობელევსკი.

— ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა დაზღვეულთა პირობების გაუმჯობესება.

— **კედლის გაზეთი.** ახლო-მომავალში ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობა გამოუშვებს კედლის გაზეთის პირველ ნომერს.

თუთუნის ქარხანა № 1.

— **ექსკურსია.** როზა ლიუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხნის კულტკომისიამ დაადგინა ახლო-მომავალში მოაწყოს ექსკურსია „ზაჰესში".

— **პროფ-წრე 3 ენაზე.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ საჭიროდ სცნო პროფწრის დაარსება ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე.

— **ბიურო.** ქარხკომმა დაადგინა დაარსოს იურიდიული ბიურო.

— **დრამწრე.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ გადაწყვიტა დაარსოს რუსული დრამწრე ახალგაზრდობისათვის.

— მაკარონის ქარხნის კულტკომისიამ დაადგინა, შეიძინოს სიმებიანი ორკესტრი.

— **წარმოდგენა.** დღეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში სახგანათლების მოძრავ თეატრის მიერ გაიმართება სანიტარულ განათლების შინაარსის საღამო-წარმოდგენა.

„ბაღის შრომა"

თბილისში მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან არსებობს მშრომელ მებაღეთა გაერთიანება არტელი „ბაღის შრომა"-ს სახელწოდებით. სინამდვილეში კი ეს ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს არტელს და ჩვეულებრივ კოოპერატიულ ამხანაგობას ემსგავსება. ყოველ შემთხვევაში „ბაღის შრომა"-ს წევრების უმრავლესობას დიდი სურვილი აქვთ არტელის მოწყობისა, მაგრამ რადგანაც თბილისის ბაღები საკმაო მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებული და თვითეულ ბაღში ორი - სამი და ოთხ მებაღეზე მეტი ვერ იმუშავებს, ამიტომ ჯერ-ჯერობით მათ მოწყობილი აქვთ ასეთი გარდამავალი სახის ორგანიზაცია როგორიცაა „ბაღის შრომა".

„ბაღის შრომა"-ს წევრთა შორის სასტიკათ აკრძალულია დაქირავებული შრომა და სადაც შესაძლებელია დღესვე ტარდება საარტელო წესები და ამ მხრივ თბილისში არსებულ დანარჩენ ორ მებაღეთა ორგანიზაციებისაგან ძირითადად განირჩევა.

„ბაღის შრომა"-ს წევრთა რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება და ამჟამად უკვე 125 აღწევს. თავიდან დაარსებული იყო საპაიო გამოსაღები—10 მან. ამჟამად უკვე აკრეფილია 797 მან. საწევრო გადასახადი დაწესებულია 1 მან.. გარდა ამისა თითოეულ წევრს თვიურათ შეაქვს 1 მან. 20 კაპ. (აკრეფილია 451 მან.) შემოღებულია წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობა 25 მანეთი. მომავალისთვის საპაიო გადასახადი გადიდებულია 25 მანეთამდე.

არტელს ამ დროს მოუწყვია ორი გასაღების პუნქტი: ერთი ახალ ბაზარზე და მეორე განყოფილებით მჭედლების ქუჩაზე. წევრ-მებაღეებს ამ პუნქტებზე მიაქვთ თავის ნაწარმოები და გასაღების შემდეგ 10 პროც. სტოვებენ საკომისიოს. არტელის ხარჯების დასაფარავათ დღემდე არტელს არსაიდან არავითარი სესხი არ უსარგებლია და მიუხედავათ ამისა მისი საქმიანობა თანდათან ფართოვდებოდა. უკანასკნელ ხანებში მან გამსაღებელი პუნქტებიც მოაწყო.

არტელის წევრების განკარგულებაში მყოფ ბაღების სივრცე დაახლოებით 53 დესეტინას უდრის. ამ ჟამად არტელი იღებს ნავთლუღში სამოცი დესეტინა მიწას, რომლის დამუშავება იწარმოებს სათანადო წესით. გაშენებული იქნება ვენახი, ხილი და ბოსტნეულობა.

არტელი ცალკე აგრონომიულ სახლსაც აწყობს ახლო მომავალში, ამასთანავე იწარმოებს სათბურების განახლება, ახალი თესლების და ნერგების გამოყვანა და სხვა. არტელის გამგეობას, წევრები დღემდე სრულებით უსასყიდლოთ მუშაობენ და აპარატის სხვა ხარჯებიც სულ უმნიშვნელო იყო.

თუ არტელს დასახული გეგმის განხორციელებაში სათანადო ორგანოებმა ხელი შეუწყვეს, შეიძლება სრული იმედი ვიქონიოთ, რომ „ბაღის შრომა" ახლო ხანში, კოლექტიურ საფუძველზე მოწყობილ მძლავრ ორგანიზაციათ გადაიქცევა.

ბ.

მუშკოოპი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ერისთავის მოხსენება მთლიან მუშათა კოოპერატივის მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს შემდეგ მიღწევებს: მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბრუნავ სავაჭრო თანხების ზრდას. პროფსაბჭო სწორად სთვლის მუშკოოპის ხაზს, რომელიც მას აღებული აქვს სოფლის კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან თანხების განთავისუფლებაზე.

მუშკოოპის მომავალი მუშაობის გაფართოება-გაძლიერებისათვის პროფსაბჭოს საჭიროდ მიაჩნია: გაცოცხლებული იქნეს მუშკოოპის ორგანიზაციული მოღვაწეობა, რომელიც უმთავრესად უნდა გამოიხატოს კოოპერატივების წევრების რიცხვოვან ზრდაში, წევრებიდან [illegible] პაების აკრეფაში და წევრებთან კავშირის განმტკიცებაში.

ამასთანავე პროფსაბჭომ წინადადება მისცა მუშკოოპს გააგრძელოს მუშაობა საქონელზე ფასების დასაკლებად აპარატის გასამარტივებლად და გასაიაფებლად ისე, რომ ზედნადები ხარჯები დაყვანილი იქნეს 10 პროცენტამდე.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ მუშკოოპის მოღვაწეობის წარმატებით განვითარებას ხელს უშლის სამრეწველო საქონლის მცირე რაოდენობით შემოზიდვა სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ვაჭრობის ქსელის მოუწესრიგებლობა, რაც იწვევს მუშკოოპის აპარატის სუსტად დატვირთვას და მისი ხარჯების გადიდებას, საჭიროთ სთვლის აღძრული იქნეს სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი თბილისში შემოსატან სამრეწველო საქონლის კოეფიციენტის გადიდების შესახებ.

დასასრულ პროფსაბჭომ საჭიროდ სცნო გადაეცეს მუშკოოპს ტყავისა და ფეხსაცმელების საცალო ვაჭრობა სათანადო სახელმწიფო ორგანოებიდან.

„რუსავსტორგ"

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი რუსეთ-ავსტრიის შერეული საქციო საზ-ბა „რუსავსტორგ"-ში ამხ. ზადვორიანსკი, რომელსაც უნდა გამოეკვლია აღნიშნული საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების მუშაობა.

ამხ. ზადვორიანსკიმ უკვე დაამთავრა მუშაობა და გამოკვლევის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— ერთი თვის მუშაობამ მე დამარწმუნა, რომ „რუსავსტორგ"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების მოღვაწეობა სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

„რუსავსტორგ"-ი არის ერთად-ერთი შერეული საქციო საზოგადოება, რომელიც რჩება სამუშაოდ ამიერ-კავკასიაში. დანარჩენმა საზოგადოებებმა აქ გააუქმეს თავისი განყოფილებები. ამიტომ საჭირო იყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან მოლაპარაკება მთელ რიგ საკითხებზე, რომ ამ ორგანიზაციასა და „რუსავსტორგ"-ს შორის დამყარებული ყოფილიყო კონტაქტი.

მოლაპარაკება ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან დამთავრდა შეთანხმების დადებით, რომელიც განსაზღვრავს „რუსავსტორგ"-ის ფუნქციებს ამიერ-კავკასიაში.

აქამდი მონოპოლია იმპორტზე ეკუთვნოდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს. ეხლა კი სათანადო ორგანოების დადგენილების თანახმად, საიმპორტო კონტინგენტი ეძლევა კოოპერატიულ კავშირს, რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოებს და სხვა ორგანიზაციებს, რაც აადვილებს „რუსავსტორგ"-ის მუშაობას ამიერ-კავკასიაში, რადგან მას შეუძლია ხელშეკრულება დასდოს აღნიშნულ ორგანიზაციებთან მათთვის საჭირო მოწყობილობის შემოსატანათ ავსტრიიდან.

„რუსავსტორგ"-ი ამ მხრივ უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს ამიერ-კავკასიის ავტო-სამრეწველო საზოგადოების სამმართველოსთან, ზაჰესკომთან, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოსთან, სომხეთის ს. მ. უ. საბჭოსთან და სხვა ორგანიზაციებთან.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ ნაშუადღევის პირველ საათზე შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მზადება აღწერისათვის თბილისსა და მის მაზრაში, 2) ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების დაარსების შესახებ და 3) საარჩევნო კომისიის არჩევა.

მზადება სტატისტიკურ აღწერისათვის

მოხსენება აღწერისათვის მზადების შესახებ თბილისსა და მის მაზრაში გააკეთა სტატისტიკურ განყოფილების გამგემ ამხ. შ. გომართელმა, რომლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მოსამზადებელი მუშაობა აღწერისათვის სტატისტიკურ განყოფილებას დაუწყია ა. წ. 27 ივლისიდან. პირველ ყოვლისა, ტეხნიკოსებისა და ინჟინერებისაგან შემდგარ კომისიას დაუმუშავებია თბილისის გეგმა, რომელშიდაც შეუტანია სათანადო ცვლილებები. ყველა უსახელო ქუჩებისათვის მიუციათ სახელწოდება, სულ თბილისში აღმოჩენილა 165 ასეთი ქუჩა. გამოურკვევიათ აგრეთვე ქალაქ თბილისის ფარგლები. დანომრილია თბილისის ყველა სახლები და ბინები, თბილისი დაყოფილია 12 სახელმძღვანელო რაიონათ; 50 საინსტრუქტორო და 549 სააღწერო უბნად. დამუშავებულია აგრეთვე პლანშეტები აღმწერლებისა და ინსტრუქტორებისათვის. მაზრაც დაყოფილია საინსტრუქტორო რაიონებათ და 190 სააღწერო უბნად, შედგენილია აგრეთვე მაზრის ახალი ქარტა. აღმწერთა შტატი ქალაქისათვის შესდგება 500 კაცისაგან, ხოლო მაზრაში 121 აღმწერისაგან. აღწერა თბილისში დაიწყება 17-ს სექტემბერს და დამთავრდება ერთ კვირაში; მაზრაშიდაც დაიწყება ამავე რიცხვში და გაგრძელდება ორ კვირას. სულ მოსამზადებელ მუშაობაზე დაიხარჯა 19 ათასი მანეთი.

პლენუმმა სტატისტიკურ განყოფილების მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და დაავალა პრეზიდიუმს მომავალშიდაც ხელი შეუწყოს აღწერის წარმატებით ჩატარებას.

ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების მოწყობა

თბილისის აღმასკომთან ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ასრიევმა, რომელმაც პლენუმს გააცნო ის გარემოება, რაც აუცილებლად ხდის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მოწყობას აღმასკომთან. ამჟამად თბილისის აღმასკომის უწყებაში იმყოფებიან ისეთი წარმოებანი, რომელნიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას, ვიდრე კომუნალური მეურნეობის სხვა წარმოებანი. ასეთია მაგ. აგურის ქარხნები, ელექტრო-მექანიკური ქარხანა, ლუდის ქარხანა, ცენტრალური კომიტეტის სტამბა და ა. წ. დ. [illegible] სახელოსნო, ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარება აღმასკომს შესძენს კიდევ ბევრ ასეთი ხასიათის წარმოებებს. კომუნალური განყოფილება, რომელიც ისედაც საკმაოდ არის დატვირთული თავისი წარმოებებით, ვერ გაუძღვება ამ ახალ სამრეწველო დაწესებულებებს; ამიტომ მომხსენებლის აზრით უფრო მიზანშეწონილია საბჭოთა რესპუბლიკების სხვა დიდ ქალაქების მსგავსად, აღმასკომის განყოფილებასთან მოეწყოს სპეციალური განყოფილება, რომელსაც უშუალო კავშირი ექნება აღმასკომთან.

პრინციპიალურად პლენუმმა საჭიროდ სცნო განყოფილების მოწყობა და მის გამგედ დაასახელა ამხ. ნიკო კიკნაძე. პლენუმმა აირჩია აგრეთვე კომისია ხუთი კაცისაგან, ახალი განყოფილების დებულების გამოსამუშავებლად. კომისიაში შედიან ამხ. ნ. კიკნაძე, ე. მესხი, ვ. კორძახია, ასრიევი და ვართაპეტოვი.

საარჩევნო კომისია

მომავალი თვის 1-ლ რიცხვებში დაიწყება საბჭოთა არჩევნები, რომელიც დამთავრდება მარტის 1-ლი რიცხვებისათვის, ხოლო 15 მარტს მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა. პლენ. ამხ. ე. მესხის წინადადებით აირჩია საბჭოთა არჩევნების ჩამტარებელი კომისია 19 კაცისაგან თბილისისა და მისი მაზრისათვის. კომისიაში შედიან: ამხ. ამხ. სუხიშვილი, (თავმჯდომარე) ივანოვ-კავკასიელი, მესხი, ვართაპეტიანი. სვანიძე. ქავთარაძე. თანცულია, ტერ-ვართანოვი, ფანცხავა, ტატევევი, სალუქვაძე, კიდაიში, ბარბაქაძე, კასიმოვი, მამლეევი, ასლამაზიშვილი, დარახველიძე და ორი გლეხი თბილისის მაზრიდან.

მოსახლეობის აღწერისათვის

სახკომსაბჭოს განკარგულება

სახკომსაბჭომ მოისმინა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მოხსენება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მოსამზადებლად საქართველოში წარმოებულ მუშაობის შესახებ და აგრეთვე სამმართველოს მიერ წარმოდგენილი სააღწერო ორგანიზაციული გეგმა, რომელიც მოწონებულ იქნა. აღწერის წარმატებით ჩატარების მიზნით, წინადადება მიეცა განათლების სახ. კომისარიატს და სტატისტიკის სამმართველოს გამოსცეს სათანადო დადგენილება, რომლის ძალითაც განათლების მუშაკებს დაევალებათ საზამთრო არდადეგების განმავლობაში უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერაში.

სამაზრო და საქალაქო აღმასკომებს წინადადება მიეცა ჩაატარონ ფართო საგიტაციო კამპანია სპეციალურ კრებების, მოხსენებების გაზეთების, და პრესის და სხვ. საშუალებებით.

წინადადება მიეცა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთ, რათა სტატისტიკის ორგანოების მოთხოვნით გაანთავისუფლონ თავიანთი პირდაპირი მოვალეობისაგან ის საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც საჭირონი იქნებიან აღწერის მუშაობის ჩასატარებლად.

წინადადება მიეცა ყველა მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა: 1) მოსახლეობა სისწორით იქნეს აღწერილი. 2) აღწერის გათავების შემდეგ შეგროვებულ იქნეს მთელი მასალა სამაზრო სტატბიუროს საშუალებით მეკომურთა და დაბინავებულ პირთა სიების თანახმად და 3) შეგროვებული მასალა გადაეგზავნოს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ვადაზე.

საქ. ფინსახკომს დაევალა მიიღოს საჭირო ზომები, რათა მაზრებში დაუყოვნებლივ ხდებოდეს ანგარიშის გასწორება და სააღწერო თანხები გაიცეს ხოლმე სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს განკარგულების მიხედვით პერსონალური სიების მოუთხოვნელად.

სტატსამმართველოს განმარტება

ცენტრ. სტატ. სამმართველოში ადგილებიდან ღებულობენ დიდძალ შეკითხვებს მოსახლეობის აღწერის პრაქტიკულად ჩატარების შესახებ. ცენტ. სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილება ამის გამო იძლევა შემდეგ ახსნა-განმარტებას:

მოსახლეობის აღწერა სწარმოებს ერთ და იმავე დროს მთელს საბჭოთა კავშირში 1926 წლის დეკემბერში და აღრიცხავს ადგილობრივ მყოფ მოსახლეობას.

აღწერაში უნდა მოჰყვეს კავშირის მთელი მოსახლეობა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო.

მოსახლეობა უნდა აიწეროს საცხოვრებელ ბინაზე, და არა სამსახურის ან სამუშაოს ადგილზე. იმ ქალაქში ან სოფელში, სადაც იგი აღწერის დღეს აღმოჩნდება (თუნდაც ასაწერი პირი დროებითი მაცხოვრებელიც იყოს იმ ადგილის. სადაც მას მოუსწრო აღწერამ).

მოსახლეობის აღწერა სწარმოებს ბარათული სისტემით ე. ი. თითოეულ პირზე სდგება ცალკე პირადობის ბარათი. ქალაქებში პირადობის ბარათის გარდა, სდგება კიდევ საოჯახო ბარათი, როგორც ოჯახზე, ისე მარტოხელზე, ყაზარმული ტიპის საერთო ბინების გამოკლებით (საავადმყოფო, სატუსაღო, სამხედრო ყაზარმა, საბავშვო სახლი, სასტუმრო და სხვა). გარდა ამისა, ქალაქებში თითოეულ სახლკარზე სდგება სახლკარის ცალკე ბარათი. სოფლად თითოეულ დასახლებულ პუნქტში სდგება მეკომურთა სია.

აღმწერებად და ინსტრუქტორებად (განსაკუთრებით პირველნი) უნდა მოწვეულ იქნენ უმთავრესად ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც კარგად იცნობენ თავის რაიონს.

აღწერის წარმოებისათვის დაწესებულია 7 დღე ქალაქებში და 14 დღე სოფელში. (ამაში არ შედის მოსამზადებელი მუშაობა და მასალების ჩაბარება). აღწერა იწყება 17 დეკემბერს.

სამუშაოსთან და თავის უბანთან გასაცნობად. აღმწერს ეძლევა 2 დღე ქალაქში და 3 დღე სოფელში. მასალების ჩასაბარებლად კი—2 დღე.

აღწერის ქრონიკა

კინო-პროპაგანდა

სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილებამ სახკინმრეწვს შეუკვეთა კინო ლოზუნგების დამზადება კინო-თეატრებში და სხვა ადგილებზე სადემონსტრაციოთ.

ცნობები მაზრებიდან

მაზრებიდან დეპეშებით იტყობინებიან, რომ აღმწერლების მომზადება უკვე დასრულდა და ყველანი დაემგზავრენ ადგილებზე მუშაობის დასაწყებად. დღეს საღამოს აღმწერლები მზად იქნებიან დილიდან შეუდგენ მუშაობას.

ამინდი ხელს უწყობს

ცენტ. სტატ. სამმართველოში მიღებული ცნობებით, პროვინციებში კარგი ამინდებია. რაც ძლიერ შეუწყობს ხელს აღწერის კარგად ჩატარებას.

აბრეშუმის ექსპორტი

ამიერ - კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა სამეაბრეშუმეო ორგანიზაციების თათბირი აბრეშუმის ნარჩენების რეალიზაციის შესახებ.

საბჭოთა კავშირის „შელკოტრესტ"-თან რესპუბლიკანური ორგანიზაციების მიერ დადებულ ხელშეკრულების ძალით აბრეშუმის ნარჩენები მთლიანად უნდა შეიყიდოს „შელკოტრესტ"-ს. თათბირმა გამოარკვია, რომ აბრეშუმთა ნარჩენთა რაოდენობა ამიერ - კავკასიაში წლიურად უდრის 13.500 ფუთს. თათბირმა დაადგინა: ხელშეკრულების ძალით „შელკოტრესტ"-ს მიეცეს ნარჩენების მინიმალური რაოდენობა, — დაახლოვებით 1.000 ფუთი, დანარჩენი სარეალიზაციოთ გატანილ იქნეს უცხოეთში.

გამორკვეულ იქნა, რომ „შელკოტრესტ"-ს საშუალება აქვს შეიძინოს აბრეშუმის ნარჩენები, ამიერ - კავკასიის გარდა, თურქესტანშიაც.

ახალი გამოკვლევები

რკინისგზის ტელეგრაფის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა სატელეგრაფო კორესპონდენციის გადაცემის და ა.-კ. რკინის გზების ტელეგრაფის დატვირთვის გამოკვლევას და შესწავლას.

გამოკვლევის ამოცანებში შედის ტელეგრაფის ტეხნიკური აგენტების სამუშაო დროის დატვირთვის და კორესპონდენციების გაცვლის სიჩქარის შესწავლა. ამასთან ერთად, გამოკვლევა გამოარკვევს იმ პირების სიას, რომელთაც უფლება აქვთ გაგზავნონ სამსახურო კორესპონდენციები და შეიმუშავებს ზომებს, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს რკინის გზის ტელეგრაფის შემოსავლის გადიდებას.

სააღმშენებ. მასალების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა სააღმშენებლო მასალების გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში. თვითეულ რესპუბლიკაში გამოკვლეული იქნება სამი აგურის ქარხანა და აგრეთვე ცემენტის მსხვილი ქარხნები. გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ როგორ სწარმოებს აგურის დამზადება, როგორია აგურის ქარხნების მოწყობილობა და მდგომარეობა. შრომის ნაყოფიერება, გამომუშავების ნორმები, პროდუქციის ღირსება და სხვა.

ამასთან ერთად, გამოკვლევის პროცესში შესწავლილი იქნება საკითხები წარმოებების გეგმაშეწონილი მუშაობის, ნედლეულის, ნახევარ ფაბრიკატის და დამზადებული პროდუქციის ნაზიდების, აგურის თვითღირებულების, პროდუქციის რეალიზაციის, ფინანსების მიწოდების და სხვათა შესახებ.

სხვა სააღმშენებლო მასალებთან ერთად გამოკვლეული იქნება აგრეთვე ცემენტის და სატყეო მასალების დამზადების საქმე.

ახალი საავადმყოფო

თელავში

თელავის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს დიდი საავადმყოფოს შენობის აგებას. შენობა იქნება ორსართულიანი და 60 საწოლიანი. ამჟამად არსებული საავადმყოფოს შენობა დაცლილ იქნება და იქ მოთავსდება რომელიმე სხვა სახელმწიფო დაწესებულება.

საავადმყოფო დახმარებას გაუწევს ნაწილობრივ სიღნაღის, თბილისის მაზრას და თიანეთის რაიონს.

საავადმყოფოს ეზოში აგებული იქნება აგრეთვე სამზარეულოს შენობა, სასარეცხო, მიცვალებულთა დასასვენებელი ადგილი და სხ. საავადმყოფოსთან მოეწყობა აგრეთვე რენტგენის კაბინეტი და კბილის სნეულებათა სამკურნალო ამბულატორია.

ლუდის ქარხანა

თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობა თანდათან იზრდება და უმჯობესდება.

სხვა წარმოებებს შორის გამონაკლისს არ შეადგენს აღმ. ლუდის ქარხანა. ამჟამად ქარხანა თითქმის სავსებით მექანიზაციაქმნილია, ხოლო ელექტროფიკაციაქმნილია მთელი 100 პროცენტით.

ქარხანა სარგებლობს თავისავე ელექტრო-ენერგიით, ხოლო მოკლე ხანში შეიძენს ახალ მოტორებს, რომლის საშუალებითაც ქარხანა გადაყვანილი იქნება ზაჰესის ელდენზე. მოსალოდნელია, რომ ქარხანა ერთი უძლიერესი წარმოებათაგანი იქნება აღმასკომის სამრეწველო დაწესებულებათა შორის.

უკანასკნელ ხანებში ქარხანა საგრძნობლად გაფართოვდა: მიემატა ახალი სადუღებელი სარდაფი, დაიდგა ახალი სარეცხი, ჩასასხმელი და ბოთლების გასაწმენდი მანქანები. ახალი მანქანების ქარხანას საშუალებას აძლევს გაადიდოს ნაყოფიერება; თუ შარშან ქარხნის პროდუქცია 60 ათას ვედრო ლუდს უდრიდა, წელს ქარხანა გამოუშვებს 100 ათას ვედრო ლუდს.

საწარმოო პროგრამის შესრულება არ არის მარტო დამოკიდებული მანქანებზე, არამედ საჭიროა აგრეთვე ქარხნის ნედლეულობით უზრუნველყოფა. სათანადო ზომები უკვე მიღებულია. ამჟამად ქარხნის საწყობებში მომარაგებულია 20 ვაგონი ქერი და 200 ფუთი კიდევ სხვა საჭირო მასალა.

კომერციული ინსტიტუტი

თბილისში

ჩვენში არსებობს რამოდენიმე სპეციალური კომერციული ტეხნიკუმები, რომლებიც ყოველწლიურად უშვებენ 1000-მდე კურსდამთავრებულებს. მათთვის სპეციალური უმაღლეს კომერციულ განათლების მისაცემად, საქართველოს შინა - ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა სამრეწველო-ეკონომიური განათლების დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე საჭიროდ სცნო, დაარსდეს თბილისში უმაღლესი კომერციული ინსტიტუტი. წინასწარი მუშაობის შესრულება უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტის დასაარსებლად დაევალა კომიტეტის პრეზიდიუმს, ამასთან ერთად პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ინსტიტუტის დებულების პროექტის დამუშავება, ინსტიტუტის პროგრამით და გეგმების შედგენა და ხარჯთ-აღრიცხვის გამომუშავება.

სპეციალურ კომისიის შემადგენლობა ასეთია: ვ. საყვარელიძე (კომიტეტის თავმჯდომარე), ალ. ერქომაიშვილი, ხარ. ღლონტი, პროფ. გოგიჩაიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე, შ. გოგებაშვილი, ბ. თევზაია, კ. ჩხენკელი, გ. მგალობლიშვილი, ა. ჩხენკელი, ი. რუხაძე და კ. ქავთარაძე.

კომისიას დაევალა საჩქაროდ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რის შემდეგ უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტის თბილისში დაარსების საკითხი გადაეცემა დასამტკიცებლად უმაღლეს ორგანოებს.

სამრეწველო - ეკონომიური განათლების დამხმარე კომიტეტის დადგენილებით, მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები ინსტიტუტის უახლოეს მომავალში გასახსნელად.

მატარებლების დამსხვრევა

ბაქოს ხაზზე

გუშინ ბაქოდან 2 ორთქლმავალს მოჰყავდა ნავთის სამარშრუტო მატარებელი.

გერან-კიურაკ-ჩაის შუა დილის 8 საათზე აფეთქდა პირველი ორთქლმავლის ორთქლის ქვაბი. აფეთქების ძალამ ქვაბი გადაისროლა 106 მეტრზე. წინა ორთქლმავალი ჩავარდა აფეთქებისაგან ამოთხრილ მიწაში და გადაბრუნდა.

აფეთქებამ მოჰკლა მემანქანე **პოლიაკოვი** და მისი თანაშემწე **რუსაკოვი.**

ხაზი დაზიანდა 40 მეტრის მანძილზე. მატარებლების მიმოსვლა ბაქოს ხაზზე შესწყდა.

სადგ. ევლახში დაკავებული იქნა საფოსტო მატ. № 4 და სახალხო — ნომერ 18. განჯიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი; მას გაჰყვენ ა.-კ. რკ. გზ. ყველა დარგების წარმომადგენლები. დამტვრეულ მატარებლის შემადგენლობა დააბრუნეს გერანში. მოძრაობა აღდგენილ იქნა მოსავლელი ხაზით.

ორთქლმავლის ქვაბის აფეთქებას ა.-კ. რკ. გზაზე ჯერ ადგილი არ ჰქონია, ეს პირველი შემთხვევა იყო.

სწარმოებს გამოძიება.

ხარაგოულში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, სადგ. ხარაგოულში მიდიოდა დაჩქარებული სახარგო მატარებელი № 29. მემანქანემ ვერ დაიკავა შემადგენლობა და მატარებელი ძლიერი სისწრაფით შევარდა თავდასაცავ ჩიხში.

ორთქლმავალი მიდიოდა შებრუნებული სახით. ჩიხში მატარებელი ლიანდაგს ასცდა, რომელიც გადატყდა; ორთქლმავლის ტენდერი გადავარდა მის გადაღმა.

შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ხუთი რონოდა, მათგან ერთი დაიმსხვრა.

სადგურის პირველი ლიანდაგი დაიკეტა. ხაშურიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

მატარებლების გაშვება ბათუმისაკენ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მანძილი ხარაგოულ-ძირულას შუა თავისუფალი იქნება.

როგორ ავიცილოთ კატასტროფები რკინისგზებზე

რას ამბობენ სპეციალისტები

რა ზომების მიღებაა საჭირო მომავალში გზებზე კატასტროფების თავიდან ასაცილებლად?

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკებმა შემდეგი განაცხადეს:

ინჟ. კენიგი (შემთხვევების განყ. გამგე)—საერთოდ, შემოდგომაზე შემთხვევათა რიცხვი რკ. გზებზე იზრდება. ამას თავისი მიზეზები აქვს.

უნდა ითქვას, რომ შემთხვევები გზებზე წელს უფრო ნაკლებია, ვიდრე შარშან. სამაგიეროდ, წრევანდელი შემთხვევები უფრო საზარალოა გზებისთვის, ვიდრე შარშანდელი.

საერთოდ შემთხვევების რაოდენობის გადიდება ჩვენს გზებზე აიხსნება გზის პროფილის შეუფერებლობით თანამედროვე გრძელი და მძიმე მატარებლებისა და ძლიერ ორთქლმავლებისთვის. აგრეთვე იმითაც, რომ თანამედროვე რონოდების გადასაბმელები ვერ უძლებენ მძიმე და გრძელ მატარებლებს ჩვენს უსწორ-მასწორო გზებზე. გამორკვეულია—რაც უფრო გრძელი და მძიმეა მატარებელი, მით უფრო ხშირია შემთხვევები.

მომავალში შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მე ვფიქრობ, საჭიროა მატარებლების სწორად შედგენა, გადასაბმელების გამაგრება და მემანქანეების კვალიფიკაციის აწევა.

ინჟ. გელიცე (სალიანდაგო ნაწილის უფროსი).

— საერთოდ ჩვენი რკ. გზების ქსელი არ არის გათვალისწინებული გრძელი და მძიმე მატარებლებისა და ძლიერი ორთქლმავლებისათვის. განსაკუთრებით ა.-კ. რკ. გზ. პროფილი წარმოადგენს ტეხილ გზას. შემოსართის გათავებისთანავე იწყება თავდაღმართი. ეს გარემოება კი ხელს უწყობს მატარებლების გაწყვეტას.

მომავალში შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გზის პროფილის შერბილება იმ ადგილებში, სადაც თავდება შემოსართი და იწყება თავდაღმართი; მანძილი მათ შორის გაგრძელებულ უნდა იქნეს საკმაოდ.

საჭიროა აგრეთვე სათანადოთ მემანქანეების მომზადება.

უსწორ-მასწორო უბნებში უნდა მოეწყოს საჭირო ზარები, რათა მემანქანეებმა გაიგონ, თუ სად თავდება შემოსართი და იწყება თავდაღმართი. საჭიროა უკვე არსებულ ზარების შეკეთება.

იმ ადგილებში, სადაც არ არის სათადარიგო ჩიხები (აჯიკაბული, აკსტაფა), უნდა მოეწყოს ასეთები.

სახალხო კომისართა საბჭოში

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფის წესი

სახკომსაბჭომ მოიწონა სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა ადგილობრივი საბჭოებისათვის 1925—27 საბიუჯეტო წელში ადგილობრივი სახსრის გასაძლიერებლად ზოგიერთი გადასახადის და გამოსაღების დაწესებისა და აკრეფის უფლების მინიჭების შესახებ. ხოლო პროექტს დაემატა ახალი მუხლი, რომლის ძალითაც სსრ ყველა სამაზრო აღმასკომი ვალდებული იქნება მიმდინარე 1926—27 საბიუჯეტო წელში შემოიღოს მაქსიმალური განაკვეთით ადგილობრივი ფინანსების დებულებით დაწესებული სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ზედნართებისა.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალა გამოსცეს ინსტრუქცია ადგილობრივი გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფის წესის შესახებ.

საუწყებო კომისიების დაარსება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ მ.-გ. ინსპექციის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა სსრ სახალხო კომისარიატებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან საუწყებო კომისიების დაარსების შესახებ.

სარწყავი არხის „მაშველი"-ს სათავის გამაგრება

რადგანაც ქუთაისის მაზრაში არსებული არხის „მაშველი"-ს სათავე მეტად დაზიანებულია და საგაზაფხულო წყალდიდობა, არხის სათავის ჩარეცხვის გამო, შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობისათვის დიდ სტიქიურ უბედურებათ იქცეს, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო აღძრას შუამდგომლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინაშე, რათა აღნიშნულ არხის სათავის შეკეთების საჭიროებისათვის გაიღოს 150.000 მანეთი, ხოლო ამ შუამდგომლობამდე, ეთხოვა ა.-კ. სახკომსაბჭოს ნება მისცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ზემოხსენებული არხის სათავე შეაკეთოს გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე, ელდარის არხის სამუშაოთათვის გადადებულ სახსრიდან.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს შტატი

სახკომსაბჭომ ნება მისცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს, უკანასკნელის რეორგანიზაციის გატარებისა და სათანადო შტატის დამტკიცებამდე დასტოვოს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ 1925—27 წლისათვის დამტკიცებული შტატის ზევით დამტკიცებული შტატი იმ რაოდენობით და ხელფასით, რაც შრომის სახ. კომისარიატთან მეთანხმებით სპეციალურ კომისიის მიერ არის დაწესებული.

ამხ. ა. მიქაძის დანიშვნა

ამხ. ს. ჯუღელის ავათმყოფობის გამო, უვადო შვებულებაში დათხოვნილი მ.-გ. წითელ ლაშქრის უფროს შემადგენლობის აღრიცხვის და მოწყობის საქართველოს სახ. კომსაბჭოსთან არსებული [illegible] კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლად დროებით დაინიშნა შრომის სახ. კომისარი ამხ. ა. მიქაძე.

გაუქმდა

ქიმიო-ფარმაც. ფაკულტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქიმიო - ფარმაცევტიული ფაკულტეტი გაუქმდა. ამის გამო სახ. უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით, ამ ფაკულტეტის პირველი კურსის (1925—26 სას. წლის) სტუდენტები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საგნების სავალდებულო რიცხვი, გადადიან სხვა ფაკულტეტების მცირე კურსებზე სურვილისამებრ. მაგალითად—სამკურნალო, აგრონომიული, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე და სხვა; ის სტუდენტები კი, რომელთაც არა აქვთ ჩაბარებული საგნების სავალდებულო მინიმუმი, გადაირიცხებიან მექანიკურად პედაგოგიურ ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგის პირველ კურსზე.

საკავშირო ტუბყრილობა

შესდგება თბილისში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით, მორიგი საკავშირო ყრილობა ტუბერკულიოზთან ბრძოლის შესახებ მოწვეული იქნება ქალაქ თბილისში.

ყრილობა გაიხსნება 1927 წლის დეკემბერში და გაარჩევს ტუბერკულიოზით დაავადების პირობებს კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკებში. ყრილობაზე მოსმენილი იქნება აგრეთვე მთელი რიგი სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებისა ტუბერკულიოზთან ბრძოლის ახალი მეთოდების შესახებ.

ყრილობას დაესწრებიან სამკურნალო მეცნიერებაში განთქმული სპეციალისტები და ექიმები.

ქრონიკა

ახალი კომუნალური სახლი

თბილისის აღმასკომმა ლენინის რაიონში (ნაძალადევში) ააგო ახალი სახლი, რომლის აგება დაჯდა 375,000 მან., მთელი შენობა შეიცავს 700 ოთახს და მოწყობილია ყოველმხრივ. აღმასკომის პრეზიდიუმმა შეიმუშავა სახლის მომავალი ექსპლოატაციის გეგმა. პრეზიდიუმის დადგენილებით, აღძრული იქნა შუამდგომლობა ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე, რათა აღნიშნულ სახლის ასაგებათ ბანკიდან აღებული სესხის გასასტუმრებელ ვადათ დაწესდეს 15 წლის ნაცვლად 40 წელიწადი.

საზამთრო არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, წელს სპეციალურ ტეხნიკუმებში საზამთრო არდადეგები შემოღებულია 1927 წლის 1-დან 15 იანვრამდე. პირველი სემესტრი დამთავრებული უნდა იქნას 31 იანვრისათვის. აგრეთვე ამ დროისათვის უნდა გამოირკვეს თვითეულ კურსის მოწაფის წარმატება პირველი სემესტრის განმავლობაში.

სესხის აღება

თბილისის აღმასკომმა თავის მრეწველობათა გასაფართოებლად გადაწყვიტა საკავშირო სამრეწველო ბანკიდან სესხად აიღოს 450.000 მან. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება აღმასკომის აგურის ქარხნების, ლუდის ქარხნის, სტამბის, ელექტრო-მექანიკურ ქარხნის და სხ. გაფართოება-გაუმჯობესების საქმეს. სათანადო შუამდგომლობა უკვე აღძრულია საკავშირო სამრეწველო ბანკის თბილისის განყოფილების წინაშე.

ლექციები კუნთრუშაზე

თბილისის ჯანმრთელობის განყ. სანიტგანათლების ქვე-განყოფილების მიერ წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებულია მრავალი ლექციები კუნთრუშის შესახებ. ლექციებს თან ახლავს კინო სურათი „კუნთრუშა". ლექციებისადმი ინტერესი დიდია.

სანიტარული ფურცელი

ამ ჟამად თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა მუშის პირადი სანიტარული ფურცლების შედგენას.

ფურცლები დაურიგდებათ იმ მუშებს, რომლებიც აყვანილი არიან დისპანსერიზაციაზე.

პროფილაქტიური გაწმენდა

უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში გაცხოველებული ტემპით მუშაობენ ყველა საქმიო დაწესებულებებში პროფილაქტიური გაწმენდის ჩასატარებლად.

ახალი გზატკეცილი

ამ დღეებში დასრულდება სამხრეთ ოსეთში დიდი გზატკეცილის მოწყობა სოფ. ჯავასა და როკს შორის. გზატკეცილის საერთო სიგრძე 26 კილომეტრია.

ქობულეთ-ოზურგეთის გზატკეცილი

საბოლოოდ დამუშავდა პროექტი ქობულეთ-ოზურგეთის გზატკეცილის გასაყვანად. საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს მუშაობა გზატკეცილის გასაყვანად მომავალი წლის გაზაფხულზე. გზატკეცილის საერთო სიგრძე იქნება 25 კილომეტრი.

საზამთრო ტირი

მონადირეთა კავშირმა შეუდგა კავშირის ბინაზე საზამთრო სასროლი დარბაზის (ტირი) მოწყობას.

ტირი გაიხსნება 22 დეკემბერს.

თბ. აღმასკომში

◆ **გადასახადები.** მიმდინარე წელში ადგილობრივ გადასახადებიდან თბ. აღმასკომს შემოუვა 1,221,879 მან., რაც გასულ წელთან შედარებით მეტია 35 პროც.

◆ **ექიმობა.** აღმასკომის დაზღვეულთა საექიმო განყოფილების საუბნო ექიმებმა უკანასკნელ ექვს თვეში უწამლეს 9 ათას ავადმყოფს.

◆ **კბილის სამკურნალო.** ჯანმრთელობის განყოფილების კბილის ცენტრალურმა სამკურნალომ (სომხის ბაზარშია) უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში დაავადებულ ავადმყოფებს გაუკეთა 2 ათასი ხელოვნური კბილი.

◆ **შენობების გადასახადებიდან** 1926-27 წელში აღმასკომს შემოუვა 150 ათასი მანეთი, სატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადებიდან კი—120 ათასი მანეთი.

განათლება

◆ **სტუდენტთა სახლი.** განათლების სახ. კომისარიატმა გადაწყვიტა თბილისში ააგოს სტუდენტთა სახლი. სახლის აგების საქმის მოგვარება მიენდო პროფ. შ. ნუცუბიძეს და ე. ერქომაიშვილს.

◆ **ახალი სკოლები.** წელს თბ. მაზრაში გაიხსნება გლეხთა ახალგაზრდობის სამი ახალი სკოლა.

◆ **სახელოსნოები სკოლებთან.** თბ. განათლების სექციამ გადაწყვიტა ქალაქსა და მის მაზრაში სკოლებთან მოაწყოს სხვადასხვა ხასიათის სახელოსნოები, სადაც იმუშავებენ მოწაფეები.

◆ **გამოკვლევა.** მომავალ წელს იანვრიდან დაიწყება მთელ რესპუბლიკაში ყველა საფეხურის სკოლების სტატისტიკური გამოკვლევა.

◆ **ლაბორატორული მუშაობა.** განათლების კომისარიატმა გადაწყვიტა მუშფაკებში შემოიღოს ლაბორატორული მუშაობა.

◆ **ახალი მოწაფეები.** წელს თბილისის და მისი მაზრის სკოლებში მიღებულია 7,385 მოწაფე, მათ შორის ქართულ სკოლებში—3162.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ლაბორატორია.** გაიხსნა შრომის გიგიენის ლაბორატორია.

◆ **უქმე დღეები.** კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა ცირკულიარი მტკიცედ გაატარონ უქმე და დასასვენებელი დღეების შესახებ გამოცემული დადგენილება.

◆ **ზედმეტი საათების** მუშაობასთან საბრძოლველად კომისარიატი იმუშავებს საგანგებო ზომებს.

◆ **დასასვენებელი დღეები აჭარისტანში.** შრომის კომისარიატის რწმუნებულს აჭარისტანში მიეცა უფლება ადგილობრივ პირობების მიხედვით გამოსცეს დამატებითი დადგენილება დასასვენებელ დღეებში ცვლილების შესატანად.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს საღამოს 8 ს. ამხ. მ. იოსელიანი გააკეთებს მოხსენებას: „სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მნიშვნელობა".

◆ **სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში** კვირას შესდგება აგრონომ სამადაშვილის მოხსენება.

◆ **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში,** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, სალ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება: დღის წესრიგში სდგას საკითხი არსებულ ორ საექიმო საზოგადოებათა გაერთიანების შესახებ.

◆ **სხდომა.** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13), დანიშნულია ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის გაერთიანებული სხდომა.

◆ **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბაში,** პარასკ. 17 დეკემბერს, სალ. 7 ს. საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში (ფურცელაძის ქ. № 1) საზ-ბის ჩვეულებრივ კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს ალ. წერეთელი: „ლუკიანე სამოსატელი: როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია". კრება საჯაროა.

— **სტუდენტების კრება.** შაბათს 18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე თბ. ს. უ. ნ. სტუდ. აგრ. წრის და მუზეუმის დარბაზში შესდგება აგრონომიულ ფაკ. კურსდამთავრებულ სტუდენტთა კრება სახელმწიფო გამოცდის დროის დასანიშნავად. კრება საბოლოოა.

ხელოვნება

ამხ. შლუგლეიტ - ილინის ჩამოსვლა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალური სტუდიის გამგეობის რწმუნებული ამხ. შლუგლეიტ-ილინი, რომელსაც დავალებული აქვს სტუდიის საგასტროლო ტურნეს მოწყობა თბილისში, ბაქოში, როსტოვში და ხარკოვში.

შლუგლეიტ - ილინი ხელშეკრულებას დასდებს საოპერო თეატრის დირექციასთან თეატრის აღების შესახებ სტუდიის წარმოდგენებისათვის.

ხელოვანთა სასახლეში

— კვირას, საღ. 6 საათ. ხელოვანთა სასახლეში. ამხ. ნ. ზომლეთელი გააკეთებს მოხსენებას საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის უკანასკნელი პლენუმის შესახებ.

— პროლეტ. მწერალთა შორის. შაბათს, 11 დეკ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომაზე არჩეულ იქნა ასოციაციის ახალი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ბ. ბუაჩიძე, ა. მაშაშვილი, პ. ქიქოძე.

◆ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში პარასკევს 17 დეკემბერს, საღ. 8 საათ. შესდგება სახ. კონსერვატორიის ვოკალ. ფაკ. 1-ლი საღამო.

◆ კომკავშირელ მწერალთა კრება. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციასთან არსდება კომკავშირელ მწერალთა წრე. პირველი საორგანიზაციო კრება მოწვეულია შაბათს, საღამოს 5 საათზე. კრებაზე მოწვეულნი არიან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის კომკავშირელი წევრები და წრეში მუშაობის მსურველი ახალგაზრდა კორესპონდენტები.

თხოვნაა თავის დროზე გამოცხადდნენ ყველანი.

◆ დ. ანდღულაძის დებიუტი. დღეს ოპერის თეატრში ახალგაზრდა მომღერალის დ. ანდღულაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „აიდა".

◆ „ინტერესთა თამაში". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება: „ინტერესთა თამაში". დადგმა კ. მარჯანიშვილის.

◆ ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება"-ს პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.

◆ „ლეილა". ჟურნალი „ლეილა" გამოვა იანვრის შუა რიცხვებში.

◆ „სავურ საფლავი". ორშაბათიდან თბილისის კინოებში წავა სახკინმრეწვის ახალი სურათი „სავურ-საფლავი".

შემთხვევები

◆ გაუპატიურება. სოფ. ლიდმელურის (ერწოს სამილიციო რაიონი) მცხოვრებნი სანდრო ჯამხარაული, ნიკო ქიტესაშვილი, პავლე ზარიძე და გიორგი გოგოლაშვილი 6 დეკემბერს ღამის 1-ლ საათზე შეიარაღებულნი თავს დაესხნენ სოფ. გორანაში ბასულა გურგენაშვილს, რომელსაც მოსტაცეს ქალიშვილი და მახლობელ ტყეში გააუპატიურეს. მიღებული ზომებით, ყველანი შეპყრობილი არიან.

◆ დაიკარგა იოსებ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილი ნოემბრის 10-დან. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ თხოვნაა აცნობონ 1 მთის ძირის გასავალს № 6 შალვა სეხნიაშვილის.

◆ ბანდიტების დაპატიმრება. ალბულაღის სამილიციო რაიონის უფროსის მიერ შეპყრობილი იქნა ბანდიტი ბესო ფილიაშვილი, რომელიც 1922 წლიდან ეწეოდა ძარცვა-გლეჯას; მასვე აქვს ჩადენილი რამდენიმე მკვლელობა.

◆ კოოპერატივის გაქურდვა. სართიჭალის სამილიციო რაიონში 6 დეკემბერს, ღამით ფანჯრის გამოტეხის საშუალებით გაქურდეს სოფ. პატარძეულის კოოპერატივი, საიდანაც მოიპარეს 292 მან. საქონელი და 35 მან.

◆ თავის ჩამოხრჩობა. 14 დეკემბერს. გოლოვინის შესახ. № 14 თავი ჩამოიხრჩო ალექსანდრე არტემის ძე პაპუნოვმა.

◆ სახელგამის გაქურდვა. კედლის გამონგრევის საშუალებით 13-14 დეკემბერს გაქურდეს სახელგამის მაღაზია (რუსთ. გამზირი № 16), წაღებულია 1100 მ. ნივთები.

◆ 4000 მ. ნივთების მოპარვა. სომხის ბაზარში ბადალ ტურგუნიანცის სავაჭროდან 14 დეკ. ღამით მოიპარეს 4000 მ. ტყავეულობა.

◆ ბოქლომის აგლეჯის საშუალებით, 14 დეკ. ალექსანდროვის ქ. № 38, მოქ. თურქევა და ქოიავას ბინიდან მოიპარეს 700 მ. ნივთები.

◆ შეპყრობა. ცენტრალურ ბაზარში 14 დეკ. გაქურდეს გაიკა როსტომიანცის სავაჭრო. დამნაშავენი არშაკ კულოვი და პეტროს მანუკიანცი დააპატიმრეს.

◆ ცეკავშირის ადგილკომის ტექნიკურ მდივნის მაგიდის ღია უჯრიდან მოიპარეს 140 მანეთამდე.

◆ მკვლელობა. 10-11 დეკ. ღამით საგარეჯოდან 4 ვერსის დაშორებით მწყემსებმა მოჰკლეს ნავრუზ-ალი-ოღლი, რომელსაც უნდოდა მოეპარა მათი ფარეხიდან ცხვრები.

◆ ქურდობა. 14 დეკ. ღამით ინჟინერის ქ. № 2 გაქურდეს ნიკოლოზ მაჰვარიანის ბინა.

სასამართლო

მილიციელ ჭელიძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით დაიწყო მილიციელ მინა ჭელიძის საქმე.

ჭელიძეს ბრალდება მიხეილ ბიტიუცკის (მე-4 სტამბის ასოთ - ამწყობი) მოკვლა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. ჯანჯღავამ შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე საქმის გადადების შესახებ. სასამართლომ დაადგინა: მთავარი მოწმეების გამოუცხადებლობის გამო, საქმე გადაიდოს.

„მოჭიდავე"

ალექსანდრე მატიენკოს მეზობლები იცნობდენ, როგორც ლოთს, დათვრებოდა და სრულიად უმიზეზოთ ასტეხდა ჩხუბს და აყალმაყალს.

11 დეკემბერს მატიენკო მიპატიჟებული იყო მისი ნათესავისას.

სტუმრობიდან დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით ღამის 2 საათზე იგი ჩხუბის ხასიათზე მივიდა ნაცნობის სახლთან.

— ვინა ხართ სახლში — ღრიალებდა ბრაზმორეული მატიენკო. როდესაც სახლიდან ნაცნობი ქალი გამოვიდა, მას ისე მაგრათ ჩაავლო ხელი, რომ კინაღამ დაახრჩო. შემდეგ ბრძანებით კილოთი უთხრა: „წავიდეთ".

ქალმა კივილი მორთო. გაჩნდა მეეზოვე და მილიცია. მილიციელმა წინადადება მისცა მატიენკოს სახლში წასულიყო.

— ეს უბედავ მაგას, გიწვევ „საჭიდაოთ", გამოდი თუ ხარ ბიჭი.

მილიციელმა განმეორებით მიმართა „მოჭიდავეს" წესრიგი დაეცვა. „ფალავანი" კიდევ უფრო გაბრაზდა და სილა გააწნა მილიციელს და მეეზოვეს.

რის ვაი - ვაგლახით მიიყვანეს იგი კომისარიატში.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა მატიენკოს საქმე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ არაფერი ახსოვს.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ცნობილი ყოფილა, როგორც „მოჭიდავე" და აგრეთვე სკანდალის მოყვარული.

სასამართლომ მატიენკოს მიუსაჯა 1 თვით ჯამახლში დაპატიმრება.

50.138 მანეთის ზარალი

—დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა დავით კოსტენკოს და პროკოლ საყვარელიძის საქმე.

საყვარელიძეს და კოსტენკოს ბრალდებათ ს. მ. უ. საბჭოს თამბაქოს ტრესტისათვის 50.138 მანეთის ზარალის მიყენება.

შეჯიბრი სროლაში

23 დეკემბრიდან ვაკეზე გაიმართება ს. მოქალაქო ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების შეჯიბრი თოფით ნიშანზე სროლაში თბილისის პირველი მსროლელის სახელწოდებაზე.

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ მოქალაქეს, თუ მას ექნება სათანადო ორგანიზაციის წევრობის მოწმობა. შეჯიბრში მონაწილეობის მიღების შესახებ წინასწარ უნდა განაცხადონ ფაბრიკა-ქარხნებთან და წარმოებებთან არსებულმა სროლის შემსწავლელმა წრეებმა, მონადირეთა კავშირის წევრებმა და სამხედრო ნაწილებთან გამოყოფილმა მსროლელებმა.

მონადირეთა კავშირი უკვე შეუდგა მსურველთა სიის შედგენას. შეჯიბრი 23 დეკემბრიდან გაგრძელდება 28 დეკემბრამდე და იწარმოებს ყოველდღე.

რკინისგზიდან

ამხ. ივანოვის და ბერიძის დაბრუნება

მოსკოვიდან თბილისისაკენ გამომგზავრენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ივანოვი და გამგეობის წევრი ამხ. გ. ბერიძე.

გზათა-მიმოსვლის კომ. ბრძანება

გზათა-მიმოსვლის კომისარიატიდან ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულია დეპეშა, რომლის თანახმად უნდა გადიდდეს სატრანსპორტო ნავთის გადაზიდვის ნორმა 80 ცისტერნით.

მატარებლის გაწყვეტა

14 დეკემბერს სადგ. ლიხიდან ბათომისაკენ წავიდა ნავთის სამარშრუტო მატარებელი წიფის გვირაბში გადასაბმელ ფარკოფელის მოგლეჯის გამო, მატარებელი გაწყდა.

მატარებელი წიფაში ჩავიდა დაგვიანებით, იქ იგი შეაკეთეს და გაუშვეს ქვევით.

ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

ორთქლმავლის გადავარდნა

14 დეკემბერს სადგ. ზესტაფონში მატარებლის მიმოსვლის დროს, ისრის გადაყვანის გამო, ჩავარდა ორთქლმავლის წინა ნაწილი. ორთქლმავალი ამოიღეს.

რონოდების ჩავარდნა

გუშინ, ღამით ბაქოს მე-2 სადგურში, საწყობებში რონოდების მიყვანის დროს, გზა-ჯვარედინზე ლიანდაგიდან გადავარდა 6 დატვირთული რონოდა. დაზიანდა გზა-ჯვარედინი და ისარი. რონოდები ამოიღეს დილით.

გუშინ დღის 2 საათზე სადგ. სუფსაში, საბარგო მატარებლის მიმორონების დროს, გადავარდა 1 დატვირთული რონოდა.

რონოდების და ორთქლმავლის და ხაზის დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

ოფიც. განცხადება

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

„კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს აღმოცენებულ კონფლიქტებზე სამედიატორო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათის შესახებ".

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატში შემოდის ცნობები, რომ ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებს კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების გარშემო აღმოცენებულ კონფლიქტების სამედიატორო სასამართლოში გადაწყვეტის შემდეგ არ შეაქვთ კოლექტიურ ხელშეკრულებაში, ის სადაო მუხლები, რომელთა შესახებ სამედიატორო სასამართლოებს გამოტანილი აქვთ გადაწყვეტილებანი იმ მოსაზრებით, რომ გადაწყვეტილებანი განსაჩივრებულია ზედამხედველობის წესით, ან სხვა, მათი აზრით, საპატიო მიზეზით.

სამეურნეო ორგანოების აღნიშნულ პრაქტიკასთან ბრძოლის მიზნით, საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. უკეთუ სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას რომელიმე მხარე გვერდს აუხვევს კოლხელშეკრულებაში და ხელს არ მოაწერს უკანასკნელის ცხოვრებაში გატარების გაჭიანურების მიზნით, შრომის სახ. კომისარიატის ორგანოები აწარმოებენ მხარეთაგან ხელმოწერილ ხელშეკრულების მხოლოდ იმ მუხლების აღრიცხვას, რომელთა ირგვლივ მოხდა მხარეთა შეთანხმება. სამედიატორო სასამართლოს დადგენილება კი აღნიშნულის გამო კოლხელშეკრულებაში არ შესული, როგორც სავალდებულო მხარეთათვის, მათი თანხმობის და ხელმოწერის მიუხედავათ, უნდა დაერთოს ხელშეკრულებას.

2. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მატერიალურ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები აძლევენ ვიზას აღმასრულებელი ფურცლების მისაღებად (შრ. კან. კოდ. მუხ. 174).

3. აღნიშნულის გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ხელს არ აწერს ხელშეკრულებას, რომელშიაც შესულია სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებებით მიღებული მუხლები, აგრეთვე როდესაც სამედიატორო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე უშუალოდ ვალდებულებათ არ ასრულებს, შრომის ორგანოები იღებენ ზომებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი—
ა. მიქაძე.
სატ. საქ. გან. გამგ. მაგიერ ჯილაური.

პარტიული კალენდარი

საქ. რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 16 დეკემბერს საღამოს 5 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე ლენინის ქ. № 29 შესდგება რემედასის ცეკას საორგანიზაციო კომისიის სხდომა.

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

ათაბეგოვი, მეავია, მაკარჩუკი, გრინკევიჩი, ტურაბოვი, სანაძე და გრინკევიჩი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნება მე-7 რაიონული პარტკონფერენცია.

— საქ. ახ. ლენ. კ. კ. თბილ. კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 16 დეკემბერს, დღის 1-ლ საათზე თბ. კომიტეტის შენობაში გაიმართება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა

სავალდებულოა ახკომკავშირის ყველა იმ კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად, რომელთა ანკეტებიც უნდა დაამტკიცოს თბილისის კომიტეტის მიმღებმა კომისიამ.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, მეხუთე შრომის სკოლაში (ქუკიის, 9) შესდგება სადელეგატო კრებების კოოპერატიული სექციის ორივე ჯგუფის (რუსული და ქართული) მეცადინეობა.

— საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა რაიკომის აღრიცხვა-განაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები:

1) ცხადაძე ვასილი, 2) ციკრიძე პლატონი, 3) კიკალიშვილი მამონტი, 4) კობერიძე ესტატე, 5) კობაიძე დავითი, 6) გარდაფხაძე ევტიხი, 7) გაბუნია იულიანე, 8) გეორგობიანი რომანოზი, 9) ბახტაძე სერგო, 10) ბერიძე ვასილი, 11) ბენდელიძე ალექსი, 12) ხველელიძე ივანე, 13) ტუხაშვილი ვლადიმერი, 14) თათარიშვილი აკაკი, 15) ოთარიშვილი ვასო, 16) ოდიშარია გრიგოლი, 17) მელაძე ილო, 18) მუსერიძე კონსტანტინე, 19) მეგრელიშვილი პარმენი, 20) მათიევი ბაგრატ, 21) ლოხიშვილი ირაკლი, 22) ქუთათელაძე კონსტანტინე.

ღრმად დამწუხრებული: შვილები სიკო მეუღლე ანათ[illegible] რიამი სიდა ონ-ერისთავები, სიძე კ. თ. ექიმი გერ[illegible], შვილები ირინა, გულბაათი და გულნარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დედა

ნატალია ივანეს ასული
სიდამონ - ერისთავისა

დასაფლავება ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, ცხედრის გასვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

928 2—2

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო ივანეს ასული შვილებით აბრამი, მარიამი, ვახტანგი და შოთა, და ნინო აბრამის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 15 დეკემბერს, დღის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის მუდამ სახსოვარი, საყვარელი ტკბილი. პირველისა მეუღლე, მეორესი მამა, მესამესი ძმა, უკანასკნელებისა ბიძა

ლადო აბრამის-ძე ხვთისიაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ალექსანდროვის ქუჩა № 11. გასვენება 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ეკლესიაში. (ჩუღურეთში). დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

945 4—1

თავზარდაცემული მეუღლე ირინე, რძლები: მართა, ლასიონ და ანეტა, ძმები: სამძე და სილოვან ბერიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი

ბესარიონ პარმენის-ძე
ბერიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ახალშენში შაბათს, დეკემბრის 18.

ნ. 354

„კომუნისტი"
დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—50	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით.	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—00	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 „
3 „	4 „	1 წლით	16 „

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშური—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონი—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცქვიტაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მღივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩამჩირი—ვ. სოხულიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორის ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფაცლენიშვილთან.

და ფოსტატელეგრაფის ყველა კანტორებში

მიიღება ხელისმოწერა
1927 წლისათვის

ყოველთვიურ ჟურნალზე

„სოფლის კომუნისტი"

ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	2 მან.
ექვსი თვით	1 მან.
სამი თვით	50 კაპ.

ცალკე ნომერი 20 კაპ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის, 22
კომპარტიის ცეკა ოთახი № 17

15—1 ნ. 355

ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო
ამით აცხადებს

რომ ზაჰესის ელ-გადამცემის ხაზის უკანასკნელი უბანი დიდუბე-ნაძალადევი-ავლაბარი ხუთშაბათს 16 დეკემბრიდან დაყენებული იქნება მაღალ ძაბვის ქვეშ და სადენების შეხება

სასიკვდილოა

ყველა საყრდენებზე გაკრულია სათანადო გამაფრთხილებელი წარწერები.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსი
ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე
3—1 ნ. 358

ს. მ. უ. ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური
ლაბორატორია
პირველი იანვრიდან 1927 წ. გაიხსნება

ს. მ. უ. ს. ცენტრალური
ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია

ლაბორატორიაში არის განყოფილებანი—ანალიტიური, ტეხნიკური და პრეპარატიული

ლაბორატორია ღებულობს ყოველგვარ ანალიზებს, იძლევა დასკვნას ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსების შესახებ, ამუშავებს მინერალურ და მცენარეულ ნედლი მასალების გადამუშავების მიზანშეწონილ საშუალებებს, ადგენს ახალ ქიმიურ წარმოებათა გეგმარებს.

ლაბორატორია ღებულობს შეკვეთებს სახელმწიფო და წესებულებათაგან და კერძო პირებისაგან.

ნ. 347 6—1. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 18 დეკემბერს 1926 წ. დღის 3 საათ., სახლში გრუშევის ქ. (ნავთლუღი) **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ეპიფან ბერძენიშვილის მოძრავ ქონებას: მოტორს და სხვ. შეფასებულს 1730 მანეთად, აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 13 ივნისის 1926 წ. თარიღით, № 25245 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

949

ქ. ქუთაისის 1 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე № 153 დანიშნულია 20 დეკემბერს 1926 წ. დღით 11 საათზე ხერაფიონ სიკოს ძე (იგივე სიმონისძე) მორსაძის შენობის მეორე **საჯარო ვაჭრობა** შენობა შეფასებულია 1500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან, სახ. მეურნ. უმაღ. საბ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, დანიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი.

ნ. 357

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა იწვევი და ქრონიკული და ვადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს.

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარც-თერაპია, იონო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1 ქკ. 783

ექიმი მებრაბიანცი

ფილტვების. ყლაპის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02 25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა

დიდი ვანქის ქ. № 6.

სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 2.—

ექიმი ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

2—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „911". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 5

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა სიექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

ლენინის (ყოფილი ოლღის) ქუჩა № 35

354 13—1

ექიმი გ. ნ. ოჰანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

ექიმი-ქალი თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ნოემბრის პირველ რიცხვებში სოფ. გომიდან წავიდა

ასლან ვარლამის-ძე ნიკოლეიშვილი

17 წლის, ტანად საშუალო, ბობრი, თმა მოწითალო; ტანზე აცვია წაბლის ფერი სატინის ბლუზა, შავი პალტო; თავზე შავი ქუდი, ფეხზე-წუღა. ვინც იცის რაიმე მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით სამტრედია, მეისრე ვარლამ ნიკოლეიშვილი. 948

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 12557 სერგო ჩაპკინოვის სახელზე, ჩ. გ. 937

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი იასონ ნასარიძეს სახელზე, ჩ. გ. 936

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ივანეს-ძე ჟუჟიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 942

დავკარგე ლ. ჩხუმის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების ბეჭედი, ჩ. გ. 938

დავკარგე პირადობის მოწმობა, სამხედრო სამსახურის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი კირილე ლუარსაბის-ძე სოხაძეს სახელზე, ჩ. გ. 939

დავკარგე მონდობილობა სუფრის „ეპოს" თავმჯდომარის ანდრო ილარიონის-ძე თოდრიას სახელზე № 3. და რგვალი ბეჭედი, ცეკავშირიდან მართლეულის ანგარიშები, ორდერები და სხ. ჩ. გ. 940

დავკარგე პირადობის მოწმობა საქ. უნივერსიტეტიდან გაცემული პანტელეიმონ ალექსის-ძე ბერაძის სახელზე ჩ. გ. 944

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი თამარა ოქიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 950

დავკარგე მარტვილის თემ-აღმასკომის მიერ გაცემული სამოგზაურო და ვინაობის მოწმობა № 141/576—577 პროდონ ხაჟომიას სახელზე, ჩ. გ. 943

დავკარგე ხარის საკუთრების მოწმობა № 356, გაცემული კიწის თემ-აღმასკომის მიერ კოტა ყურდგელაძის სახელზე, ჩ. გ. 943

დავკარგე კომკავშირის წიგნაკი № 1428 ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ალასანიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 357

დავკარგე დაწყებით სალაროს წიგნაკი მარქარ გუნიშიანის სახელზე, ჩ. გ. 950

დავკარგე საალრიცხო ნუსხა № 37 გაცემული ახ. ხიბულის რაისამხედრო კომიტეტის მიერ ალექსანდრე ქიტიას სახელზე, ჩ. გ. 951

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—14 ნ. 287

პირველად ეკრანზე „სიყვარულის სიმღერა" კოვანკოს და მატოს მონაწილეობით. სოლო ვიოლონჩელზე—მ ალუნცევი.

მხატვრული საუკეთესო სურათი „უკანასკნელი განცდა" მილტონ სილსის მონაწილეობით,

პირველად თბილისში „ჰო ან არა" ლუიზა ვილსონის მონაწილეობით.

1-ლი და მე-2 სერიის უკანასკნელი დღე „მკვლელის დაღი"

ანონსი: ორშაბათიდან „სავურ საფლავი"

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს ხასინტა ბენავენტეს

ინტერესთა თამაში

3 მოქ. თარგმანი: ვალ. გაფრინდაშვილისა
დადგმა კოტე მარჯანიშვილისა

შაბათს, 18 დეკემბერს, ნ. შიუკაშვილის.

ამერიკელი ძია

ორიგინალური კომედია 4 მოქ. და 3 ინტერმედიით.
დადგმა ალ. ახმეტელისა

კვირას, 19 დეკემბერს ანტონოვის

მზის დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქმ. დადგმა: კოტე მარჯანიშვილისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—1 ნ. 353

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 16 დეკ., დ. ანდღულაძის და ს. ლარიონოვის სადებიუტოთ

აიდა

მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, დამსახ. არტისტი სკიბიცკაია, ანდღულაძე, ლარიონოვი, მეხნიაევი
დირიჟორი: სახალხო არტისტი: ი. ფალიაშვილი

პარასკევს, 17 დეკემბერს თამარ ცბიერი
მესამე აბონემენტის მეხუთე სპექტაკლი
საფასურის მორიგი უკანასკნელი შეტანა

ნ. 352

ორშაბათს, 20 დეკემბრიდან
საქ. სახკინმრეწვის
ახალი სურათი
კინო-თეატრებში

აპოლო არფასტო — სოლეი დარბაზი

„სავურ საფლავი"

რეჟისორი ივ. პერესტიანი.
ოპერატორი ა. დიღმელოვი.
ნ. 356

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. დ. შახბაზიან

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68,